# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 მაისი **შაბათი** 2012 **№117 (13 723)** ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს მიუნხენში ბრძოლა იქნება!




8-9

# ჩავუსხდეთ!

**საკადრო პრობლემები:** რას ფიქრობენ დი მატეო და ჰაინკესი?
**არიენ რობენი:** მხოლოდ 41 გრადუსი სიცხე თუ შემაჩერებს!
**ფრენკ ლემპარდი:** მზად ვართ, ჩავიდინოთ უდიდესი გმირობა!

## კობის საქმე



5

**შტარკმა ყველაფერი დაფქვა: კობიაშვილმა კისერში მუშტი ჩამარტყა და რომ არა მოაჯირი, 6-მეტრიან კიბეზე დავგორდებოდი!**

## ამბობენ, ჩვალ საქართველოს ჩემპიონატი მთავრდებაო...

3

ბოლო ტურის წინათქმა

## Mარკოიშვილის VIP თამაში Pესაროსთან



იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში **მანუჩარ მარკოიშვილმა** „კანტუს" „პესარო" დაამარცხებინა - 78:72.

ქართველმა უკანახაზელმა შეხვედრა სნაიპერის სიზუსტით დაიწყო: 16 წუთში 14 ქულა ჰქონდა, საბოლოოდ კი 24 წუთში 20 ქულა მოაგროვა, რასაც 4 მოხსნა და 2 პასი მიამატა. მანუმ 10-დან 6 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და მატჩის საუკეთესო კალათბურთელადაც (MVP) დასახელდა.

„კანტუს" გამთამაშებელმა **დორონ პერკინსმა** აქტივში 11 ქულა და 3 პასი ჩაიწერა.

სერიის მეორე მატჩი 20 მაისს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართული ფეხბურთი

U17. ინტერვიუ და ევროპის ჩემპიონატის შეჯამება

# ვასილ მაისურაძე: დღეს ყველაზე მეტად გუნდურობა გვჭირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დარწმუნებული ვარ, ბიჭებს თავში არ აუვარდებათ

**ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი უკვე ისტორიის საკუთრებაა, თუმცა საქართველოს ნაკრების წარმატებით მოგვრილი ემოციები კიდევ დიდხანს არ დაგვტოვებს. ადრე არაერთხელ ნათქვამს გავიმეორებთ, რომ ჩვენმა ბიჭებმა თავისი თამაშით ქართული ფეხბურთის უკეთესი იმედი გაგვიჩინეს და ახლა მთავარია, მათ ზრდა და განვითარება გააგრძელონ. საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელთან, ვასილ მაისურაძესთან ბოლო პერიოდში სისტემატური კონტაქტი გვქონდა, ამიტომაც მასთან ძველ თემებზე ძალიან ვრცლად აღარ გვისაუბრია და მხოლოდ მნიშვნელოვან დეტალებს შევეხეთ.**

**- დღევანდელი გადასახედიდან, თუ შეგიძლიათ იმის თქმა, რომ კიდევ უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო?**

- ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ამიტომაც ვერ ვიტყვი, რომ ნახევარფინალი საქართველოს ნაკრების შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სლოვენიაში გამგზავრებამდე მიზნად ნახევარფინალში გასვლა დავისახეთ და ეს ამოცანა წარმატებით განვახორციელეთ. ზოგადად კი, ვფიქრობ, ჩვენმა გუნდმა ევროპაში ქართული ფეხბურთის პრესტიჟი აამაღლა და ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე კონკრეტულ ტურნირზე მიღწეული წარმატება.

**- ალბათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალსაც ადევნეთ თვალი. როგორ ფიქრობთ, ჰოლანდიამ ჩემპიონობა დაიმსახურა?**

- ფინალს, რა თქმა უნდა, ვუყურე. გერმანია და ჰოლანდია დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან და ორივეს ჩემპიონობა კანონზომიერი იქნებოდა. ჰოლანდიელებმა მტკიცე ხასიათი გამოავლინეს, ანგარიში მატჩის მიწურულს გაათანაბრეს და მეტოქეს თერთმეტმეტრიანების სერიაში აჯობეს, რასაც ასევე ძალიან კარგი ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება.

**- რომელი იყო საქართველოს ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატზე ჩატარებული საუკეთესო მატჩი?**

- მარცხის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალ დონეზე გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. საერთოდ კი, ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებულ საუკეთესო შეხვედრად ელიტრაუნდში ინგლისთან 1:0 გამარჯვება მიმაჩნია.

**- საქართველოს ნაკრებიდან კონკრეტულ ფეხბურთელებს ხომ არ გამოარჩევთ?**

- რომელიმე მოთამაშეს ნაკრების წარმატებაში სხვებზე მეტი წვლილი რომ შეეტანა, აუცილებლად დავასახელებდი, მაგრამ ასე არ იყო. ჩვენი გუნდის მთავარი კოზირი ძლიერი კოლექტიური თამაშია. გუნდზე მაღლა მესი და რონალდოც კი არ დგანან და განსაკუთრებულ როლს არც მე მივანიჭებ რომელიმე ფეხბურთელს. შედეგი ერთ და ორ ვარსკვლავს კი არა, გუნდურ სულისკვეთებას მოაქვს. ქართველებს დღეს ყველაზე მეტად გუნდურობა გვჭირდება და დიდი იმედი მაქვს, რომ 17-წლამდელთა ნაკრების წარმატება ამაში ყველას დაარწმუნებს.

**- იყო რაიმე ისეთი დავალება, რაც გუნდმა ვერ შეასრულა?**

- თავდასხმის ხაზში მეტი აქტიურობა და მრავალფეროვნება გვჭირდება და ამას ჯერ ვერ მივაღწიეთ. დროთა განმავლობაში ეს ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. ამ ასაკის ფეხბურთელების სელექციას მთელი საქართველოს მასშტაბით განვაგრძობთ და შევეცდებით, ახალი საინტერესო მოთამაშეებიც ვიპოვოთ.

**- ცნობილია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭები სკაუტების ყურადღების ნაკლებობას არ განიცდიდნენ...**

- ჩვენი ნაკრების წევრთა თამაშს სკაუტები ძალიან ბევრი ქვეყნიდან აკვირდებოდნენ. მატჩების შემდეგ მათ ბიჭებთან გასაუბრების საშუალებას ვაძლევდი და წესით, სულ მალე კონკრეტული სიახლეებიც გვეცოდინება.

**- როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?**

- როგორც იცით, "დინამოს" დუბლშემადგენლობაში მუშაობას განვაგრძობ, რაც შეეხება ნაკრებს, ამ თაობას დიდი სიამოვნებით გავყვებოდი. თუ ასე მოხდა, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას, რომელიც მომავალი წლის შემოდგომაზე დაიწყება, ახლო მომავალში შევუდგებით, ჩვენი უმთავრესი ამოცანა კი გრანდების წინააღმდეგ კიდევ უფრო ძლიერად თამაში იქნება.

**- რას ურჩევთ თქვენს ფეხბურთელებს, საქართველოში გაზრდას თუ ევროპულ კლუბებში მალევე წასვლას?**

- გააჩნია, სად წავლენ. პოსტსაბჭოთა სივრცეში წასვლას არავის ვურჩევ, ხოლო დასავლეთ ევროპის საფეხბურთო ქვეყნებში მოხვედრა აქ დარჩენას ნამდვილად ურჩევნიათ. რაც შეეხება ზოგად რჩევებს, უკვე ბოლომდე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბიჭებს თავში არაფერი აუვარდებათ. მათ კარიერაში დიდი ნაბიჯი გადადგეს, მაგრამ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ეს წარმატება არაფრის გარანტიას აძლევთ. მათ საკუთარ თავზე ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ და ქართულ ფეხბურთს ამაზე გაცილებით დიდ გამარჯვებებსაც მოუტანენ.

ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც ფეხბურთელების შერჩევისას ვხელმძღვანელობთ, პიროვნული თვისებებია. რაგინდ ნიჭიერი იყოს, ჩემს გუნდში ვერ მოხვდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც საკუთარ თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს და გუნდის ინტერესებს უგულებელყოფს. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ნაკრებში ძალიან კარგი ადამიანები და თავისი ქვეყნის პატრიოტები თამაშობენ. სწორედ ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი პროფესიონალებად გაიზრდებიან და საკუთარ ცხოვრებას ფეხბურთს მიუძღვნიან.



### გზა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე

**პირველი შესარჩევი რაუნდი**

**მოლდოვა**

**საქართველო-ბულგარეთი 3:2**

გოლები: ჭეჭელაშვილი (პენ.), ახვლედიანი, პაპუნაშვილი

**საქართველო-მოლდოვა 2:1**

გოლები: ჭეჭელაშვილი (პენ.), ნ. ჭანტურია

**საქართველო-შვედეთი 0:2**

**ელიტრაუნდი**

**საქართველოში**

**საქართველო-ესპანეთი 1:1**

გოლი: ჭეჭელაშვილი (პენ.)

**საქართველო-ინგლისი 1:0**

გოლი: პაპუნაშვილი

**საქართველო-უკრაინა 1:0**

გოლი: მზევაშვილი

**ფინალური რაუნდი**

**საქართველო-გერმანია 0:1**

გოლი: 0:1 მაიერი (60)

**საფრანგეთი-საქართველო 1:1**

გოლები: 0:1 ჭეჭელაშვილი (30. პენ.), 1:1 ლემარი (67)

**საქართველო-ისლანდია 1:0**

გოლი: 1:0 დარციმელია (74)

**ნახევარფინალი**

**ჰოლანდია-საქართველო 2:0**

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის სრული სტატისტიკაა გამოქვეყნებული და ვფიქრობთ, ამ მაჩვენებლებისთვის თვალის შევლება უინტერესო არ უნდა იყოს.

- ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი 3 გოლით გერმანელი **მაქს მაიერი** გახდა, მეორე ადგილზე კი 2 გოლით მისი თანაგუნდელი **ლეონ გორეტცკა** გავიდა. ქართველთაგან გოლები **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** და **დავით დარციმელიამ** გაიტანეს;

- საუკეთესო ასისტენტთა დავაში 2-2 საგოლე პასით ისლანდიელმა **ოლივერ სიგურიონსონმა**, გერმანელმა **მარკ შტენდერამ** და ჰოლანდიელმა **ტომ ჰაიემ** გაიმარჯვეს. ქართველთაგან ერთადერთი შედეგიანი გადაცემა **გიგა სამხარაძემ** გააკეთა;

- მეტოქის კარის ჩარჩოში ყველაზე მეტჯერ, 6-6-ჯერ, გერმანელებმა, **საიდ ბენკარიტმა** და **ლეონ გორეტცკამ** დაარტყეს. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ამ მხრივ 4 დარტყმით საუკეთესოა **გიორგი პაპუნაშვილი**;

- ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტჯერ, 3-3-ჯერ, საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ნიკა ჭანტურია** და გერმანელი ნიკლას სიულე გააფრთხილეს;

- სლოვენიაში ოთხი ფეხბურთელი გააძევეს და ჭანტურია ერთ-ერთი მათგანია;

- ევროპის ჩემპიონატის ყველაზე უხეში ფეხბურთელი 13 ჯარიმით პოლონელი **მარიუშ შტეპინსკი** გახდა, ქართველებიდან კი ყველაზე მეტჯერ, 6-ჯერ, **დავით ჯიქია** დაჯარიმდა;

- ყველაზე მეტჯერ, 9-ჯერ, ისლანდიელ ოლივერ სიგურიონსონს ეუხეშნენ, ჩვენგან კი 6-ჯერ **ალეკო მზევაშვილმა** იუხეშა.

**გუნდური სტატისტიკა**

- ყველაზე მეტი, 7 გოლი, გერმანიამ გაიტანა, ქართველებმა თავი ორჯერ გამოიჩინეს;

- ყველაზე მეტი, 7 გოლი, მასპინძელმა სლოვენიამ გაუშვა, გერმანიას მხოლოდ ერთხელ გაუტანეს, საქართველოს კი – 4-ჯერ;

- მეტოქის კარის ჩარჩოში გერმანიამ 32-ჯერ დაარტყა, ჩვენმა ნაკრებმა კი – 11-ჯერ, რაც ჩემპიონატის რვა მონაწილეს შორის მეექვსე შედეგია;

- ყველაზე მეტი კუთხური გერმანიამ ჩააწოდა – 24, საქართველომ კი 14. ამ შედეგით მეხუთე პოზიციაზე ვართ;

- 59 ჯარიმით ევროპის ჩემპიონატის ყველაზე უხეში გუნდი პოლონეთია, საქართველო კი 46 ჯარიმით მეორეა. ყველაზე კორექტულები ფრანგები იყვნენ;

- ყველაზე მეტჯერ, 53-ჯერ, ჰოლანდიელთა წინააღმდეგ დაჯარიმდნენ, ქართველებს 42-ჯერ ეუხეშნენ, რაც მესამე შედეგია;

- გაფრთხილებათა რაოდენობით 14 ყვითელი ბარათით საქართველოს ნაკრები ლიდერობს, ფრანგები მხოლოდ 3-ჯერ გააფრთხილეს.

### საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე

| ფეხბურთელი | თ | ძ | გ | ს/პ. | გაფ. | გაძ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ა. ადამია (მეკ.) | 4 | 4 | - | - | - | - |
| 2. ო. კაკაბაძე | 4 | 4 | - | - | 1 | - |
| 3. ლ. დვალი | 3 | 3 | - | - | 2 | - |
| 4. ნ. ჭანტურია | 4 | 4 | - | - | 3 | 1 |
| 5. გ. სამხარაძე | 4 | 4 | - | 1 | - | - |
| 6. ჭ. ჭეჭელაშვილი | 3 | 2 | 1 | - | 1 | - |
| 7. გ. აბურჯანია | 3 | 2 | - | - | 2 | - |
| 8. გ. პაპუნაშვილი | 4 | 4 | - | - | 1 | - |
| 9. ვ. წილოსანი | 3 | 3 | - | - | - | - |
| 10. ნ. ახვლედიანი | 2 | 1 | - | - | - | - |
| 11. დ. დარციმელია | 4 | 1 | 1 | - | 1 | - |
| 12. ნ. შერმადინი | - | - | - | - | - | - |
| 13. მ. ცინცაძე | 2 | - | - | - | - | - |
| 14. დ. ჯიქია | 4 | 3 | - | - | - | - |
| 15. ა. მზევაშვილი | 4 | 2 | - | - | 1 | - |
| 16. გ. გაბაძე | 1 | 1 | - | - | - | - |
| 17. ა. მესხი | 1 | 1 | - | - | 1 | - |
| 18. გ. გოროზია | 4 | 4 | - | - | 1 | - |

ლევან ჯანეზაშვილი



# ამბობენ, ჩემპიონატი ხვალ მთავრდებაო...

ცხრათვენახევრიანი მარათონი სრულდება: პლეი ოფის ხვალინდელი ოთხი მატჩი საქართველოს ჩემპიონსაც გამოავლენს და იმ გუნდების ვინაობასაც შევიტყობთ, ამ ზაფხულს ევროპის ლიგაზე რომ იასპარეზებენ. მთავარი ინტრიგა, რაღა თქმა უნდა, ფოთსა და ზესტაფონში ჩასატარებელ მატჩებს ახლავს: „კოლხეთი“ - „მეტალურგის“ და „ზესტაფონი“ - „მერანის“ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა, რუსთაველები იზეიმებენ მესამე საჩემპიონო ტრიუმფს თუ ზედიზედ მეორედ ზესტაფონში იქნება ფოიერვერკები და შამპანურის ბათქაბუთქი...

...„ლელოს“ გუშინდელ ნომერშიც ვწერდით („ჩემპიონი: დე ფაქტო? დე იურე?“) იმ, ცოტა არ იყოს, კურიოზულ სიტუაციაზეც, ბოლო ტურის წინ რომ არის შექმნილი. ანუ, წინასწარ მართლაც ძნელია იმის განსაზღვრა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, „მეტალურგმა“ და „ზესტაფონმა“ ჩემპიონატი ერთნაირი ქულებით რომ დაამთავრონ. თუმცა, როგორ გგონიათ, ჩემპიონატის ბოლო ტურს მხოლოდ ეგ ინტრიგა შემორჩა? მოგეხსენებათ, რომ წლევანდელ ევროტურნირებზე ოთხი ქართული გუნდი იასპარეზებს: ერთი - ჩემპიონთა ლიგაზე, სამიც - ევროპის ლიგაზე. ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი გუნდი „ზესტაფონი“ იქნება ან „მეტალურგი“, შესაბამისად ამ ორიდან ერთ-ერთი (როგორც მეორეადგილოსანი), ქუთაისის „ტორპედოს“ (მესამე ადგილს ვერავინ შეეცილება) „შეუამხანაგდება“ და ევროპის ლიგაზე იასპარეზებს. აი, რაც შეეხება მესამე გუნდს, აქაც საინტრიგო „დაგვიტოვეს“: „ზესტაფონის“ ჩემპიონობის შემთხვევაში ევროპის ლიგის საგზურს ავტომატურად გორის „დილა“ ინაღდებს (როგორც თასის ფინალისტი), აი, ჩემპიონი თუ „მეტალურგი“ გახდება, მაშინ უკვე სატურნირო ცხრილის მეოთხე ადგილს მართლაც „საერთაშორისო ფასი“ დაედება! ანუ, ამ შემთხვევაში „დილას“ უმოტივაციო „ტორპედოს“ დამარცხება მართებს, თორემ დიდი შანსია, რომ „დინამომ“ გადაასწროს და ევროტურნირებზეც სწორედ თბილისური გუნდი გავიდეს. ოღონდ, „დინამოს“ მაინც არ ექნება განაღდებული ევროპის ლიგის საგზური: ამისათვის თასის ფინალს უნდა დაელოდონ და „ზესტაფონს“ უქომაგონ!

ოღონდ, მოვლენების მსგავსი განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, ჩემპიონი თუ „მეტალურგი“ გახდება. მოკლედ, ამ სეზონს რასაც ვერ „წავართმევთ“, ეს - ინტრიგაა. თუმცა XXIII ჩემპიონატს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ვუწოდებთ გამორჩეულსა და განსაკუთრებულს; ეგ კი არა, ჯერჯერობით არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები „მეტალურგმა“ და „ზესტაფონმა“ ჩემპიონატი ერთნაირი ქულებით რომ დაამთავრონ!..

**გია ტუხაშვილი**

## პლეი ოფი

| მატჩი | თარიღი, ადგილი | დრო |
| --- | --- | --- |
| კოლხეთი-მეტალურგი (Live რეპორტაჟი პირველ არხზე) | 20.05. ფოთი. ფაზისი | 17:00 |
| ზესტაფონი-მერანი | 20.05. ზესტაფონი. დ.აბაშიძე | 17:00 |
| ტორპედო-დილა | 20.05. ქუთაისი. ტორპედო | 17:00 |
| დინამო-ბაია | 20.05. თბილისი. დინამო არენა | 17:00 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | მეტალურგი | 27 | 16 | 4 | 7 | 37 | 28 | 52 |
| 2 | ზესტაფონი | 27 | 15 | 7 | 5 | 49 | 28 | 52 |
| 3 | ტორპედო | 27 | 13 | 6 | 8 | 31 | 23 | 45 |
| 4 | დილა | 27 | 10 | 7 | 10 | 36 | 29 | 37 |
| 5 | დინამო | 27 | 9 | 10 | 8 | 41 | 34 | 37 |
| 6 | კოლხეთი | 27 | 8 | 8 | 11 | 25 | 37 | 32 |
| 7 | ბაია | 27 | 5 | 7 | 15 | 24 | 43 | 22 |
| 8 | მერანი | 27 | 6 | 3 | 18 | 31 | 52 | 21 |

*შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია www.gff-ge-ს მიხედვით*



2010 წლის 5 მაისი. რუსთავის ოლიმპი ჩემპიონობას ზეიმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



2011 წლის 14 მაისი. საჩემპიონო ზეიმი ზესტაფონში

## 1 კვირის 1000 წვრილმანი

**დავით თავართქილაძე**

# როგორც იქნა: ციხე შიგნიდან გატყდა

“ზესტაფონის” პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** სკანდალური განცხადებები გააკეთა, ისიც კი თქვა, **ბუბა ტყავაძე** ქართული ფეხბურთიდან უნდა მოიკვეთოსო.

მანამდე ქართული ფეხბურთი ისეთი ციხე იყო, რომელიც შიგნიდან არ ტყდებოდა. გარიგებული მატჩები, მსაჯებზე გასვლა, ათასი მამაძაღლობა – ხმის ამომღები არავინ იყო, მხოლოდ ზოგადი საუბრები, კულუარული ლაპარაკი, მასმედიაში კონკრეტულ ფაქტებზე და კონკრეტულ პიროვნებებზე კლუბებიდან არავინ არაფერს ამბობდა. კოკაიამ კი გუდას პირი მოხსნა და ქართულ საფეხბურთო სინდიკატს წყალი შეუყენა.

არაერთ ფეხბურთელსა და მწვრთნელს მოუყოლია, თუ რა ხდებოდა ქართულ ფეხბურთში. ამ ცოტა ხნის წინათ ერთმა ყოფილმა ფეხბურთელმა ისიც მითხრა, კლუბის პრეზიდენტი უშუალოდ ფეხბურთელებს დაგველაპარაკა ევროტურნირის მატჩის წინ და გვითხრა, ეს თამაში უნდა წააგოთო. ასეთ ექსკლუზიურ და მჭექ მასალას რომელი ჟურნალისტი არ ინატრებდა, მაგრამ რად გინდა, ყოფილმა ფეხბურთელმა ეს მხოლოდ შინაურულად, არასაგაზეთოდ მითხრა.



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

ერთი სიტყვით, ქართულ ფეხბურთს ცოდვა-ბრალი არ აკლია. კოკაიას სკანდალურმა განცხადებებმაც 2008 წელი გამახსენა. მაშინ “ზესტაფონი” თასის ფინალში გავიდა და ასწია კიდეც ნანატრი ჯილდო, “დინამო” კი ჩემპიონი გახდა. იმ სეზონში ეს გუნდები ცხადია, არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, მათგან გამორჩეული, ალბათ ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრაც მაშინ იყო, როცა “დინამოს” მეკარე **დიდიე ოვონო** ერთ კუთხეში გადახტა, ზესტაფონელი **როინ ონიანის** საგოლე დარტყმა კი საპირისპირო კუთხეში წავიდა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, “ზესტაფონის” პრეზიდენტი მაშინაც ილია კოკაია იყო, ხოლო “დინამოს” ბუბა ტყავაძე მართავდა.

მაშინ სხვა დრო იყო, ანუ მოქმედებდა ციხის შიგნიდან არგატეხვის წესი, სინდიკატიც უფრო ღონიერი და თავნება გახლდათ. ახლა კი ხომ ხედავთ, რა ხდება, ძველი ამბები დაავიწყდათ და მიდის მტვრევა-მსხვრევა.

მე მაინც მგონია, რომ კოკაიას ახლანდელი განცხადებები რალაც სარგებლობას მოუტანს მთლიანად ქართულ ფეხბურთს, თუნდაც იმიტომ, რომ ციხე შიგნიდან უკვე გატეხილია.

■ ■ ■

ამასობაში **კახა კალაძემ** ფეხბურთელობას თავი დაანება, გუშინ კი სამშობლოში დაბრუნდა. დღეს რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალია მიუნხენში, ეს თასი კალაძემ ორჯერ მოიგო, სამტრედიიდან “მილანში” მოხვდა და ქართველი ახალგაზრდობისთვის სამაგალითო გახდა. კალაძე გზას რომ იკაფავდა, მაშინ სულ სხვა დრო იყო, მან საკუთარი შრომით მიაღწია წარმატებებს და არა განგსტერობით.

კალაძე ახლა პოლიტიკაშია ჩართული და ვფიქრობ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვის გვერდში დგას და ვის აკრიტიკებს. მთავარი აქ სხვა რამე უნდა იყოს – მაგალითი, რომელსაც ძალიან დიდი ძალა აქვს.

კალაძე ჯერაც ახალგაზრდა კაცია, ცხოვრება მოწყობილი აქვს, მაგრამ იმავდროულად პროტესტის გრძნობაც გააჩნია.

სულაც არ არის აუცილებელი, რომ პროტესტი გინდა თუ არა, პოლიტიკური იყოს, აუცილებელი ის არის, რომ საქართველოშიც ჰქონდეთ ახალგაზრდებს და მთლიანად საზოგადოებას პროტესტის გრძნობა.

როცა ოვონო იქით ხტებოდა და ბურთი აქეთ გადიოდა, ცნობადი სახეებიდან მაშინ ხმას არავინ იღებდა, მხრებს იჩეჩავდნენ და ამბობდნენ, მტკიცებულებები არ არისო. მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატიც ამ ყველაფრის შედეგია...

■ ■ ■

ერთი ტურიც და საქართველოს ჩემპიონატი დასრულდება, სეზონი კი ამით არ მთავრდება, იქითა კვირას ჩვენი ეროვნული ნაკრები ამხანაგურად თურქებს გაეჯიბრება. **თემურ ქეცბაიამ** საამმატჩო შემადგენლობაც დაასახელა. საქართველოს ნაკრებში და მის გარშემო რაც ხდება, ყველამ იცის, აქ ციხეს გატეხვა აღარ სჭირდება, ოღონდაც საქმე წინ მაინც ვერ მიდის.

არა მგონია, ქეცბაიას ნდობის კრედიტი ისეთივე დიდი ჰქონდეს, როგორც მანამდე, ამიტომაც მისი გაწვრთნილი ნაკრების ყოველი ამხანაგური მატჩი განსაკუთრებულად დატვირთულია. მწვრთნელ ქეცბაიასთვის ეს ერთგვარად გარდამტეხი პერიოდია – არის შანსი, რომ ნაკრები თავდაჯერებულად შეხვდეს მომდევნო შესარჩევ ციკლს.

ქართული ფეხბურთი

მერანი


ფრიდონ ინჯია

# ინჯია გუნდს არ მიატოვებს

ზამთრიდან მოყოლებული ვრცელდება ცნობები, რომ მარტვილის "მერანს" ფინანსურად გაუჭირდა, რომ მოთამაშეები გაქცევაზე არიან და ა.შ. მარტვილელთა გუნდს **ფრიდონ ინჯია** აფინანსებს და მართალია, უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი (თუ ყველაზე არა) დაბალბიუჯეტიანი კლუბია, მაგრამ კლუბში ოფიციალურად დაგვიდასტურეს, რომ ხელფასები დროულად რიგდება და შეფერხება არ ყოფილა.

ახლა კიდევ აგორდა ჭორები, თითქოს კლუბი მეპატრონეს შეიცვლის. თითქოს, ინჯიამ განზე გადგომა გადაწყვიტა, გუნდი ავალორძინე და ახლა დროა, სხვამ მიხედოსო. მაგრამ ეს ხმები კლუბის დირექტორმა **ადონის პაპადოპულოსმა (ელდარ ბაკურია)** უარყო და გვითხრა, რომ ინჯია კლუბშია და არსად წასვლას არ აპირებს.

ფრიდონის და მისი ვაჟის, **ილია ინჯიას** დამსახურებაა **მურთაზ ხურცილავას** აღმზრდელი კლუბის (ადრე გეგეჭკორის "სალხინო") აღორძინება, მარტვილის საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და „მერანის" უმაღლეს ლიგაში მოხვედრა.

„სალხინოს" ბაზაზე **ფრიდონ ინჯიას, ნუგზარ მონიავას, დაზმირ ვახანიას, ემილ გალდავას** დაფუძნებული ,,მერანი'' ჯერ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადავიდა, 2011 წელს კი, არსებობის მანძილზე პირველად, უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. მიმდინარე ჩემპიონატში ეს გუნდი ნამდვილი აღმოჩენა გახდა, სასიამოვნოდ გააოცა სპეციალისტები და გულშემატკივართა იმედები გაამართა.

სხვათა შორის, "მერანი" პირველი ლიგის გუნდებიდან პირველია, რომელმაც დავით ყიფიანის თასის გათამაშების ნახევარფინალამდე გააღწია (2009-2010 წლების სეზონში).

მოკლედ, ინჯია კლუბს ისევ დაეხმარება, მაგრამ მარტვილელი გულშემატკივრები და ფეხბურთელები გაოცებული კითხულობენ, რატომ არ არის ფეხბურთის ფედერაციის გეგმებში მარტვილის სტადიონზე საფრის შეცვლა? ინჯია "მერანს" ბიზნესად არ განიხილავს, ასე რომ ნდომოდა, ფეხბურთელებს გაყიდდა, მაგრამ სტადიონი და ბაზაა გასაკეთებელი, ამდენს კი ვერ შეწვდებიან. არადა, წლეულს მოედნის საფარი მოწესრიგებული რომ ჰქონოდა, "მერანი" ფოთსა და ზუგდიდში არ ითამაშებდა და მე-8 ადგილზე მაღლაც იქნებოდა: პირველი ეტაპის შემდეგ ხომ გუნდი მე-4 პოზიციაზე იმყოფებოდა და სწორედ ამის შემდეგ აუკრძალეს მარტვილში თამაში...

მერაბ მამულაშვილი

მეტალურგი



# სევასტი თოდუა დაბრუნდა

რუსთავის "მეტალურგის" მცველი **სევასტი თოდუა** აპრილში "ზესტაფონთან" შეხვედრისას დაშავდა. 35 წლის გამოცდილ მცველს კუნთი გაუწყდა და მას შემდეგ აღარ უთამაშია.

თუმცა, გაგიკვირდებათ და, თოდუა მძიმე ტრავმისგან სწრაფად განიკურნა. როგორც გვითხრა, ვარჯიში დაიწყო და სათამაშოდ უკვე მზად არის: *"18 წელია ვთამაშობ და ამ ხნის განმავლობაში სერიოზულ ტრავმას არ შევუწუხებივარ. კუნთი რომ გამიწყდა, მეგონა, მკურნალობას დიდი დრო დასჭირდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, მალე მოვმჯობინდი და თამაში შემიძლია. მე მზად ვარ და თუ მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, "მეტალურგს" ბოლო ტურში ფოთის "კოლხეთთან" შეხვედრაში დავეხმარები".*

მერაბ მამულაშვილი

პროგნოზები

# ბაიერნი თუ ჩელსი ?

— დღეს ჩემპიონთა ლიგის ფინალია და წარსულში ცნობილ ფეხბურთელებს კიდევ ერთხელ ვთხოვეთ აზრის გამოთქმა. ასეთი რანგის მატჩის პროგნოზირება ძალიან რთულია, თუმცა არის არგუმენტები, რითაც შესაძლებელია კამათი და მსჯელობა...

ალექსანდრე ჩივაძე:



ლონდონის "ჩელსის" დისკვალიფიკაციის გამო აკლია წამყვანი ფეხბურთელები, ამავე მიზეზით დანაკარგი მიუნხენის "ბაიერნსაც" აქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ "ჩელსის" დანაკარგი უფრო დიდია. გარდა ამისა, "ბაიერნი" შინ თამაშობს და ალბათ ფინალსაც მოიგებს. ზოგადად, ფინალის შედეგის წინასწარმეტყველება საკმაოდ ძნელია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორს, თუ ფსიქოლოგიურად უფრო რომელი გუნდი იქნება მზად გამარჯვებისთვის. ასეთ თამაშებს უმაღლესი დონის შემსრულებლები იგებენ და ბევრს გადაწყვეტს ის, თუ როგორ წაუვათ თამაში არიენ რობენს, ფრენკ რიბერისა და დიდიე დროგბას. ფეხბურთი ისე ვითარდება, არ არის გამორიცხული, რომ ამ ფინალში თამაში საკუთარ თავზე ისეთმა ფეხბურთელებმაც აიღონ, ლიდერებად რომ არ ითვლებიან.

თენგიზ სულაქველიძე:



შედეგის გამოცნობა ძნელი კი არის, მაგრამ მე უფრო "ჩელსის" ვანიჭებ უპირატესობას. დროგბას თამადობით ლონდონელებს ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, რომ "ბაიერნის" დამარცხება მათთვის შეუძლებელი არ უნდა იყოს. ისიც გასათვალისწინებელია, თუ როგორი მეტოქეები ჩამოიცილა "ჩელსიმ" ფინალამდე. კარგ სანახაობას ველი მიუხედავად იმისა, რომ ეს ფინალია. ჩემი ვარაუდით, ორივე გუნდი აქტიური იქნება შეტევაში, "ჩამჯდარ" ფეხბურთს არც ერთი არ ითამაშებს.

ოთარ გაბელია:



ბავარიელები შინ თამაშობენ და ვფიქრობ, შანსები 60/40-ზეა მათ სასარგებლოდ. გამოცდილებას რაც შეეხება, აქაც მცირე უპირატესობა ალბათ "ბაიერნის" მხარეზეა. გერმანული ხასიათიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რა თქმა უნდა, "ჩელსიც" ძალიან მონდომებული იქნება, მაგრამ გერმანული შეუპოვრობა მაინც სულ სხვა არის.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# ლონდაძის მიუტევებელი შეცდომა

**მამუკა ლონდაძე** გასულ სეზონში 21 გოლით ლატვიის ჩემპიონატის მეორე ბომბარდირი გახდა. 26 წლის თავდამსხმელი წლეულსაც მშვენიერ ფორმაშია და კვლავ ვერ აჩერებენ: ლატვიის ვირსლიგის მე-11 ტურში უშუალო კონკურენტ იურმალას "სპარტაკთან" სტუმრად (2:2) "კანუმ" (ლონდაძის მეტსახელია) 54-ე წუთზე თავისიანები დააწინაურა. "დაუგავა" 22 ქულით პირველ ადგილზეა და მეორეზე მყოფ იურმალელებს 2 ქულით უსწრებს.

მიმდინარე სეზონში ეს ქართველი თავდამსხმელის მიერ 10 შეხვედრაში გატანილი მე-9 გოლი იყო და ვირსლიგის ბომბარდირთა დავას ლიდერობს. მეორე ადგილზე "გულბენეს" იაპონელი თავდამსხმელი **იოსუკე საიტოა**, რომელმაც 8 გოლი ერთით მეტ მატჩში მიითვალა.

სულ ლატვიაში ჩატარებულ 48 შეხვედრაში ლონდაძემ მეტოქის კარი 35-ჯერ აიღო, რაც ძალიან მაღალი შედეგია – საშუალოდ, 0,729 გოლი. შარშანდელი სეზონის შემდეგ, ლატვიურმა გამოცემა „სპორტცენტრმა" წლის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, "სკონტოს" თავდამსხმელ **ნათან ჟუნიორთან** და „ვენტსპილსის" კაპიტან **ოლეგ ლაიზანსთან** ერთად კი - ლატვიის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის. ლონდაძე ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომაც გამოარჩია და სეზონის 22 გამორჩეული მოთამაშის სიაში პირველი მარჯვენა თავდამსხმელის ადგილი მიუჩინა.

ასეთი პროგრესის გამო, ლონდაძის მიმართ დიდი ინტერესი გაჩნდა. შედეგად გაიზარდა მისი რეიტინგი და "ტრანსფერმარკტმა" მანამდე 50 ათას ევროდ შეფასებული ტრანსფერის გრაფაში 350 ათასი ჩაუწერა.


მამუკა ლონდაძე

"დაუგავას" ქართველის გადაბირებით უკრაინული, პოლონური და წამყვანი ქართული კლუბები დაინტერესდნენ, მაგრამ თავდამსხმელში "დაუგავა" 300 ათას ევროს ითხოვს, რაც მოლაპარაკების ჩაშლას განაპირობებს. უკრაინელებისთვის ამ თანხის გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ლატვიიდან და მსგავსი ქვეყნებიდან თავისუფალ აგენტებს უფრო ეტანებიან, მით უფრო, საშუალო ან დაბალ ადგილებზე მყოფი კლუბები. გრანდები კი ლონდაძით არ ინტერესდებიან.

რაც უნდა სამწუხარო იყოს, ყველაფერი თავად ლონდაძის ბრალია. 2011 წლის დეკემბერში ქართველი თავდამსხმელით უკრაინის პრემიერლიგის სამი კლუბი დაინტერესდა - კრივოი როგის „კრივბასი", ლუგანსკის „ზარია" და ლვოვის „კარპატი" და სამივე ტესტირების გარეშე სთავაზობდა კონტრაქტს. ცხადია, ლატვიის შემდეგ უკრაინის პრემიერლიგაში გადასვლა სასურველი იყო. დეკემბერში „ზარიაში" ივარჯიშა, კლუბის პრეზიდენტსა და მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა და მუდმივნომრიანი მაისურაც შეარჩია.

მოკლედ, ყველაფერი გადაწყვეტილი რომ ეგონა, მოლაპარაკება ჩაიშალა და ლატვიაში დარჩენა მოუხდა. გული იმიტომაც დასწყდა, რომ „კარპატი" და „კრივბასი" კონტრაქტს გასინჯვის გარეშე უფორმებდნენ, მანამდე კი ვარშავის „ლეგიაში" ჩარიცხვას ჰპირდებოდნენ.

მაგრამ ამას სხვას ვერ დააბრალებს – გაუგებარია რატომ, მაგრამ ლატვიიდან წამოსვლამდე, როდესაც უკრაინელების ინტერესი მისთვის უკვე ცნობილი იყო, "დაუგავას" პრეზიდენტის **ოლეგ გავრილოვის** დაჟინებული მოთხოვნით, კონტრაქტი გაახანგრძლივა. როგორც ლონდაძემ გვითხრა, მოატყუეს, ერთწლიანის ნაცვლად, ხელი ორწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერინეს, მაგრამ რა რჯიდა, როდესაც ცალი ფეხით ბევრად ძლიერ ჩემპიონატში იყო? უკრაინელებმა კი ლატვიელების მოთხოვნილი 300 ათასი ევროს გადახდა არ ისურვეს.

ახლა, როდესაც საზაფხულო სატრანსფერო ფანჯარა იხსნება, ლონდაძის ტრანსფერი ისევ აქტუალური გახდა, მაგრამ 300 ათასი ევროს გადამხდელი კვლავ არ ჩანს. რომ არა ზამთარში დაშვებული შეცდომა, ახლა "დაუგავას" ფორვარდი ბევრად ძლიერ კლუბში ითამაშებდა.

თუმცა, იმედი ბოლოს კვდება და მამუკასაც სჯერა, რომ გამოჩნდება კლუბი, რომელიც ლატვიიდან დაიხსნის.

მერაბ მამულაშვილი

U 19


ოთარ კორღალიძე

# უფროსუმცროსობა

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი- **ოთარ კორღალიძე** ) გუშინ "ბასაზე" საკონტროლო შეხვედრა ერთი წლით უმცროსებთან (1994 წელს დაბადებულები, მთავარი მწვრთნელი- **კახა კაჭარავა**) ჩაატარა. სამწუხაროდ, ამ მატჩში საყრდენი ნახევარმცველი **სანდრო რეხვიაშვილი** დაშავდა და ხორვატიაში მისი გამგზავრება საეჭვოა.

უფროსებმა დიდი წინააღმდეგობის დაძლევით იმარჯვეს. კაჭარავას გუნდმა თამაში კარგად დაიწყო და 2:0 დაწინაურდა – თავი **სამუშიამ** და **მათიაშვილმა** გამოიჩინეს. უფროსებმა ანგარიში ტაიმის მიწურულს **გიგაურის** გოლით გაათანაბრეს.

კორღალიძის გუნდი მეორე ტაიმში გააქტიურდა, წონასწორობა კი პენალტით **პარუნაშვილმა** აღადგინა 2:2.

მალე **კვერნაძემ** უფროსები შორეული დარტყმით დააწინაურა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:2.

U19 (1993-წლიანები): ლეგაშვილი – ზარნაძე, გაგნიძე, სანდოხაძე, ჯგერენაია – პაპავა, გიგაური, პარუნაშვილი – ჭკუასელი, კვერნაძე, კიკნაველიძე.

შეცვლაზე: ტყეშელაშვილი, ტვილდიანი, გრიგალაშვილი, ენდელაძე, სამუშია, გაგოშიძე.

U19 (1994-წლიანები): ტაკიძე – მთივლიშვილი, ჩიტიშვილი, ნარმანია, კუსიანი – ექვთიმიშვილი, ლ. კვარაცხელია, ფონიავა – სამუშია, მათიაშვილი, ენდელაძე.

შეცვლაზე: გეგეჭკორი, შანგუა, ცნობილაძე, მარკოზაშვილი, ჯავახიშვილი, ჭანტურია, ზივზივაძე, ს. კვარაცხელია.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუსელდორფის საქმე

# ლევანის საქმე ცუდადაა!

## ვოლფგანგ შტარკი: კობიაშვილმა კისერში მუშტი ჩამარტყა და რომ არა მოაჯირი, კიბეზე დავგორდებოდი!



დიუსელდორფის „ფორტუნას“ და ბერლინის „ჰერტას“ დავა წესით გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სასამართლომ განაჩენის გამოტანა ვერ მოასწრო - განხილვა და მოწმეების მოსმენა შუადღისას დაიწყო და სალამომდე გასტანა, რის შემდეგაც მოსამართლე **ჰანს ლორენცმა** განაცხადა, მიუხედავად ცაიტნოტისა, გადაწყვეტილებას დღეს ველარ მივიღებთო. ამრიგად, ორშაბათს გაირკვევა, რა ბედი ელით „ფორტუნას“ და „ჰერტას“. სულ სამი ვარიანტია: 1. დიუსელდორფში დაფიქსირებული შედეგი (2:2) ჩაითვლება და „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება, ხოლო „ფორტუნა“ კი ელიტაში ალზევდება; 2. დაინიშნება გადათამაშება ნეიტრალურ სტადიონზე და მატჩი ცარიელი ტრიბუნების ფონზე ჩატარდება; 3. „ჰერტას“ ჩაეთვლება მოგება, რაც ყველა ექსპერტის თქმით, თითქმის გამორიცხულია.

თუმცა ჩვენ ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, **ლევან კობიაშვილის** ბედი გვაღელვებს. გუშინდელ განხილვაზე ლევანი არ იყო გამოძახებული, მაგრამ მასზე ბევრი ისაუბრეს - სამწუხაროდ, კობიზე კარგი არაფერი უთქვამთ. მატჩის არბიტრმა **ვოლფგანგ შტარკმა** სასამართლოს წინაშე კობის ოფიციალურად დასდო ბრალი მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ლევანს 6 კვირიდან 2 წლამდე დისკვალიფიკაციისა და სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდის საფრთხე ემუქრება.

*„მსაჯების გასახდელისკენ მიმავალს, „ჰერტას“ ფეხბურთელები მომსდევდნენ. ისინი სასტიკად მლანძლავდნენ და ისეთი სიტყვებით მაგინებდნენ, გამეორება მიჭირს. სწორედ ამ დროს, ლევან კობიაშვილმა მუშტი მომიქნია. გვერძე გავიწიე, მაგრამ მისი მუშტი კისერში მომხვდა. რომ არა მოაჯირი, ამ დარტყმისგან კიბეზე დავგორდებოდი. ეს იყო დაახლოებით 6-მეტრიანი კიბე,“* - თქვა 42 წლის ფიფას არბიტრმა. დარტყმისგან მას კისრის არეში სისხლჩაქცევა გაუჩნდა და დახმარენა „ფორტუნას“ ექიმებმა აღმოუჩინეს.

შტარკი: *„ჩემზე ფაქტობრივად ნადირობა იყო გამოცხადებული. კრისტიან ლელიც ხელით შემეხო - მკლავი დამიჭირა და ბინძური ლორი მიწოდა. იქვე იყო ანდრე მიატოვიჩიც, რომელიც ღრიალებდა და ონანისტს მიწოდებდა. მსაჯებმა გასახდელში ძლივს შევაღწიეთ და კარი დავკეტეთ. ბერლინელ ფეხბურთელებს კარის შემომტვრევა სურდათ და ჩვენ კარს მაგრად ვიჭერდით. მივხვდი, რომ კართან მიატოვიჩი და „ჰერტას“ მეკარე კრაფტი იყვნენ. ისინი ღრიალებდნენ, კარს ხელ-ფეხს ურტყამდნენ და ყვიროდნენ, „შტარკ, შე უკანალის ხვრელოო!“ ძალიან შემეშინდა, ცრემლები წამომივიდა და შეურაცხყოფილი ტუჩებს ვიკვნეტდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ცხოვრებაში ასეთი რამ შემემთხვეოდა.“*

შტარკის ასისტენტი, **მიკე პიკელი**: *„ჰერტას“ ფეხბურთელები გადარეულები იყვნენ. მე დავინახე, როგორ დაარტყა კობიაშვილმა შტარკს, ლელმა კი ხელი ისე წაავლო, რომ ვოლფგანგმა თავი ძლივს დააღწია. ამ დროს, ბერლინელები სასტიკი სიტყვებით ილანძღებოდნენ. მიატოვიჩმა შეურაცხყოფა კიბესთან მოგვაყენა, მერე გასახდელთან კიდევ რამდენიმე ბერლინელი დაგვხვდა - ყველანი გვიტევდნენ. მათ გასახდელში შემოჭრა სურდათ, ჩვენ კი კარს ვიჭერდით.“*

როგორც ხვდებით, შტარკის ახსნა-განმარტებამ ლევან კობიაშვილი ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. მსაჯზე ხელის აღმართვა მას ალბათ ძვირად დაუჯდება. თუმცა კობი „თავისი სიმართლის“ (ეს ლევანის სიტყვებია) დამტკიცებას ეცდება. მის სასარგებლოდ ამ შემთხვევაში მხოლოდ ის მეტყველებს, რომ არც ერთ ფოტოზე და არც ერთ ვიდეოჩანაწერში არ ჩანს, როგორ აყენებს კობი შტარკს ფიზიკურ ან თუნდაც მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ფაქტია ისიც, რომ იმ ადგილზე, სადაც, შტარკის თქმით, მას ლევანმა დაარტყა, ვიდეო-კამერები დამონტაჟებული არ არის.

**გოტფრიდ ლენცი**

ლაციო


მიროსლავ კლოზე

# კლოზემ გეგმები გაამხილა

„ლაციო" ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა დარჩა, რაც საკმარისი საბაბი გამოდგა იმისთვის, რომ **ედუარდო რეიას** პოსტის დატოვების შესახებ გაეკეთებინა განცხადება. მართალია, მწვრთნელი ირწმუნება, ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ზამთარში მივიღეო, მაგრამ ამის აპენინებზე ნაკლებად სჯერათ. რომაული კლუბის პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** უკვე გამოეხმაურა რეიას გადაწყვეტილებას და პრესასთან შემდეგი განაცხადა:

*"ჩემი სურვილი იყო, რომ ედის გაეგრძელებინა მუშაობა, მაგრამ თავად წასვლა არჩია და ვერაფრით შევაჩერე. დავპირდი, რომ ერთი კვირის განმავლობაში მის შესაძლო შემცვლელზე არცკი ვიფიქრებდი და თუ ამ პერიოდში გადაწყვეტილება შეცვალა, სიამონებით დავაბრუნებთ. თუ არა და, დიდ მადლობას გადავუხდით და კეთილი სურვილებით დავემშვიდობებით".*

ამასობაში, დაირხა ხმები **მიროსლავ კლოზეს** "ლაციოდან" შესაძლო აბარგების შესახებ – ამბობდნენ მირო უკმაყოფილოა სამეულს მიღმა დარჩენით და ახალ ნავსაყუდელს ეძებსო... თუმცა, ეს ყველაფერი ჭორი ყოფილა და ამაში თავად ფეხბურთელი დაგარწმუნებთ – მოვუსმინოთ 33 წლის გერმანელ ფორვარდს:*"რომში თავს საოცრად კარგად ვგრძნობ და მინდა, აქ 2014 წლამდე, ანუ კონტრაქტის ამოწურვამდე გავჩერდე; ჩემი მიზანია, რომ ამ პერიოდში "ლაციოსთან" ერთად ტიტულები მოვიგო, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრო და ერთი-ორი რეკორდიც დავამყარო. აი, მუნდიალის შემდეგ კი დავასრულებ კარიერას და დამსახურებულ პენსიაზე გავალ. დიდი იმედი მაქვს, რომ მიზნები ამისრულდება და ყველაფერი ისე მოხდება, როგორც გითხარით".*

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის თასი. ფინალი



# სეზონის ბოლო აკორდი

## იუვე თუ ნაპოლი?

**მართალია, სერია A-ს 2011/2012 წლების გათამაშება უკვე დასრულდა, მაგრამ სეზონი ჯერ კიდევ გრძელდება, რადგან წინ იტალიის თასის ფინალი გველოდება. დიახ, კვირას "სტადიო ოლიმპიკოზე" ძალიან საინტერესო მატჩი შედგება, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ "ნაპოლი" და "იუვენტუსი" წარსდგებიან. აღნიშნული გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა და მით უმეტეს, როდესაც ტიტულის ბედი წყდება. ამ მატჩს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირებადაც მიიჩნევენ და შესაბამისად, დუღილის ტემპერატურა ყოველთვის მაქსიმუმს აღწევს. გუნდები სხვადასხვა განწყობით ეგებებიან ამ მნიშვნელოვან პაექრობას და მოდით, ორივე ბანაკში შევიხედოთ...**

### ნაპოლი

მართალია, „ნაპოლიმ" ჩემპიონთა ლიგაზე შესანიშნავად იასპარეზა და ამის გამო, სეზონი წარმატებულად ჩაითვალა, მაგრამ სამეულს მიღმა დარჩენა ნეაპოლში ძალიან განიცადეს. შესაბამისად, ხასიათის გამოსაკეთებლად თასის მოგებაა საჭირო და სამხრეთელები მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებენ. სწორედ ამაზე ისაუბრა "კორიერე დელო სპორტთან" გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, **ვალტერ მაცარიმ**:

*"სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩია, რომელიც აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. "ნაპოლის" გულშემატკივრები იმსახურებენ ტიტულს და იმედია, მიიღებენ კიდეც. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა გაიაზროს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მატჩი გველის წინ და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თასის მოგებას. ეს ტროფეი სტიმულს მოგვცემს, რომ აღებული გეზი გავაგრძელოთ და სამომავლოდ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ".*

მაცარის ბოლო ფრაზამ ჟურნალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგან "ნაპოლის" თავკაცი მომავალზე საუბრობს. როგორც ჩანს, ვალტერი ნეაპოლში დარჩენაზე ფიქრობს და ამ საკითხს თასის მოგება უდავოდ შეუწყობს ხელს. იგივე შეიძლება ითქვას **ესეკიელ ლავეცისა** და **ედინსონ კავანიზე**, რომლებიც არჩევანის წინაშე არიან – ერთი მხრივ ნეაპოლი, ქალაქი, სადაც მათ აღმერთებენ და მეორე მხრივ, ევროპული ფეხბურთის გრანდები ზღაპრული დაპირებებით. ამ მიმართულებით, გარკვეული სიახლეებიც გვაქვს – ლავეცის "ინტერის" მესვეურები შეხვდნენ და მოლაპარაკებებიც წამოიწყეს, თუმცა დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება; რაც შეეხება კავანის, მას კლუბის მესვეურებთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან ედინსონს ურუგვაის ნაკრებთან ერთად ოლიმპიადაზე სურს გამგზავრება, **აურელიო დე ლაურენტისი** კი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. რადგან ოლიმპიური თამაშები ფიფას და უეფას ეგიდით არ ტარდება, კლუბს თავისუფლად შეუძლია მოთამაშე ეროვნულ გუნდში არ გაუშვას. კავანი იმუქრება, რომ თუ ლონდონში არ გაუშვებენ, ერთ ამბავს ატეხს და ნეაპოლიდან აბარგებაზეც დაფიქრდება.

ყოველივე ზემოთქმული ნამდვილად არ უწყობს ხელს ნეაპოლელთა საბრძოლო შემართებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იმ ორი საათის განმავლობაში ფეხბურთელები ყველა წყენას დაივიწყებენ და მოედანზე თავს დადებენ – სამხრეთელებს რომ დიდი მატჩების მოგება შეუძლიათ, ეს ცნობილი ამბავია, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

### იუვენტუსი

შეიძლება გვითხრათ, რომ "იუვენტუსმა" სკუდეტო უკვე მოიგო და თასის ფინალში თავს აღარ მოიკლავს, მაგრამ არა გვგონია ასე მარტივად იყოს საქმე - ჯერ ერთი, "ნაპოლი"-"იუვე" უპრინციპულესი, ისტორიული ჯახია და აქ დანდობა არ არსებობს; მეორე, **ანტონიო კონტემ** სრულიად ახალი "იუვე" შექმნა, ახალგაზრდული ენერგიის და ტიტულებს მოწყურებული, რომელმაც სეზონში არც ერთი თამაში არ წააგო; მესამე, მოგებულმა სკუდეტომ წესით ფრთები უნდა შეასხათ ტურინელებს, ასეთ დროს კი გუნდი კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით თამაშობს და არა პირიქით... მოკლედ, "იუვე" იოლად არაფერს დათმობს

*"მაქსიმალურად შევეცადე, რომ ეიფორიული განწყობიდან მალევე გამოვსულიყავით, რადგან წინ უმნიშვნელოვანესი თამაში გველის. სერია A-ში არც ერთი მატჩი არ წაგვიგია და შესანიშნავი იქნება თუ სეზონს დუბლით დავასრულებთ. იქნება თუ არა დელ პიერო სასტარტო შემადგენლობაში? – ეს ჯერ არ ვიცი და შესაბამისად, პასუხის გაცემა გამიჭირდება. საერთოდ, ძირითად თერთმეტეულს თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ვასახელებ და ამჯერადაც ასე მოვიქცევი. სასტარტოში ისინი იქნებიან, ვინც კონკრეტული მომენტისთვის უკეთეს კონდიციაშია".*

ცალკე სალაპარაკო თემაა ალესანდრო დელ პიერო, ფეხბურთელი, რომელიც უკანასკნელ მატჩს გამართავს ტურინული გრანდის შემადგენლობაში და ამით, ერთი დიდი ეპოქაც დასრულდება. ბუნებრივია, პიემონტელებისთვის ეს კიდევ ერთი დამატებითი მოტივაციაა, რადგან არავის სურს, დელ პიეროს ბოლო ტურინული პაექრობა მარცხით დასრულდეს. თავად ალესანდრო სიმშვიდეს ინარჩუნებს და როგორც სჩვევია, საკუთარი თავი მეორე პლანზე გადაჰყავს:

*"წინ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის, რომელშიც ტროფეის ბედი წყდება – სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და არა ის, ბოლო შეხვედრას მართავს დელ პიერო თუ პირველს... სიმართლე გითხრათ, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ და უშუალოდ მატჩზე ვარ კონცენტრირებული".*

დელ პიერო ნამდვილი პროფესიონალია და გვჯერა, რომ მართლაც მხოლოდ მატჩზეა კონცენტრირებული; აი, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი ალბათ ემოციები ერთიანად მოეძალება – სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან პინტურიკიოს ველარ ვიხილავთ "იუვენტუსის" მაისურით... საზარელი რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

**ლაშა ნიკლაური**



## უცხოური ფეხბურთი

ლივერპული

# გარდიანის შთამბეჭდავი სია


ლივერპულის ტექნიკური დირექტორი იან ეირი

ბრიტანულმა გამოცემა "გარდიანმა" "ლივერპულში" დანიშვნის ყველაზე რეალურ კანდიდატებად **ფაბიო კაპელო, პეპ გვარდიოლა** (თუმცა თავად გვარდიოლამ უარყო) და **ანდრე ვილაშ ბოაში** დაასახელა. აქ ლაპარაკია ყველაზე ავტორიტეტულ მწვრთნელებზე. ამათ გარდა არიან სხვა პრეტენდენტებიც. წარმოიდგინეთ და იყვნენ ისეთებიც, რომელთაც "ენფილდზე" მუშაობაზე უკვე უარი თქვეს. ქვემოთ ყველაფერს დაწვრილებით მოგითხრობთ.

"ლივერპულის" წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ "უიგანის" პრეზიდენტ **დეივ უილანს** და **რობერტო მარტინესთან** მოლაპარაკების დაწყების ოფიციალური ნებართვა ითხოვეს. რაზეც მათ თანხმობა უკვე მიიღეს. ის, რომ მარტინესი პირველია, ვისთანაც "წითლები" მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ, არაფერს ნიშნავს. 38 წლის ესპანელის შემდეგ მერსისაიდელთა აგენტები "სუონსის" დაუკავშირდნენ და **ბრენდან როჯერსთან** სცადეს დაკონტაქტება, მაგრამ 39 წლის ჩრდილოირლანდიელმა "წითლები" თავაზიანი უარით გაისტუმრა. ის უელსური კლუბიდან სხვაგან წასვლას მინიმუმ ერთი წელი არ გეგმავს. რაც შეეხება შესავალში ხსენებულ სპეციალისტებს, კლუბს მათთვის ჯერ არ მიუმართავს, ასე რომ, მათ შანსებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მერსისაიდელთა გულშემატკივრებს მოთმინებისკენ მოვუწოდებთ, რადგან გვგონია, რომ ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნა უახლოესი დღეების ამბავი არ იქნება.

"ლივერპულის" აღმასრულებელმა დირექტორმა **იან ეირმა** გამოცემა "დეილი მირორს" მისცა ინტერვიუ, სადაც **კენი დალგლიშის** გათავისუფლების შემდეგ კლუბში შექმნილ ვითარებაზე ილაპარაკა. მისი თქმით, "ლივერპულის" მესაკუთრეებს დიდხანს არც უფიქრიათ დალგლიშის ბედზე, რადგან კონკრეტულ შეხვედრებში გუნდის მიერ ნაჩვენები დადებითი შედეგი საერთო სურათზე სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა. მეტიც, 61 წლის შოტლანდიელს ასოციაციის თასის ფინალში "ჩელსისთან" გამარჯვებაც კი ვერ იხსნიდა. *"დალგლიშის გათავისუფლება რომელიმე კონკრეტული წარუმატებელი თამაშის შემდეგ არ გადაგვიწყვეტია და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ სეზონი თავიდან ბოლომდე შევაფასეთ. ხალხს შეიძლება არ სიამოვნებდეს ამის გაგონება, მაგრამ ფეხბურთი ბიზნესია. მათ მხოლოდ ის სურთ, რომ მესაკუთრეებმა გუნდში რაც შეიძლება დიდი ფული ჩადონ, რათა ტიტულები და გამარჯვებები მოვიდეს, მაგრამ იქამდე სხვა მიზნებს უნდა მივაღწიოთ. აუცილებელია ჩემპიონატში მდგომარეობის გამოსწორება. თუკი ამას ვერ ახერხებ და ჩემპიონთა ლიგის მიღმა რჩები, მაგრამ ამის მიუხედავად აგრძელებ და აგრძელებ მსუყე ჩეკების გამოწერას, ასეთი მოდელით არსებობას დიდხანს ვერ შეძლებ. სწორედ მას მერე გაგვიადვილდა გადაწყვეტილების მიღება, როცა მივხვდით, რომ პრემიერლიგაში მდგომარეობის გამოსწორება ჰაერივით გვჭირდებოდა. პირველადგილოსანთან 37 ქულით ჩამორჩენა, მეოთხეადგილოსანთან – 14-ით და სეზონში 14 წაგება მეტისმეტად მიუღებელი იყო.*

*გულშემატკივრებს ტიტულების ხილვა სურთ, მაგრამ ლიგის და თუნდაც ასოციაციის თასების მოგება ჩვენ იმდენ ფულს ვერ მოგვიტანდა, რომ კლუბში მისი რეინვესტირება ყოფილიყო მიზანშეწონილი. არ არსებობს "ლივერპულის" ფანი, ვინც მისი გუნდის ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებასა და ამ ტურნირის მოგებაზე არ ოცნებობდეს. ეს კი მხოლოდ მას მერე გახდება შესაძლებელი, როცა პირველ ეტაპზე ჩემპიონატში მივაღწევთ წარმატებას,"* – განაცხადა იან ეირმა. მანვე დაადასტურა, რომ მიუხედავად დალგლიშის გათავისუფლებისა, გუნდში რჩება მისი ყოფილი ასისტენტი **სტივ კლარკი.** კლუბი მასთან გამოთხოვებას არ გეგმავს.

კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ ფეხბურთელებს გული დასწყვიტა. ცხადი იყო, რომ ასეც მოხდებოდა, რადგან მოთამაშეებს "მეფე კენისთან" იდეალური ურთიერთობა აკავშირებდათ. *"დალგლიშს ბოსტონში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე შევხვდი და ვკითხე, მე ჩემი გუნდის მთავარ მწვრთნელს ველაპარაკები, თუ უბრალოდ კენის-თქო. კენისო, ასე მიპასუხა, რის გამოც გული დამწყდა. ცუდია, რომ მასთან გამოთხოვება მოგვიხდა, მაგრამ ეს ფეხბურთია. ეს დღე ყველასთვის სამწუხარო იყო, მაგრამ ამით "ლივერპული" არ დამთავრებულა. საჭიროა, წინ და წინ ვიაროთ. ვინც უნდა იყოს მისი შემცვლელი, პირადად მე მას მაქსიმალურ მხარდაჭერას ვპირდები,"* – განაცხადა **ჯეიმი კარაგერმა.**

ასტონ ვილა

# სოლსკიაერი ვილა პარკზე


საფეხბურთო ექსპერტები ოლე გუნარ სოლსკიაერს ერთ-ერთ ყველაზე იმედის მომცემ მწვრთნელად ახასიათებენ

"ასტონ ვილას" მთავარ მწვრთნელად შესაძლოა "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი, ამჟამად ნორვეგიის ჩემპიონ "მიოლდეს" დამრიგებელი **ოლე გუნარ სოლსკიაერი** დაინიშნოს. სკანდინავიელებმა დაადასტურეს, რომ ბირმინგემული კლუბის ხელმძღვანელებისგან უკვე მიიღეს წერილი, სადაც ისინი 39 წლის სპეციალისტთან მოლაპარაკებების უფლებას ითხოვენ. მოგეხსენებათ, "ვილას" ამერიკელმა მესაკუთრე **ენდი ლერნერმა** ბოლო 42 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი შედეგის გამო **ალექს მაკლიშს** სეზონის დამთავრების მეორე დღესვე მიუთითა კარისკენ და განაცხადა, რომ შოტლანდიელი მწვრთნელის ხელში "ასტონ ვილას" ყველაზე მეტად "დამაჯერებელი თამაში და შედეგები" აკლდა და სწორედ ამიტომ სურს ისეთი სპეციალისტის მონახვა, "ვისთვისაც პრობლემა არ იქნება კლუბის პოტენციალის დანახვა და მოლოდინის გამართლება".

შეგახსენებთ, რომ ნორვეგიელმა ფეხბურთელმა "ოლდ ტრეფორდზე" 11 წელიწადი გაატარა. "იუნაიტედის" რიგებში მან 366 მატჩი გამართა და 126 გოლი გაიტანა. მიუხედავად ასეთი შედეგიანობისა, ის პრაქტიკულად არასდროს მიიჩნეოდა "წითელი ეშმაკების" სასტარტო შემადგენლობის მუდმივ წევრად. 2007 წელს საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ სოლსკიაერმა "იუნაიტედის" დუბლების მწვრთნელის პოსტი ჩაიბარა. 2010 წლის ნოემბერში კი "მიოლდესთან" 4-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. სრული წელიწადიც არც იყო გასული, როცა ოლე გუნარმა მშობლიური კლუბი 100-წლოვან ისტორიაში პირველად ნორვეგიის ჩემპიონი გახადა.

ხსოვნა

## შავი სამკლავურებით 18 წლის თავზე

1994 წლის 18 ივნისს ირლანდიის ნაკრების 6 გულშემატკივარი ოლსტერელმა ლოიალისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. ისინი სოფელ ლოჰინაილენდის პატარა ბარს დაესხნენ თავს, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლები აშშ-ში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩს უყურებდნენ იტალიისა და ირლანდიის ნაკრებებს შორის. სიმბოლურია, რომ ზუსტად 18 წლის თავზე, 2012 წლის 18 ივნისს ისევ იტალია და ირლანდია თამაშობენ. უეფამ "მწვანეებს" აპენინელებთან შავი სამკლავურებით გამოსვლის ნებართვა მისცა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

პორტუგალიის ნაკრები


მიგელ ლოპეშს ქორწინება პაულუ ბენტუმ ნაკრებში გამოძახების გამო გადაადებინა

# ჩემპიონატის გამო გადადებული ქორწილი

პორტუგალიის ნაკრების 25 წლის მარჯვენა ნახევარმცველი **ლუიშ ნანი** აცხადებს, რომ მასა და მის თანაგუნდელებს არ ეშინიათ გერმანიასთან თამაშის. *"გერმანიას ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს და მას ამის გამო უნდა ვაფასებდეთ კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათაც ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ჩვენდამი. პორტუგალია ვერ მისცემს უფლებას თავის თავს, რომ მეტოქეს ამოცანა გაუადვილოს და უფლება მისცეს, საკუთარი ფეხბურთი ითამაშოს. პირიქით, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი სტილი მოვახვიოთ თავს. ოდნავი შიში და ისინი ამას აუცილებლად იგრძნობენ და დაგვსჯიან,"* – აცხადებს "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი.

აქვე მოგაწვდით კიდევ ერთ ინფორმაციას პორტუგალიელთა ბანაკიდან: "ბრაგას" 25 წლის მარჯვენა მცველ **მიგელ ლოპეშს** ჯერ კიდევ თვეების წინ 26 მაისისთვის დაგეგმილი ქორწილის რამდენიმე კვირით გადადება მოუწევს. მიზეზი მარტივია: ფეხბურთელს არ ეგონა, თუკი **პაულუ ბენტუ** ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანდა. მას ხომ აქამდე ეროვნულ გუნდში არასოდეს ეთამაშა. მსგავსი ისტორია გვახსენდება 1996 წლის ევროპის ჩემპიონატიდანაც. გულშემატკივარს ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი **ვლადიმირ შმიცერი** ალბათ ეცოდინება. ფეხბურთელი ვერ წარმოიდგენდა, თუკი მისი გუნდი კონტინენტის პირველობის ფინალში გავიდოდა და ჯვრისწერა და ქორწილი ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ჰქონდა დანიშნული. ჩეხები ამ დღისთვის ჯერ კიდევ დაკავებულები იყვნენ. ფეხბურთელი ლონდონიდან პრაღაში გადაფრინდა, ჯვარი დაიწერა და იმავე საღამოს ნაკრებს დაუბრუნდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ **დუშან უჰრინის** გუნდი ჯგუფური ეტაპიდან სწორედ შმიცერის გოლით გავიდა.

საფრანგეთის ნაკრები


ფრანკ რიბერი

# შეკრება დაიწყო

კლერფონტენში საფრანგეთის ნაკრების ბაზაზე "სამფეროვანთა" 9 ფეხბურთელმა **იოან კაბაიმ, სამირ ნასრიმ, ჰატემ ბენ-არფამ, ფილიპ მექსესმა, გაელ კლიშიმ, ადილ რამიმ, პატრის ევრამ** და **ლოიკ რემიმ** ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. მათ შორის ისეთი 8 ლეგიონერია, ვისი ჩემპიონატიც დასრულდა. რემი კი 1 ლიგა 1-ის მონაწილეა, მაგრამ რაკი ის ტრავმირებულია, "მარსელმა" მას უფლება მისცა, შეკრებაზე გამოცხადებულიყო და მკურნალობა ნაკრების ექიმების მეთვალყურეობით გაევლო. თუკი უახლოეს დღეებში თავდამსხმელის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ლოიკი გუდა-ნაბადს წამოკრეფს და მარსელში დაბრუნდება. რემის გარდა **ლორან ბლანის** გადაწყვეტილებით ჯანმრთელი ფეხბურთელებიც მსუბუქი ინდივიდუალური გრაფიკით ვარჯიშობენ.

"ბაიერნის" ყოფილმა მარჯვენა მცველმა **ვილი სანიოლმა** გერმანიის მრავალგზის ჩემპიონში ექსთანაგუნდელ **ფრანკ რიბერისა** და ნაკრებში მის პრობლემებზე Goal.com-თან ინტერვიუში ისაუბრა. რიბერის რეკორდმაისტერის რიგებში ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა. მის ანგარიშზე ყველა ტურნირში ერთად 17 გოლი და 26 საგოლე გადაცემა დაგროვდა. *"აუცილებლად უნდა ვკითხოთ ფრანკს, რატომ ხდება, რომ "ბაიერნში" ყოველთვის ეფექტურია, მაგრამ ასეთივე დამაჯერებელი არასდროს არის ნაკრების რიგებში. ჩემი აზრით, ეს წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორით არის გამოწვეული. იმედია, ის თავის საუკეთესო თვისებებს აჩვენებს ევროპის ჩემპიონატზე. იქამდე კი მას "ჩელსისთან" გამარჯვებას ვუსურვებ. ეს მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია კარიერაში. ფრანკმა სწორედ ასეთ შეხვედრებში უნდა დაამტკიცოს, თუ რამდენად ფასეული ფეხბურთელია,"* - აცხადებს სანიოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესი VS რონალდო

# რონალდო: ფერარის და პორშეს ვერ შეადარებ

## ...და მაინც, ახლა მე ვარ უკეთესი!

„CNN უორლდ სპორტის“ სტუმარი მადრიდის „რეალის“ 27 წლის პორტუგალიელი მეგავარსკვლავი კრიშტიანო რონალდო იყო. ვრცელი ინტერვიუს შემდეგ ცნობილმა გამოცემამ საკმაოდ საინტერესო სტატია შემოგვთავაზა სათაურით „კრიშტიანო რონალდო: „მესის ვჯობივარ“, რომელშიც რონალდოს ფრაზებია ჩართული. თავიდანვე ვიტყვით, რომ სათაური უფრო „მყვირალაა“ და მთლად ზუსტად არ ასახავს პორტუგალიელის (რომელიც, მოგეხსენებათ, თავმდაბლობით არ გამოირჩევა) აზრს, თუმცა სტატიას აქვე გთავაზობთ და თავად ნახეთ...




კრიშტიანო რონალდო ინტერვიუსას

### საბრალო რონალდო

„ეს ის ფრაზა არაა, რომელსაც ხშირად მოისმენთ, მაგრამ არ შეიძლება არ შევეცოდოთ ადამიანურად **კრიშტიანო რონალდო** - „რეალის“ ფეხბურთელმა ახლახან დაასრულა კარიერაში საუკეთესო სეზონი, მოიგო ლა ლიგა, მისმა გუნდმა ჩააჩოჩა ასე საძულველი „ბარსელონა“, გაიტანა კარიერაში ყველაზე მეტი გოლი სეზონის განმავლობაში - 60 (აქედან 46 ლა ლიგაში!) და მაინც არის ერთი კაცი, რომელიც კვლავ ყურადღების ცენტრშია და არა ის - **ლიონელ მესი**. არგენტინელმა ხომ უფრო მეტი გაიტანა, გერდ მიულერის ცნობილი რეკორდიც მოხსნა და ლა ლიგაში ბომბარდირის ნიშნული საოცარ რიცხვამდე, 50-მდე აიყვანა.

„ზოგი მიიჩნევს, რომ მე ვჯობნი მესის, ზოგი - პირიქით. მიდის გაუთავებელი დისკუსია, რომელია საუკეთესო“, - განუცხადა CNN-ს რონალდომ ექსკლუზიურ ინტერვიუში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ ჩავიწერეთ, მიუნხენის „ბაიერნსა“ და ლონდონის „ჩელსის“ შორის „ალიანს არენაზე“.

„ამ წუთისთვის, ვფიქრობ, მე ვარ საუკეთესო“, - იცინის პორტუგალიელი.

რონალდო შეაწუხა მუდმივმა შედარებებმა არგენტინელ ფორვარდთან: „ზოგჯერ, ეს კითხვები უკვე ძალიან მღლის. ალბათ, მასაც. რადგან სხვები სულ ამაზე საუბრობენ, სულ ერთმანეთს გვადრიან, ეს ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელიცაა“.

„თქვენ ვერ შეადარებთ „ფერარის“ და „პორშეს“, რადგან ისინი ძალიან განსხვავებულები არიან. მესი ყველაფერ საუკეთესოს აკეთებს „ბარსელონასთვის“, - მე - „რეალისთვის“.

„ვფიქრობ, ამით ჩვენ დამატებითი მოტივაცია გვიჩნდება, ამიტომაც ჩვენ შორის ასეთი დაძაბული დუელია ბომბარდირობისთვის ბრძოლაში. ამიტომაც „რეალი“ და „ბარსელონა“ საუკეთესო გუნდებია, მარტო მე და მესი კი არა, აქ ყველა ფეხბურთელი ძალიან მონდომებულია“.

### კარგი პოლიციელი, ცუდი პოლიციელი

სხვათა შორის, რონალდო მართალია - საზოგადოებას მართლაც უყვარს „კარგი და ცუდი პოლიციელის“ თამაში. შესაძლოა, ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ვერც მესიმ და ვერც რონალდომ საერთაშორისო სარბიელზე ჯერ ვერ გაიბრწყინეს სათანადოდ. მაშინ, როცა მესი ლამის წმინდანად შერაცხონ, რონალდოს იმიჯს მისი თავდაჯერებულობა (ზოგის აზრით, მეტისმეტიც) უშლის ხელს. მისი ქცევა გამომწვევია და მოწინააღმდეგე გუნდების ფანები ღიზიანდებიან.

„ხანდახან საჭიროა ნიღაბი ჩამოიფარო. შეუძლებელია, უცინო ყველას და ყოველთვის. მე ეს არ ძალმიძს. სულ სხვა პიროვნება ვარ და ხალხი არ მიცნობს. და რა საჭიროა? ამისთვის არიან ახლო მეგობრები, თანაგუნდელები. რას ფიქრობს სხვა ხალხი ჩემზე, უნდა ვაღიარო, დიდად არ მაინტერესებს“.

რონალდო ამბობს, რომ მისთვის კარიერის მწვერვალი გუნდთან ერთად ტიტულის მოპოვებაა და არა ინდივიდუალური ჯილდო.

„ლა ლიგის მოგება ძალიან გამიხარდა. ეს იყო ჩემთვის პირველი საჩემპიონო ტიტული ესპანეთში. ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო. სეზონი ჩემთვის ბრწყინვალე გამოდგა, საკუთარი რეკორდი გავაუმჯობესე. ლა ლიგა 100 ქულით მოვიგეთ, რაც ასევე რეკორდია. ეხუმრებით“?

„ჩემი აზრით, ესპანური პრიმერა მსოფლიოში ყველაზე რთული ლიგაა სათამაშოდ. ყველამ იცის, რა ძნელია კონკურენცია გაუწიო „ბარსელონას“. ჩვენ კი ისინი დავამარცხეთ... ასე რომ, საოცარი სეზონი იყო“.

### ბარსას ჩრდილში?

„ბარსელონა“. ეს ის აჩრდილია, რომელიც არა მარტო რონალდოს თან სდევს მუდამ, ასეთ დღეშია **ჟოზე მოურინიოც**.

„ქულები თავად გასცემენ პასუხს ამ კითხვას“, - თქვა რონალდომ, როცა „რეალისა“ და „ბარსას“ დაპირისპირებაზე ვკითხეთ - „9 ქულით ვაჯობეთ, ეს კი ძალიან ბევრია. ამ სეზონში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ. ამაში დარწმუნებული ვარ. ერთი თვის წინათ ჩავედით ბარსელონაში და უშუალო ბრძოლაში 2:1 დავამარცხეთ. ამის გაკეთება სხვა არავის შეეძლო. ასე რომ, ჩვენ დამსახურებული ჩემპიონები ვართ. ახლა ჩვენ ვჯობნით, მაგრამ ყოველთვის უნდა ვცეთ პატივი მეტოქეს, რადგან „ბარსელონაც“ დიდი გუნდია“.

### ორი მოურინიო

„რეალი“ ამაზე კარგ დროს ვერ გამონახავდა „ბარსელონას“ ჰეგემონიის დასამხობად. **ხოსეპ გვარდიოლა** გუნდიდან მიდის, კატალონიელებს შემადგენლობის მხრივაც დაუგროვდათ პრობლემები. რონალდოს მიაჩნია, რომ ამ ჰეგემონიის დამხობას განსაკუთრებული მცდელობა ესაჭიროება, „რეალს“ კი მესაჭედ სწორედ „განსაკუთრებული“ კაცი ჰყავს.

„როგორც პიროვნება, ჟოზე ძალიან უბრალო და გულღია კაცია. ჩვენ ხშირად ვხუმრობთ, ვყვებით სასაცილო ისტორიებს, ვერთობით. როგორც მწვრთნელი კი სულ სხვაა - ის ასეთი სერიოზულია და დიდი პროფესიონალი“.

რონალდოსთვის საკითხი საჭოჭმანო არც არის - რა თქმა უნდა, ჟოზე მოურინიო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია.

„ამიტომაც მოიგო ამდენი ტიტული. ტაქტიკა, დამოკიდებულება ფეხბურთელებთან, მოტივირების უნარი... რაღას ვყვები - ტიტულების რიცხვი თავად მეტყველებს ყველაფერზე. ის ყველა ქვეყანაში გამარჯვებულია, ეს კი დიდებულია. ვფიქრობ, მსოფლიოში ასეთი რამ არავის, ჰა ჰა, 2-3 კაცს შეუძლია“.

### ყველაზე ცუდი დღე

სეზონი იმედგაცრუების გარეშე არ არსებობს. მაშინაც კი, როცა გამარჯვებული რჩები. რონალდოსთვის ასეთი „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მარცხია. „რეალი“ მე-10 ტიტულს მიუახლოვდა, მაგრამ პენალტების სერიაში წააგო. კრიშტიანო რონალდომ ვერ გაიტანა პენალტი.

„სიმართლე გითხრათ, ეს დღე ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი დღე იყო. ყოველთვის მწარეა პენალტების სერიაში წაგება. მაგრამ რა ვქნა, ამაზე დარდით შორს ვერ წავალთ. ბევრი ფეხბურთელი საერთოდ უარზეა, პენალტი დაარტყას. ჩემი კლუბისთვის ცდა არ დამიკლია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებისთვის მიგვეღწია“.

ბევრისთვის საოცნებო ფინალი „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის არ შედგება. ამის ნაცვლად მიუნხენში „ბაიერნი“ „ჩელსის“ დაუპირისპირდება. რას ფიქრობს რონალდო, რომელი გუნდი გაიმარჯვებს?

„უმეტესობას მიაჩნია, რომ „ბაიერნი“ იოლად მოიგებს ფინალს. მე ასე არ ვფიქრობ“.

რონალდო იხსენებს ინგლისურ კარიერას, მის დაპირისპირებებს „ჩელსის“ წინააღმდეგ, როცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა.

„არ დაგავიწყდეთ, რომ „ჩელსიმ“ „ბარსელონა გამოაგდო გათამაშებიდან. ეს კი ძალიან, ძალიან ძნელია. ფინალი საინტერესო სანახავი იქნება. არ ვიცი, ვინ მოიგებს, მაგრამ „ჩელსი“ ძალიან ძლიერია და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ისინი თავს კარგად იცავენ და ძალიან სახიფათო კონტრიერიშებს ახორციელებენ. „ბაიერნიც“ ფანტასტიკური გუნდია, ამიტომაც ვამბობ, კარგი თამაში გველის“.

12 თვის განმავლობაში ელიან ლიგის ფინალს, რომ ერთი გადამწყვეტი მატჩი მოიგონ. მიუხედავად იმისა, რომ ის საუკეთესო ლიგაში, საუკეთესო მწრთნელის ხელმძღვანელობით საუკეთესოა, 2013 წლის ფინალისთვის უნდა იბრძოლოს. მაშ უნდა შეგვეცოდოს თუ არა კრიშტიანო რონალდო? ვფიქრობთ, ყველაფერი კარგადაა და ამის საჭიროება არ არის“.




ლეო მესი VS კრიშტიანო რონალდო, ბევრისთვის საყვარელი თემა

ამბები

### რატომ რჩება იგუაინი

მადრიდის „რეალის“ არგენტინელმა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა ახსნა, რატომ გადაწყვიტა კლუბში დარჩენა. შეგახსენებთ, რომ გონსალოს რეალური შეთავაზებები აქვს, როგორც „პარი სენ ჟერმენისგან“, ასევე „იუვენტუსისგან“. გონსალო შვებულებას სამშობლოში ატარებს. აი, რა უთხრა მან რეპორტიორებს: „ახლა მხოლოდ დასვენებაზე ვფიქრობ. რაც შეეხება ჩემს მომავალ კარიერას - „მალიორკასთან“ მატჩისას 80 ათასი ადამიანი მთხოვდა, რომ „რეალში“ დავრჩენილიყავი და ეს მეტად ამაღელვებელი გრძნობა იყო. ამ დღეს ვერასდროს დავივიწყებ“.

### ლორენტე სიტის უარყოფს

ბილბაოს „ატლეტიკის“ ფორვარდმა ფერნანდო ლორენტემ უარყო ხმები, რომლის თანახმადაც ის, თითქოს, „მანჩესტერ სიტიში“ გადადის. 27 წლის მსოფლიოს ჩემპიონს მარსელო ბიელსას გუნდში კარგი სეზონი ჰქონდა და მისით გრანდები დაინტერესდნენ. „გაზეთები ხომ უნდა გაიყიდოს? ამიტომაც ბევრ ტყუილს წერენ - „მანჩესტერ სიტიში“ ჩემი „გადასვლა“ გამორიცხულია. ბევრჯერ მითქვამს უკვე და ვიმეორებ, ბილბაოში თავს კარგად ვგრძნობ“. ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა ამ სეზონში (ყველა შეჯიბრში) 28 გოლი გაიტანა. „ბილბაოს“ სეზონი ჯერ არ დაუსრულებია - ოთხშაბათს მადრიდში ესპანეთის თასის ფინალია. ბასკები „ბარსელონას“ დაუპირისპირდებიან.

### ისკო ბარსელონაში?

„მალაგას“ ახალგაზრდა ნახევარმცველი ისკო უცბად მოექცა ესპანური მედიის ყურადღების ცენტრში. ისკოს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, რის გამოც ის ვისენტე დელ ბოსკემ ეროვნულ ნაკრებში მიიწვია. ახლა კი ხმა დაირხა, ისკო „ბარსელონას“ სურსო. ამ ინფორმაციის პირველწყარო „ელ მუნდო დეპორტივოა“. ისკო „ვალენსიას“ აღზრდილია, მას „ლოს ჩეს“ რიგებში დებიუტი 2010 წლის ნოემბერში ჰქონდა. სეზონის დასაწყისში 20 წლის ფეხბურთელი „მალაგაში“ გადავიდა. ახლა ის 20 მილიონი ევრო ღირს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველა ფინალი 1993 წლიდან

**1992/1993. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი"**

**მარსელი–მილანი 1:0**

**მარსელი (4-4-2):** ბარტეზი - ანგლომა (61. დურანი), დესაი, ბოლი, დი მეკო - ეიდელი, საუზი, დეშამი, აბედი პელე - ბოკაი, ფიოლერი (78. თომასი).
**მილანი (4-4-2):** როსი - ტასოტი, ბარეზი, კოსტაკურტა, პ. მალდინი - დონადონი (54. პაპენი), რიიკაარდი, ალბერტინი, ლენტინი - მასარო, ვან ბასტენი (85. ერანიო).
**გოლი:** 1:0 ბოლი (44)
**გაფრთხილება:** დი მეკო, ბოლი, ბარტეზი, დესაი - ლენტინი
**მსაჯი:** კურტ რიოთლისბერგერი (შვეიცარია)
**მაყურებელი:** 64 000

**1993/1994. ათენი. ოლიმპიური**

**მილანი–ბარსელონა 4:0**

**მილანი (4-3-1-2):** როსი - პანუჩი, ტასოტი, გალი, პ. მალდინი (83. ნავა) - დონადონი, დესაი, ალბერტინი - ბობანი - სავიჩევიჩი, მასარო.
**ბარსელონა (4-3-1-2):** სუბისარეტა - ფერერი, ნადალი, კუმანი, სერხი (72. კიკე) - გარდიოლა, ბაკერო, ამორი - სტოიჩკოვი - რომარიო, ბეგირისტაინი (51. ეუსებიო).
**გოლები:** 1:0 მასარო (22), 2:0 მასარო (45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (58)
**გაფრთხილება:** ტასოტი, მასარო, ალბერტინი, პანუჩი - ბაკერო, ნადალი, სერხი, ფერერი
**მსაჯი:** ფილიპ დონი (ინგლისი)
**მაყურებელი:** 76 000

**1994/1995. ვენა. „ერნსტ ჰაპელ შტადიონი"**

**აიაქსი–მილანი 1:0**

**აიაქსი (4-4-1-1):** ვან დერ სარი - რაიციგერი, ბლინდი, ფ. დე ბური, ფინიდი - რ. დე ბური, რიიკაარდი, ზეედორფი (54. კანუ), დავიდსი - ლიტმანენი (68. კლუივერტი) - ოვერმარსი.
**მილანი (4-3-1-2):** როსი - პანუჩი, კოსტაკურტა, ბარეზი, პ. მალდინი - დონადონი, ალბერტინი, დესაი - ბობანი - მასარო (90. ერანიო), სიმონე.
**გოლი:** 1:0 კლუივერტი (84)
**გაფრთხილება:** ბლინდი, ოვერმარსი
**მსაჯი:** იონ კრაკიუნესკუ (რუმინეთი)
**მაყურებელი:** 49 700

**1995/1996. რომი. „ოლიმპიკო"**

**იუვენტუსი–აიაქსი 1:1 (პ. ს. 4:2)**

**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პესოტო, ფერარა, ვიერხოვოდი, ტორიჩელი - კონტე (44. იუგოვიჩი), დეშამი, პაულო სოუზა (58. დი ლივიო) - დელ პიერო - ვიალი, რავანელი (77. პადოვანო).
**აიაქსი (5-3-1-1):** ვან დერ სარი - სილოი, ბლინდი, ფ. დე ბური (69. სხოლტენი), ბოგარდი, ჯორჯ ფინიდი - რ. დე ბური (91. ვუტერი), დავიდსი, მუსამპა (46. კლუივერტი) - ლიტმანენი - კანუ.
**გოლები:** 1:0 რავანელი (13), 1:1 ლიტმანენი (42)
**პენალტების სერია:** 0:0 დავიდსი, 1:0 ფერარა, 1:1 ლიტმანენი, 2:1 პესოტო, 2:2 სხოლტენი, 3:2 პადოვანო, 3:2 სილოი, 4:2 იუგოვიჩი
**გაფრთხილება:** დეშამი, ტორიჩელი, დი ლივიო, იუგოვიჩი - ბლინდი, ფინიდი, ვუტერი
**მსაჯი:** ვილიამ მატუს ვეგა
**მაყურებელი:** 67 000

**1996/1997. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი"**

**ბორუსია (დ)–იუვენტუსი 3:1**

**ბორუსია დ. (4-1-2-1-2):** კლოსი - კრეე, კოლერი, როიტერი, ზამერი - ლამბერტი - ჰაინრიხი, სოუზა - მიოლერი (89. ცორკი) - რიდლე (67. ჰერლიხი), შაპუიზა (70. რიკენი).
**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პორინი (46. დელ პიერო), ფერარა, მონტერო, იულიანო - დი ლივიო, იუგოვიჩი, დეშამი - ზიდანი - ბოკშიჩი (88. ტაკინარდი), ვიერი (73. ამორუზო).
**გოლები:** 1:0 რიდლე (29), 2:0 რიდლე (34), 2:1 დელ პიერო (66), 3:1 რიკენი (71)
**გაფრთხილება:** სოუზა, რიკენი - პორინი, იულიანო
**მსაჯი:** შანდორ პული (უნგრეთი)
**მაყურებელი:** 59 000

**1997/1998. ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა"**

**რეალი–იუვენტუსი 1:0**

**რეალი (4-3-1-2):** ილგნერი - პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი - ზეედორფი, კარემბუ, რედონდო - მიატოვიჩი (89. შუკერი) - მორიენტესი (81. ხაიმე), რაული (90. ამავისკა).
**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პესოტო (70. ფონსეკა), მონტერო, იულიანო, ტორიჩელი - დი ლივიო (46. ტაკინარდი), დეშამი (90. კონტე), დავიდსი - ზიდანი - ფ. ინძაგი, დელ პიერო.
**გოლი:** 1:0 მიატოვიჩი (66)
**გაფრთხილება:** იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ, ზეედორფი - დავიდსი, მონტერო
**მსაჯი:** ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
**მაყურებელი:** 45 000

**1998/1999. ბარსელონა. „ნოუ კამპი"**

**მანჩესტერი–ბაიერნი 2:1**

**მანჩესტერი (4-4-2):** შმაიხელი - გ. ნევილი, ჯონსონი, სტამი, ირვინი - ბექჰემი, ბატი, ბლომკვისტი (67. შერინგემი), გიგზი - იორკი, კოული (81. სოლსკიაერი).
**ბაიერნი (4-4-2):** კანი - ბაბელი, მათეუსი (80. ფინკი), ლინკე, კუფური - ბასლერი (89. სალიჰამიჯიჩი), ეფენბერგი, იერემისი, ტარნატი - ციკლერი (71. შოლი), იანკერი.
**გოლები:** 0:1 ბასლერი (6), 1:1 შერინგემი (90), 2:1 სოლსკიაერი (90)
**გაფრთხილება:** ეფენბერგი
**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
**მაყურებელი:** 90 000

**1999/2000. პარიზი. „სტად დე ფრანსი"**

**რეალი–ვალენსია 3:0**

**რეალი (3-3-2-2):** კასილიასი - კამპო, ელგერა, კარანკა - სალგადო (85. იერო), რედონდო, რობერტო კარლოსი - მაკმანამანი, რაული - მორიენტესი (72. სავიო), ანელკა (80. სანჩისი).
**ვალენსია (4-2-2-2):** კანისარესი - ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, ხერარდო (69. ილიე) - ფარინოსი, ხერარდი - მენდიეტა, კილი გონსალესი - ანგულო, კ. ლოპესი.
**გოლები:** 1:0 მორიენტესი (39), 2:0 მაკმანამანი (67), 3:0 რაული (75)
**გაფრთხილება:** რობერტო კარლოსი, სალგადო - ხერარდო, კანისარესი, პელეგრინო, ფარინოსი
**მსაჯი:** სტეფანო ბრასკი (იტალია)
**მაყურებელი:** 73 000

**2000/2001. მილანი. „სან სირო"**

**ბაიერნი–ვალენსია 1:1 (პ. ს. 5:4)**

**ბაიერნი (5-2-2-1):** კანი - სანიოლი (46. იანკერი), კუფური, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ - ჰარგრივსი, ეფენბერგი - შოლი (108. პაულო სერჟიო), სალიჰამიჯიჩი - ელბერი (100. ციკლერი).
**ვალენსია (4-1-2-1-2):** კანისარესი - ანგლომა, აიალა (89. ჯუკიჩი), პელეგრინო, კარბონი - ბარახა - მენდიეტა, კილი გონსალესი - აიმარი (46. ალბელდა) - ხუან სანჩესი (66. ზაჰოვიჩი), კარეუ.
*მე-7 წუთზე შოლმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*
**გოლები:** 0:1 მენდიეტა (3-პენ), 1:1 ეფენბერგი (50-პენ)
**პენალტების სერია:** 0:0 პაულო სერჟიო (ააცილა), 0:1 მენდიეტა, 1:1 სალიჰამიჯიჩი, 1:2 კარეუ, 2:2 ციკლერი, 2:2 ზაჰოვიჩი (მეკარე), 2:2 პ. ანდერსონი (მეკარე), 2:2 კარბონი (მეკარე), 3:2 ეფენბერგი, 3:3 ბარახა, 4:3 ლიზარაზუ, 4:4 კილი გონსალესი, 5:4 ლინკე, 5:4 პელეგრინო (მეკარე)
**გაფრთხილება:** პ. ანდერსონი - კანისარესი, კარბონი, კილი გონსალესი
**მსაჯი:** დიკ იოლი (ჰოლანდია)
**მაყურებელი:** 74 500

**2001/2002. გლაზგო. „ჰემდენ პარკი"**

**ლევერკუზენი–რეალი 1:2**

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ბუტი - სებესკენი (65. კირსტენი), ჟივკოვიჩი, ლუსიო (91. ბაბიჩი), პლასენტე - რამელოვი, ბალაკი - ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი - ბრდარიჩი (39. ბერბატოვი).
**რეალი (4-2-3-1):** სესარ სანჩესი (1. კასილიასი) - სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი - მაკელელე (73. ფლავიო კონსეისაო), სოლარი - ფიგუ (61. მაკმანამანი), ზიდანი, რაული - მორიენტესი.
**გოლები:** 0:1 რაული (9), 1:1 ლუსიო (14), 1:2 ზიდანი (45)
**გაფრთხილება:** სალგადო, რობერტო კარლოსი
**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)
**მაყურებელი:** 51 567

# ბრძოლ
# დუენდ

## დისკვალიფიცი
## ჰაინკესი და დი

**„ბაიერნს" სამი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული, „ჩელსის" – ოთხი. მოდი, განვიხილოთ, როგორ უნდა მოახერხონ ფინალისტებმა დანაკლისების კომპენსირება. წარმოგიდგენთ ტაქტიკისა და კადრების ანალიზს.**

**ლუის გუსტავო, დავიდ ალაბა, ჰოლგერ ბადშტუბერი** – „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ფინალში სწორედ ამ ფეხბურთელებს მოისაკლისებს (სამივე დისკვალიფიცირებულია). ბავარიული გრანდისთვის ცუდი ის არის, რომ სამივე მათგანი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. რეკორდმაისტერის ბოლოდროინდელი ვარჯიშებით და ტესტებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ჰაინკესი დაცვის ცენტრში, **ჟერომ ბოატენგის** გვერდით, ბადშტუბერის ნაცვლად უკრაინელ საყრდენ ნახევარმცველ **ანატოლი ტიმოშჩუკს** ათამაშებს, ხოლო დაცვის მარცხენა ფლანგზე, ალაბას კიდევ ერთი ფლანგის ახალგაზრდა მცველით, **დიეგო კონტენტოთი** შეცვლის. ეს იმას ნიშნავს, რომ **ფილიპ ლამი** მარჯვნივ დარჩება, **რაფინია** კი – სკამზე.

### ბაიერნი შეტევაზე ორიენტირებული ნახევარდაცვით?

ბადშტუბერის არყოფნა ბავარიელთა დაცვის ბურჯ **ჟერომ ბოატენგს** დღევანდელ მატჩში განსაკუთრებულ მისიას აკისრებს: ჟერომი სიმაღლეში 1.92 მეტრია და სტანდარტული მდგომარეობების, თუ უბრალო ჩაწოდებების დროს „ჩელსის" ცენტრფორვარდ **დიდიე დროგბას** (1.89 მეტრი) სწორედ მან უნდა მიხედოს. რაკი ტიმოშჩუკი არ არის ნომინალური ცენტრალური მცველი, ბოატენგს ფაქტობრივად ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება. თუმცა, სხვათა შორის, 1.81 მეტრი სიმაღლის მქონე უკრაინელს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ დაცვის ცენტრშიც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში – 2011 წლის ფინალში, ტიმოშჩუკმა „ინტერთან" სწორედ ამ პოზიციაზე ისპარეზა და მიუხედავად მარცხისა (0:2), „კიკერისგან" საკმაოდ კარგი შეფასება, 2.5 ბალი დაიმსახურა. კონტენტო ალაბაზე გაცილებით უარესი ფეხბურთელია, თუმცა მასაც დამტკიცებული აქვს, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლია – მაგალითად, 2010 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ლიონთან" (3:0, 1:0).

ლუის გუსტავოს დისკვალიფიკაცია და ტიმოშჩუკის დაცვის ცენტრში გადასროლა „ბაიერნისთვის" იმას ნიშნავს, რომ ჰაინკესმა თავის საყვარელ 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, **ბასტიან შვაინშტაიგერის** გვერდით, მეორე საყრდენად **ტონი კროოსი** უნდა ათამაშოს. ეს თავის მხრივ იმას გამოიწვევს, რომ შემტევი სამეულის ცენტრში, ყველა ლოგიკის მიხედვით **თომას მიულერი** უნდა ვიხილოთ (ფლანგებზე, რა თქმა უნდა, **რობენი** და **რიბერი** გამწესდებიან). შედეგად, „ბაიერნს" საკმაოდ შემტევი ნახევარდაცვა გამოუვა, რადგან შვაინშტაიგერი და კროოსი უფრო შეტევებზე არიან ორიენტირებულნი, ვიდრე მეტოქე გუნდის შეტევების ჩაშლაზე.

თუმცა აღსანიშნავია, რომ გუშინ გამართულ ვარჯიშზე ჰაინკესმა ძალიან დატვირთა **დანიელ პრანიჩი**, რის გამოც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ივარაუდეს, რომ დიდი შანსია, „დონ იუპმა" შემტევ ნახევარდაცვაზე უარი თქვას და შვაინშტაიგერის გვერდით კროოსი ათამაშოს, რაც მიულერის სკამზე გადასმას და კროოსის გამთამაშებლად გამწესებას გამოიწვევს.

### ივანოვიჩის ნაცვლად ბოსინგვა

„ჩელსის" თავკაც **რობერტო დი მატეოს** უფრო მეტი და სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს და დაცვასა და ნახევარდაცვაში ფაქტობრივად ერთნაირად უჭირს.




## რობენი: მხოლოდ 41 გრადუსი სიცხე შემაჩერებს!


არიენ რობენი ძალიან მონდომებულია

**არიენ რობენმა** კვირის მიწურულს „ბაიერნის" ქომაგები ძალიან ანერვიულა, რადგან სამშაბათს გრიპის გამო ვარჯიში ნაადრევად შეწყვიტა, ოთხშაბათს კი საერთოდ აღარ უვარჯიშია. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბავარიელთა თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** რეკორდმაისტერის ფანები საბოლოოდ დაამშვიდა.

*„წინ ისეთი მატჩია, რომ თავს ყველანი ცოტათი შეუძლოდ ვგრძნობთ,* - იხუმრა „დონ იუპმა", - *სანერვიულო არაფერია, რობენი ითამაშებს!"*

27 წლის რობენს, რომელზეც დღევანდელ ფინალში ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, გრიპი ჰქონდა, მაგრამ დღეისათვის თითქმის საბოლოოდ გამოჯანმრთელებულია.

*„მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გავალ, თუ სიცხე 41 გრადუსამდე ამიწევს, ეს კი არ მოხდება,"* - თქვა მან და მერე „ჩელსისთან" მატჩზე კონკრეტულად ისაუბრა: *„ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წინა ხაზი გვყავს და „ჩელსის" მცველები უმძიმესი წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთ. მიხარია, რომ ფრანკ რიბერიც კარგ ფორმაშია და ითამაშებს. ორი წლის წინანდელ ფინალში ის ძალიან დაგვაკლდა."*

პრესკონფერენციაზე ბევრი და საინტერესო ფაქტობრივად არაფერი თქმულა. ჰაინკესმა დაადასტურა, რომ დაცვის ცენტრში **ანატოლი ტიმოშჩუკს** ათამაშებს. იუპს საკადრო საკითხებიდან სხვა არაფერი დაუკონკრეტებია, უკრაინელზე კი ბევრი ისაუბრა - ტიმოშჩუკი საუკეთესო ეპითეტებით შეამკო: *„ანატოლი ნამდვილი პროფესიონალი და ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში. აი, ახლა დაცვის ცენტრში გვჭირდება და მეც მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ მისი ჟერომ ბოატენგის გვერდით გამწესება რისკი არ არის."*

**გოტფრიდ ლენცი**

## სავარაუდო შ

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ლამი, ტიმოშჩუკი, ბო
ტენგი, კონტენტო – შვაინშტაიგერი, კროოსი – რობე
თ. მიულერი, რიბერი – გომესი.

**არბიტრი:** პედ
**დისკვალიფიკაცია:** ბადშტუბერი, ალაბა, ლუ
**ტრავმა:** ბრენო,

**ფორმა (ბო**

**ბაიერნი (წ-მ-მ-წ-მ)**

**გერმანიის თასი: ბორუსია (დ)-ბაიერნი 5:2**
**ბუნდესლიგა: კიოლნი-ბაიერნი 1:4**
**ბუნდესლიგა: ბაიერნი-შტუტგარტი 2:0**
**ჩემპიონთა ლიგა: რეალი-ბაიერნი 2:1**
**ბუნდესლიგა: ვერდერი-ბაიერნი 1:2**

**ურთიერ**

**ჩემპიონთა ლიგა 20**

**ბაიერნ**

**გოლები:** 0:1 ლემპარდი (30), 1:1 პისარო (65), 1:2 დრ

**ჩელსი-**

**გოლები:** 1:0 ჯო კოული (4), 1:1 შვაინშტაიგერი (52
ლაკი (90-პენ)

- „ბაიერნმა" ფინალამდე ზედიზედ შვიდი საშინ
მატჩი მოიგო. თავდაჯერების მხრივ პრობლემე
არც ლონდონელებს აქვთ, რადგან ნახევარფინალ
დან თვით „ბარსელონა" დაიფრინეს.

- „ბაიერნი" ჯგუფში „მანჩესტერ სიტისთან" ე
თად იყო, რომელიც საკუთარ მოედანზე დაამარც
ამ შეხვედრის ჩათვლით, რეკორდმაისტერს ინგლ
სურ კლუბებთან საკუთარ მოედანზე გამართუ
მატჩებში ასეთი ბალანსი აქვს: 10 მოგება, 5 ფრე
მარცხი. ერთადერთი ინგლისური კლუბი, რომელმ
მიუნხენში მოგება შეძლო, „ნორვიჩ სიტია", რომე
მაც 1993 წელს, უეფას თასის მეორე ეტაპზე „ბაიე
ნი" სტუმრად 2:1 დაამარცხა.

# ...ა იქნება ...ობელი!

## ...რებული ბევრია, ...ატეო ფიქრობენ




ლონდონური კლუბის დაცვის მარცხენა ფრთაზე **ეშლი კოულის** თამაშს წყალი არ გაუვა, აი, მარჯვნივ კი, სადაც **ბრანისლავ ივანოვიჩი** თამაშობს ხოლმე, რომელიც ახლა დისკვალიფიცირებულია, ალბათ **ჟოზე ბოსინგვას** ვიხილავთ. ეს უკანასკნელი ორთაბრძოლებს ვერ იგებს ისე კარგად, როგორც დისკვალიფიცირებული სერბი. ბოსინგვას რიბერისთან უმძიმესი ბრძოლა ელის.

### ტერი დისკვალიფიცირებულია, რა შეუძლია დავიდ ლუისს?

„ჩელსის“ დაცვის ცენტრში კაპიტანი **ჯონ ტერი** ჰყავს დისკვალიფიცირებული („ბარსელონასთან“ გააგდეს) და ეს დი მატეოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. არა იმიტომ, რომ 31 წლის ტერი ბრწყინვალე ფორმაშია, არამედ უფრო იმის გამო, რომ ჯონს უდიდესი გამოცდილება აქვს და ჩემპიონთა ლიგის ფინალში ასეთი დონისა და გამოცდილების მქონე ფეხბურთელი, თანაც კაპიტანი, უმნიშვნელოვანესი ფიგურა იქნებოდა.

უდიდესი ალბათობით, დი მატეო ტერის ნაცვლად **დავიდ ლუისს** ათამაშებს, რომელიც ბოლო დროს ტრავმირებული იყო და სათამაშო პრაქტიკა აკლდა. თანაც, დავიდ ლუისის თამაშის სტილი ტერის სტილისგან მკვეთრად განსხვავდება – ლუისი შეტევების წამოწყებაში კაპიტანს სჯობია კიდეც, მაგრამ დაცვით ფუნქციებს, რაც ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია, ტერიზე გაცილებით უარესად ასრულებს. მასსა და ტერის შორის მთავარი მსგავსება კი ის არის, რომ ისევე, როგორც ჯონი, დავიდიც ძალიან კარგად თამაშობს თავით და განსაკუთრებით „ჩელსის“ კუთხურების დროსაა სახიფათო: ბრაზილიელი კუთხურის დროს უმეტესად ახლო ძელისკენ შერბის ხოლმე ასე არაერთი გოლი აქვს გატანილი.

ნახევარდაცვის ცენტრში დი მატეოს **რაულ მეირელეში** ჰყავს დისკვალიფიცირებული, რომელსაც ალბათ **მიკაელ ესიენი** შეცვლის. მიუხედავად იმისა, რომ განელს ტრავმებმა დინამიკა დააკარგვინა, დი მატეო ესიენს გვერდს ალბათ ვერ აუვლის.

### ვინ შეცვლის რამირესს? საკითხავი, აი, ეს არის!

სპორტული თვალსაზრისით დი მატეოს უმთავრესი პრობლემა რამირესის დისკვალიფიკაციაა, რადგან ლონდონელები უმეტესად კონტრშეტევებით ცდილობენ ხოლმე ფონს გასვლას და ასეთ სტრატეგიაში უალრესად მებრძოლი, ტექნიკური და სწრაფი რამირესი უძვირფასესი ფიგურაა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რამირესი „ჩელსის“ საუკეთესო ფეხბურთელია ამ სეზონში.

მის არყოფნაში დი მატეოს ორი ვარიანტი აქვს: 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, **ხუან მატასთან** ერთად, მეორე გარემარბად ან **სალომონ კალუ** უნდა გაამწესოს, ანაც **დანიელ სტარიჯი**. ალტერნატივა იქნებოდა **ფლორენ მალუდაც**, მაგრამ მას ტრავმა აწუხებს.

### დასკვნა

ზოგადად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ჩელსი“ ისევ დაცვიდან ითამაშებს, ოლონდ არა ისეთი ყრუ დაცვით, როგორც ეს ლონდონელებმა „ბარსელონასთან“ გააკეთეს. პირველ რიგში იმიტომ, რომ „ჩელსის“ შეტევაში დიდი პოტენციალი აქვს და მეორეც: დი მატეომ იცის, რომ „ბაიერნს“ დაცვაში პრობლემები აქვს. რეკორდმაისტერის უკანა ხაზი ისედაც ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ახლა კი ბადშტუბერიც აკლიათ. ზოგადად „ჩელსი“ აქცენტს ფიზიკურ სიძლიერეზე, ზომიერად აგრესიულ ორთაბრძოლებზე და დროგბასკენ გრძელ და მაღალ პასებზე გააკეთებს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ყველა ფინალი [illegible] წლიდან

### 2002/2003. მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი“

**იუვენტუსი-მილანი 0:0 (პ. ს. 2:3)**

**იუვენტუსი (4-4-1-1):** ბუფონი - ტიურამი, ტუდორი (42. ბირინდელი), ფერარა, მონტერო - კამორანეზი (46. კონტე), ტაკინარდი, დავიდსი (66. სალაიეტა), ძამბროტა - დელ პიერო - ტრეზეგე.

**მილანი (4-2-2-2):** დიდა - კოსტაკურტა (66. როკე ჟუნიორი), ნესტა, მალდინი, კალაძე - გატუზო, პირლო (71. სერჟინიო) - რუი კოშტა (87. ამბროზინი), ზეედორფი - შევჩენკო, ინძაგი.

**პენალტების სერია:** 0:0 ტრეზეგე (მეკარე), 0:1 სერჟინიო, 1:1 ბირინდელი, 1:1 ზეედორფი (მეკარე), 1:1 სალაიეტა (მეკარე), 1:1 კალაძე (მეკარე), 1:1 მონტერო (მეკარე), 1:2 ნესტა, 2:2 დელ პიერო, 2:3 შევჩენკო.

**გაფრთხილება:** ტაკინარდი, დელ პიერო - კოსტაკურტა

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

**მაყურებელი:** 63 215

### 2003/2004. გელზენკირხენი. „არენა აუფ შალკე“

**მონაკო-პორტუ 0:3**

**მონაკო (4-1-3-1-1):** რომა - იბარა, როდრიგესი, ჟივე (72. სკილაჩი), ევრა - ციკოსი - ე. სისე (64. ნონდა), ბერნარდი, როთენი - ჟიული (23. პრშო) - მორიენტესი.

**პორტუ (4-3-1-2):** ვიტორ ბაია - პაულო ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიო, ნუნუ ვალენტე - პედრო მენდეში, კოშტინია, მანიშე - დეკუ (85. პედრო ემანუელი) - დერლეი (79. ბენი მაკარტი), კარლოს ალბერტო (60. ალენიჩევი).

**გოლები:** 0:1 კარლოს ალბერტო (39), 0:2 დეკუ (71), 0:3 ალენიჩევი (75)

**გაფრთხილება:** ბერნარდი - ნუნუ ვალენტე, კარლოს ალბერტო

**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

**მაყურებელი:** 53 000

### 2004/2005. სტამბული. „ათათურქი“

**მილანი-ლივერპული 3:3 (პ. ს. 2:3)**

**მილანი (4-3-1-2):** დიდა - კაფუ, სტამი, ნესტა, მალდინი - გატუზო (112. რუი კოშტა), პირლო, ზეედორფი (86. სერჟინიო) - კაკა - შევჩენკო, კრესპო (85. ტომასონი).

**ლივერპული (4-2-3-1):** დუდეკი - ფინანი (46. ჰამანი), კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე - ჯერარდი, ჩაბი ალონსო - ლუის გარსია, კიუელი (23. შმიცერი), რიისე - ბაროში (85. სისე).

*მე-60 წუთზე ჩაბი ალონსომ (ლივერპული) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლები:** 1:0 მალდინი (1), 2:0 კრესპო (39), 3:0 კრესპო (44), 3:1 ჯერარდი (54), 3:2 შმიცერი (56), 3:3 ჩაბი ალონსო (60)

**პენალტების სერია:** 0:0 სერჟინიო (ააცილა), 0:1 ჰამანი, 0:1 პირლო (მეკარე), 0:2 სისე, 1:2 ტომასონი, 1:2 რიისე (მეკარე), 2:2 კაკა, 2:3 შმიცერი, 2:3 შევჩენკო (მეკარე)

**გაფრთხილება:** კარაგერი, ბაროში

**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 69 000

### 2005/2006. პარიზი. „სტად დე ფრანსი“

**ბარსელონა-არსენალი 2:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - ოლეგერი (71. ბელეტი), მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი - დეკუ, ედმილსონი (46. ინიესტა), ვან ბომელი (61. ლარსონი) - ჟიული, ეტო'ო, რონალდინიო.

**არსენალი (4-1-4-1):** ლემანი - ებუე, კოლო ტურე, კემპბელი, ე. კოული - ჟილბერტო სილვა - გლები (85. რეიესი), ფაბრეგასი (74. ფლამინი), პირესი (20. ალმუნია), ლიუნგბერგი - ანრი.

**გოლები:** 0:1 კემპბელი (37), 1:1 ეტო'ო (76), 2:1 ბელეტი (80)

**გაძევება:** ლემანი (18. არსენალი)

**გაფრთხილება:** ოლეგერი, ლარსონი - ებუე, ანრი

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**მაყურებელი:** 77 000

### 2006/2007. ათენი. „სპიროს ლუისი“

**მილანი-ლივერპული 2:1**

**მილანი (4-4-1-1):** დიდა - ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (79. კალაძე) - გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (92. ფავალი) - კაკა - ფ. ინძაგი (88. ჯილარდინო).

**ლივერპული (4-2-3-1):** რეინა - ფინანი (88. არბელოა), კარაგერი, აგერი, რიისე - მასკერანო (78. კრაუჩი), ჩაბი ალონსო - პენანტი, ჯერარდი, ზენდენი (59. კიუელი) - კუიტი.

**გოლები:** 1:0 ფ. ინძაგი (45), 2:0 ფ. ინძაგი (82), 2:1 კუიტი (89)

**გაფრთხილება:** გატუზო, იანკულოვსკი - მასკერანო, კარაგერი

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**მაყურებელი:** 63 000

### 2007/2008. მოსკოვი. „ლუჟნიკები“

**მანჩესტერი-ჩელსი 1:1 (პ. ს. 6:5)**

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი - ბრაუნი (120+5. ანდერსონი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, ჰარგრივსი, სქოულზი (87. გიგზი) - კ. რონალდო, რუნი (102. ნანი), ტევესი.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ესიენი, რ. კარვალიო, ტერი, ე. კოული - მაკელელე (120+4. ბელეტი), ბალაკი - ჯ. კოული (99. ანელკა), ლემპარდი, მალუდა (93. კალუ) - დროგბა.

**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (26), 1:1 ლემპარდი (45)

**პენალტების სერია:** 1:0 ტევესი, 1:1 ბალაკი, 2:1 ქერიკი, 2:2 ბელეტი, 2:2 კ. რონალდო (მეკარე), 2:3 ლემპარდი, 3:3 ჰარგრივსი, 3:4 ე. კოული, 4:4 ნანი, 4:4 ტერი (ძელი), 5:4 ანდერსონი, 5:5 კალუ, 6:5 გიგზი, 6:5 ანელკა (მეკარე)

**გაძევება:** დროგბა (116. ჩელსი)

**გაფრთხილება:** სქოულზი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ტევესი - მაკელელე, რ. კარვალიო, ბალაკი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

**მაყურებელი:** 69 500

### 2008/2009. რომი. „ოლიმპიკო“

**ბარსელონა-მანჩესტერი 2:0**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - პუიოლი, პიკე, იაია ტურე, სილვინიო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (92. პედრო) - ეტო'ო, მესი, ანრი (72. კეიტა).

**მანჩესტერი (4-2-2-2):** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, ანდერსონი (46. ტევესი) - პარკი (66. ბერბატოვი), გიგზი (75. სქოულზი) - კ. რონალდო, რუნი.

**გოლები:** 1:0 ეტო'ო (10), 2:0 მესი (71)

**გაფრთხილება:** პიკე - კ. რონალდო, სქოულზი, ვიდიჩი

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**მაყურებელი:** 62 467

### 2009/2010. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“

**ბაიერნი-ინტერი 0:2**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, ჰამით ალთინთოფი (63. კლოზე) - ოლიჩი (74. გომესი).

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (68. სტანკოვიჩი) - ხ. ძანეტი, კამბიასო - ეტო'ო, სნეიდერი, პანდევი (79. მუნტარი) - მილიტო (92. მატერაცი).

**გოლები:** 0:1 მილიტო (35), 0:2 მილიტო (70)

**გაფრთხილება:** დემიკელისი, ვან ბომელი - კივუ

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 74 954

### 2010/2011. ლონდონი. „უემბლი“

**ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი 3:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – დანი ალვეში (88. პუიოლი), მასკერანო, პიკე, აბიდალი – ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა – ვილია (86. კეიტა), მესი, პედრო (92. აფელაი).

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** ვან დერ სარი – ფ. და სილვა (69. ნანი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა – ვალენსია, ქერიკი (77. სქოულზი), გიგზი, პარკი – რუნი, ერნანდესი.

**გოლები:** 1:0 პედრო (27), 1:1 რუნი (34), 2:1 მესი (54), 3:1 ვილია (69)

**გაფრთხილება:** დანი ალვეში, ვალდესი – ქერიკი, ვალენსია

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**მაყურებელი:** 87 695

## ...ადგენლობები

ჩელსი (4-2-3-1): ჩეხი – ბოსინგვა, კეჰილი, დავიდ ...ლუისი, ე. კოული – მიკელი, ესიენი – კალუ, ლემპარდი, მატა – დროგბა.

...ენსა (პორტუგალია)
...ვო – ივანოვიჩი, ტერი, რამირესი, რაულ მეირელეში
...ტენი (ორივე ბაიერნი)

### ...ეთი თამაში)

**ჩელსი (მ-წ-მ-მ-ფ)**

პრემიერლიგა: ჩელსი-ბლექბერნი 2:1
პრემიერლიგა: ლივერპული-ჩელსი 4:1
ასოციაციის თასი: ჩელსი-ლივერპული 2:1
პრემიერლიგა: ჩელსი-ქუინზ პარკი 6:1
ჩემპიონთა ლიგა: ბარსელონა-ჩელსი 2:2

### ...ხვედრები

**...005. მეოთხედფინალი**

...ი 3:2

...(80), 2:2 გერერო (90), 3:2 შოლი (95)

...ი 4:2

...ლემპარდი (60), 3:1 ლემპარდი (70), 4:1 დროგბა (80), 4:2 ბა-

### ...ები

- 2004/2005 წლების სეზონში, „ბაიერნი“ და „ჩელსი“ ერთმანეთს მეოთხედფინალში გადაეყარნენ. ორი მატჩის ჯამში „ჩელსიმ“ 6:5 მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. მაშინ რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** გახლდათ.

- „ბაიერნის“ თავდამსხმელ **მარიო გომესს** ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 12 გოლი აქვს გატანილი და ტურნირის ბომბარდირთა რეიტინგში მეორე ადგილზე – გომესი **ლიონელ მესის** ორი გოლით ჩამორჩება.

**გოტფრიდ ლენცი**

# ლემპარდი დიდი გამარჯვების მოლოდინშია

**ფრენკ ლემპარდის** თქმით, "ბაიერნთან" ფინალში გამარჯვება "ჩელსისთვის" დიდი გმირობა იქნება. 33 წლის ფეხბურთელისთვის ეს უკვე მე-11 სეზონია "ლურჯების" შემადგენლობაში. აქამდე მას ყველაზე პრესტიჟულ თასზე გამარჯვების ერთი რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ... რა მოხდა 2008 წლის მოსკოვურ ფინალში ყველას ეხსომება და ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით. ვეტერანს ესმის, რომ მისი გუნდი "ალიანს არენაზე" ფავორიტად არ მიიჩნევა მიუხედავად იმისა, რომ ლონდონელებმა "ბარსელონასთან" გააგდეს. ლემპარდის მატჩისწინა კომენტარს მონოლოგის სახით გთავაზობთ:

- თუ მიუნხენში წავაგებთ, ხალხი მალე დაივიწყებს ჩვენს მეოთხედ და ნახევარფინალებს. ჩვენს თავს ყოველ წელს ერთსა და იმავე შეკითხვას ვუსვამდით, შევძლებდით თუ არა წინა წლის მარცხისთვის შურისძიებას, მაგრამ ყოველ ჯერზე ვმარცხდებოდით, რადგან სათანადოდ ძლიერები არ ვიყავით. ახლა კი ერთი ნაბიჯი გვაშორებს დიდი წარმატებისგან.თუნდაც დავმარცხდეთ, წარსულისთვის თვალის გასწორებას მაინც ამაყად შევძლებ. ბედნიერი ვარ, რომ თითქმის მთელი კარიერა ამ კლუბში გავატარე.

ფეხბურთი წარმოუდგენლად სწრაფად ვითარდება. შედეგები ძალიან კარგიდან ძალიან ცუდისკენ შეიძლება თვალის დახამხამებაში შეიცვალოს. საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ სიტუაციის შემოტრიალება წამებში შეიძლება. თამაშის შემდეგ ძალიან გაბრაზებულები ვიყავით და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, თითქმის მთელი ის დრო, რაც მატჩიდან მატჩამდე გვქონდა, რომ ჩვენი თავი ხელში აგვეყვანა და სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ შემოგვეტრიალებინა. ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეტაპი იყო ჩვენთვის.

**ლევან ბიბილაშვილი**



ფრენკ ლემპარდი დღეს კარიერის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თამაშს ჩაატარებს

# ქართული სპორტი

## სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# ვერცხლის დებიუტი

**მოსკოვში გუშინ დაწყებულ ევროპის პირველობაში წარმატებით ჩაებნენ ქართველი სამბისტები და პირველივე დღეს ვერცხლის ორი მედალი მოიპოვეს – ქუთაისელმა გენადი ჩირგაძემ (52) და თბილისელმა ლევან ნახუცრიშვილმა (68).**

ჩირგაძე პირველად ჭიდაობდა ამ რანგის ტურნირზე და დებიუტი ვერცხლისფრად შეფერა. ფინალში მისი მეტოქე რუსი **ალბერტ მონგუში** იყო, რომლის წინააღმდეგობაც ჩვენებურმა, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ველარ დასძლია.

ფინალში ძლიერი მეტოქე შეხვდა ნახუცრიშვილსაც – ბელარუსი **ალექსანდრ კოკშა** და ჩემპიონობას ვერც ამ წონაში შევწვდით. გუშინ კიდევ ორმა ჩვენებურმა იასპარეზა – **დავით კარბელაშვილმა** (90) და **ნინო ოძელაშვილმა** (72), მაგრამ ისინი უმედლოდ დარჩნენ. საინტერესოა, რომ 90-ში ფინალში დამარცხდა ბელარუსი ევროპის ჩემპიონი ძიუდოში, წლევანდელი ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრეი**



ლევან ნახუცრიშვილი



გენადი ჩირგაძე

**კაზუსიონაკი** – მასპინძელ **არსენ ხანჯიანთან** წააგო.

საერთოდაც გუშინდელმა დღემ, მოლოდინისამებრ, მასპინძელთა დიდი უპირატესობით ჩაიარა – ქალებში თუ მამაკაცების ჩვეულებრივსა და საბრძოლო სამბოში ექვსი ოქრო მოიპოვეს. რუსების გარდა, გუშინ ოქროს მედლებს უკრაინა (2) და ბელარუსიც (1) დაეუფლნენ.

დღეს მოსკოვში ვაჟთაგან 57, 74 და 100-ის, ქალთაგან კი 52, 64 და 80-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ანუ ჩვენგან საჭიდაოდ **უშანგი კუზანაშვილი** (52), **ბექა ბერულავა** (74), **მირიან პავლიაშვილი** (100), **შორენა შარაძე** (64) და **ირინა ლეონიძე** (80) იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

## უნივერსიადა 2012



# სტუდენტები ჩოხაში

ჩვენ ეროვნულ საუნჯეს, ქართულ ჭიდაობას ყველა პატივს უნდა მიაგებდეს. წლევანდელი უნივერსიადის პროგრამაში მისი ჩართვაც ამის დასტურია. გლდანში, ოლიმპიური მზადების ცენტრში გამართული სტუდენტთა ასპარეზობა, მართალია, ხალხმრავალი არ ყოფილა, მაგრამ თვით ფაქტია მისასალმებელი. მასობრიობა მოვა, თუკი უმაღლესი სასწავლებლები დაინტერესებას გამოიჩენენ. ჯერჯერობით მეტწილად ძიუდოსა და სამბოში დაოსტატებულებმა სტუდენტებმა მოირგეს ქართული ჩოხა და საპატიო კვარცხლბეკზეც უფრო მათ ვხედავდით.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. თორნიკე კაპანაძე (სამედიცინო უნივერსიტეტი), 2. ლევან ბერბერაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი), 3. ვანო ბაქრაძე (აგრარული უნივერსიტეტი).

**65 კგ.** 1. პაატა მერებაშვილი (გორის უნივერსიტეტი), 2. ზაზა სიმონიშვილი (ილიას უნივერსიტეტი), 3. ზაურ ლოლელიანი (სდასუ).

**70 კგ.** 1. ვანიკო თოთლაძე (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2. შოთა ოქროპირიძე (გორის უნივერისტეტი), 3. გიორგი არაბული (ილიას უნივერსიტეტი).

**75 კგ.** 1. თორნიკე ჯულელი (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2. რევაზ თვაური (აგრარული უნივერსიტეტი), 3. პაატა დოლიაშვილი (სოხუმის უნივერსიტეტი).

**80 კგ.** 1. გიორგი ბიჩელაშვილი (ილიას უნივერსიტეტი), 2. ლაშა ყიზილაშვილი (ტექნიკური უნივერსიტეტი), 3. არჩილ უსტარაშვილი (აგრარული უნივერსიტეტი).

**90 კგ.** 1. გიორგი კობაიძე (ილიას უნივერსიტეტი), 2. პაატა აბულაძე (აგრარული უნივერსიტეტი), 3. ირაკლი ნანიევი (ტექნიკური უნივერსიტეტი).

**+90 კგ.** 1. გიორგი ზაქარიაძე (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2. გიორგი ქავთარაძე (ილიას უნივერსიტეტი), 3. შმაგი ბერუაშვილი (აგრარული უნივერსიტეტი).

გუნდური: 1. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2. აგრარული უნივერსიტეტი, 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## მშვილდოსნობა. ევროპის ჩემპიონატი

# ამსტერდამში ევროპისა და ლონდონისთვის

**ამ დილით ქართველი მშვილდოსნები სტამბოლის გავლით ამსტერდამში გაფრინდნენ, სადაც 21-26 მაისს ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.**

ჰოლანდიაში 6 ქართველი ისვრის - 3-3 ჩუბინი ქალებსა და ვაჟებში. გუნდების შემადგენლობა ბოლო თვეების კვალობაზე უცვლელია - ქალებში კვლავაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე** გამოვლენ, ვაჟებში - **ლაშა ფხაკაძე, თორნიკე რიჟამაძე** და **ირაკლი ქვლივიძე**.

ევროპის პირველობის გარდა, ამსტერდამში ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირიც ტარდება, ოლონდ ჩვენგან მასში მხოლოდ ვაჟები თუ გამოვლენ, თორემ ქალებს, რადგან შარშან მსოფლიოს პირველობაზე ერთი საგზური უკვე მოიპოვეს, ამჯერად ასპარეზობის უფლება არ აქვთ. მათთვის სალიცენზიო შეჯიბრება ივნისში აშშ-ში გაიმართება.

ამსტერდამში 21 მაისი ოფიციალური ვარჯიშის დღეა, 22-ში კი საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყება ქალებშიც და ვაჟებშიც. 23-24 მაისს პლეი ოფები ჩატარდება პირად პირველობაში და გამოვლინდებიან მედლებისთვის მებრძოლი წყვილები, 24-ში კი პირადის პარალელურად გუნდური ასპარეზობაც გაიმართება - ესეც ნახევარფინალის ჩათვლით. 25 მაისს ჩვენთვის ყველაზე საინტერესო დღეა - სალიცენზიო ტურნირი იმართება. ის ცალკე ტარდება იმ გუნდებისთვის, რომლებსაც საგზურები ჯერ არ აქვთ ანუ იქ ფავორიტები არ გამოვლენ, რაც ჩვენი ვაჟების შანსებს ზრდის. ნაკრების კორეელი მთავარი მწვრთნელი **ან ჰეიუნ სანი** ამ სამეულს დიდად ემადლიერება, რადგან შედეგებს უმატებენ, თორემ სამივე მათგანი ასაკით ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ჯერ ამ რანგის პაექრობაში გამოსვლა არ უწევდათ.

ევროპის ჩემპიონატი 26 მაისს დასრულდება ფინალური შეხვედრებით.

**ირაკლი თავაძე**

## თავისუფალი ჭიდაობა. ჭაბუკები

# ქვეყნის თასი – რაჭაში

**საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ ახალ ტურნირს — თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა შორის ქვეყნის თასის გათამაშებას ჩაუყარა საფუძველი. ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელიც ქვეყნის რეგიონებს შორის ტარდება. ცალკეულ გუნდში წონითი კატეგორიები აბსოლუტურად შეესაბამება პირადი პირველობის დაყოფას ანუ ყოველ მათგანში 10-10 წონაა.**

პირველ ტურნირს ამ დღეებში ამბროლაურის ახალგახსნილმა სპორტულმა დარბაზმა უმასპინძლა და მაღალ დონეზეც ჩატარდა. შეჯიბრებაში 12 გუნდი გამოდიოდა ორ ჯგუფად. გამარჯვებულები ფინალში, მეორეადგილოსნები კი ბრინჯაოს მედლისთვის აგრძელებდნენ პაექრობას. წესით, გუნდურ ტურნირებში ერთი ბრინჯაოს მედალი თამაშდება, მაგრამ რაკი შეჯიბრება პირველად ტარდებოდა, თანაც რეგიონების სპორტსმენები გამოდიოდნენ, ამჯერად ორგანიზატორებმა სტიმულის მისაცემად ბრინჯაოს მედლების ორი კომპლექტის გათამაშება გადაწყვიტეს.

საქართველოს თასისთვის ფინალში ბრძოლის უფლება თბილისისა და იმერეთის გუნდებმა მოიპოვეს, თასი კი დედაქალაქელებმა დაისაკუთრეს — იმერლებს 8:2 მოუგეს. ბრინჯაოსთვის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და ქვემო ქართლის გუნდები იბრძოდნენ. ერთი შეხედვით, ამ წყვილის ფავორიტი ქართლელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ჯაბანნი არც რაჭველები გამოდგნენ, სადაც ბოლო ხანებში თავისუფალი ჭიდაობა აშკარად აღმავლობას განიცდის, მათ წარმომადგენლები კი უკვე სერიოზულ სიტყვას ამბობენ ასაკობრივ ნაკრებებში. შეხვედრა ფრედ, 5:5 დამთავრდა, თუმცა დამატებითი მაჩვენებლებით (ქულები, სუფთა მოგებები) მასპინძლებმა იმარჯვეს. ამის მიუხედავად, როგორც გითხარით, ბრინჯაოს მედლები ქვემო ქართლელებსაც გადაეცათ.

საქართველოს თასი გარდამავალია ანუ მას ყოველ წელს ახალი ჩემპიონი გადაიბარებს, თუმცა შესაძლოა, ვინც მას სამჯერ მოიპოვებს, დაუტოვონ კიდეც. ასევე ყოველწლიურად შეიცვლება ტურნირის ჩატარების ადგილი, თუმცა წლევანდელ შეჯიბრებას ამბროლაურელებმა იმდენად კარგად უმასპინძლეს, ახლავე გადაწყდა, რომ ტურნირი გაისადაც იქ გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

## ძიუდო. კიევის ტურნირი




# ტაიფუნი კიევში

ამ უქმეებზე კიევში ევროპის თასის მე-18 ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის - „ტაიფუნი ტატამზე", გაიმართება რომელშიც ევროპის, აზიის, ამერიკის 18 ქვეყნის 400-ზე მეტი მოზარდი იჭიდავებს. მათ შორის ქართველებიც იქნებიან, რომლებიც ამჯერად შესუსტებული შემადგენლობით გამოვლენ: **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ანდრო ბერუაშვილი** (66), **ალეკო ზაალიშვილი, ოთარ ტყეშელაშვილი** (ორივე – 81), **ჯაბა კაპანაძე** (90), **როსტომ ხახალეიშვილი** (+100). ერთი მონაწილე გოგოებშიც გვეყოლება – სალომე **აბაშიძე** (52).

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# შავების თეთრი დღე

საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა **ბაადურ ჯობავამ** გუშინ მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში მეხუთე გამარჯვება მიითვალა - ამჯერად შავი ფიგურებით **გიგა ყუფარაძე** დაამარცხა. რეიტინგფავორიტს არც **ლუკა პაიჭაძე** ჩამორჩა - ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატმა საქართველოს ნაკრების წევრ **ლევან ფანცულაიას** აჯობა, თანაც შავებით. ლიდერი მას მხოლოდ ნახევარი ქულით უსწრებს. **დავით არუთინიანმა** ტრადიციას არ უღალატა და **ირაკლი ბერაძეს** დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **ზურაბ ჯავახაძე** და **მერაბ გაგუნაშვილი**. საქართველოს ჩემპიონმა **დავით ზარქუამ** შავი ფიგურებით **ივერი ჭილლაძეს** გააჩერებინა საათი. **კონსტანტინე შანავამ დავით ლომსაძეს** სძლია. ასე რომ, შავებმა გუშინ ექვსიდან 5 ქულას მოუყარეს თავი.



ბაადურ ჯობავა

ექვსი ტურის შემდეგ: ჯობავა-5.5, პაიჭაძე-5, ზარქუა, გაგუნაშვილი-4-4, შანავა, ჯავახაძე-3.5-3.5, არუთინიანი-3, ყუფარაძე, ბერაძე, ლომსაძე-2-2, ფანცულაია-1.5, ჭილლაძე-0 ქულა. მოჭადრაკეები დღეს დაისვენებენ, ხვალ კი მე-7 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## თავისუფალი ჭიდაობა

**მეხუთედ...**

ავჭალაში, 120-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **მარინა წერეთელი**), სადაც კარგა ხანია მუშაობს თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფი, მეხუთედ გაიმართა სსრკ ჩემპიონის ნოდარ ბეკურიშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი 1996-2000 წ.წ. დაბადებულთა შორის. (მთავარი მსაჯი და ორგანიზატორი **სოსო ბზარაშვილი**).

ტურნირის გამარჯვებულები არიან: **გიორგი გიორგაძე** (23 კგ, საჩხერე), **თემურ სისაური** (26, ცერცვაძის სკოლა), **გიორგი გელაშვილი** (29, ხაშური), **გიორგი ელბაქიძე** (32), **ვლადიმერ გამყრელიძე** (35, ორივე — ამბროლაური), **ჯაბა მაისურაძე** (38, რუსთავი), **მანუჩარ გორგაძე** (+38), **გოგა მამიაური** (42, ომც), **გაიოზ გონგლაძე** (46), **ომარ ბედიძე** (50, ორივე — ხაშური), **მამუკა ჩაჩუა** (54, ცერცვაძის სკოლა), **ფერდო გონაშვილი** (58, დედოფლისწყარო), **შალვა ქირიკაშვილი** (63, სტეფანწმინდა), **შამუ კიარიმოვი** (69, ხაბელოვის კლუბი), **მოგელი მეზვრიშვილი** (74, გორი), **თორნიკე კახობერაშვილი** (+74, ომც). მას გადაეცა ნოდარ ბეკურიშვილის სახელობის სპეციალური პრიზი.

**გაბრიელ ბარჯაძე**



შვილები: მარინა, კოტე ცალქალამანიძეები, შვილიშვილები: ნათია, ნინო, გიორგი კერესელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ავტომოტოსპორტის ვეტერანი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორი, ძრავების სრულყოფის კონსტრუქტორი, მრბოლთა თაობების აღმზრდელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

**კონსტანტინე ცალქალამანიძე**

**პანაშვიდი:** 19. 05; **გამოსვენება** 20. 05; 14 საათზე. **მისამართი:** ზ. ფალიაშვილის, 72; IV სად.

სანთელი

# ლეგენდა, ნაადრევად დასრულებული



ორიოდე კვირის წინათ დარბაზში შევხვდით ერთმანეთს ახალგაზრდების ტურნირზე. მთელი შეჯიბრების განმავლობაში მზერა არ მოუშორებია მოასპარეზე წყვილებისთვის. მეტოქეთა თითოეულ ჩხვლეტაზე ისე რეაგირებდა, თითქოს თავად მდგარიყო საფარიკაო ბილიკებზე. „ბატონო ვოვა, არ იცვლებით-მეთქი“, - ვუთხარი. „რა ვქნა, ფარიკაობა ჩემი სიცოცხლეაო“, - მიპასუხა ღიმილით.

ჩვენი ნაცნობობა 1978 წლიდან დაიწყო: ერთ დღეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელმა ფელიქს ლაპიცკიმ მითხრა, ახალგაზრდა მოფარიკავეთა საკავშირო პირველობაზე მინსკიდან ჩემი მოგვარეა ჩამოსული, გაცნობა მინდა და შეჯიბრებაზე ერთად წავიდეთო. დარბაზში სრული „საბრძოლო“ სიტუაცია სუფევდა - იარაღის ჟღარუნი და ხმამაღალი შეძახილები ისმოდა. ჩემი ყურადღება ტანმორჩილმა მუშკეტერმა მიიპყრო, რომლის ელვისებურ შეტევებს მეტოქეები ვერ უმკლავდებოდნენ. ისიც დამამახსოვრდა, ერთი მეტოქე ნახევარფინალში სიცილ-ხარხარით რომ დაამარცხა. მწვრთნელებმა უსაყვედურეს კიდეც, ჯერ ფინალი მოიგე და მერე იხარხარეო. „ბავშვობიდან ასეთია, - მითხრა მაშინ ცნობილმა მწვრთნელმა ლუდვიგ ლალანიძემ. - მოქნილი, სწრაფი, მოუსვენარი, მაგრამ გულიანი ბიჭია, შრომისმოყვარე, უშიშარი. ერთხელ ვარჯიშისას ბაგირზე ფეხების დაუხმარებლად აცოცდა, კაუჭიდან თოკი მოხსნა და ცალი ხელით თავად ჩამოეკიდა. მწვრთნელები გაოცებისგან ხმას ვერ ვიღებდით. მან კი სიცილით ჩამოგვძახა - ნუ გეშინიათ, არაფერი მომივაო“.

საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, ვლადიმერ აფციაურმა ფინალური შეხვედრა რომ მოუგო ბელარუს მეტოქეს და ჩემპიონობა მოიპოვა. არადა, ფარიკაობაში შემთხვევით მოხვდა. 1973 წელს ძმასთან ერთად ჩამოიყვანეს მშობლებმა თბილისში - მოქნილი, სხარტი ბიჭები არიან და იქნებ ტანვარჯიშში ივარგონო. რადგან ჯგუფში ადგილები შევსებული იყო, დროებით ფარიკაობაში მეცადინეობა შესთავაზეს. მოეწონა, დარჩა და დარჩა.

მართალია, ახალგაზრდებში საკავშირო შეჯიბრებები არაერთხელ მოუგია, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად ვლადიმერ აფციაურისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1981 წლის კიევის საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც სახელოვანი მუშკეტერები გამოდიოდნენ. 20 წლის ქართველმა ჭაბუკმა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე ჯერ იური ლიკოვს აჯობა, მერე მსოფლიოს საუკეთესო რაპირისტი ალექსანდრ რომანკოვი ჩამოიშორა გზიდან. მაშინდელმა „სოვეტსკი სპორტმა“ მაღალი შეფასება მისცა ჩვენებურს: „საშუალო ტანის მოფარიკავეს ჭეშმარიტად კავკასიური ტემპერამენტი აქვს, ძალიან სწრაფია, შესანიშნავად გრძნობს დისტანციას“. ფინალური ორთაბრძოლა მოსკოვის ოლიმპიადის გამარჯვებულ და 1981 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ სმირნოვთან დათმო. მართალია, ვერცხლის მედალს დასჯერდა, მაგრამ საკავშირო ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გაეხსნა გზა. პლანეტის უძლიერეს რაპირისტებს რომმა უმასპინძლა. გუნდური პირველობის მეოთხედფინალში გერმანელებთან შეხვედრისას ტრაგედია დატრიალდა: სმირნოვს ალემანი მათიას ბერის გატეხილი რაპირა თვალში შეერჭო, იქვე დაკარგა გონი. ორიოდე დღის შემდეგ ისე გარდაიცვალა, ცნობიერება არ დაბრუნებია. გერმანელებთან მატჩის მეორე დღისთვის გადადება უნდოდათ, მაგრამ აფციაურმა დაიჟინა, დღესვე ვიბრძოლოთო. დებიუტანტის სიტყვამ გაჭრა. საბჭოთა გუნდმა ის შეხვედრა მოიგო, მერე იტალიელებსაც სძლია და ფინალში გავიდა.

მოფარიკავეებისგან არაერთხელ მსმენია, რომ გუნდური დაპირისპირებისას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველი პაექრობის მოგებას ნაკრებში ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. მწვრთნელებმა, იცოდნენ რა აფციაურის უდრეკი ნებისყოფის, ჟინისა და თავდადების ამბავი, ფინალში ფრანგებთან პირველი ორთაბრძოლები სწორედ მას ანდეს. ქართველმა ჭაბუკმაც გაამართლა იმედები: ზედიზედ დაამარცხა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონები - პასკალ ჟოლიო, დიდიე ფლამანი და ფრედერიკ პიეტრუჩკა. სამწუხაროდ, თანაგუნდელებმა ვერ აუბეს მხარი და საბჭოთა ნაკრები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა - 7:8-ს აგებდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა ისევ დებიუტანტმა იტვირთა. ვლადიმერ აფციაურმა ამჯერადაც იყოჩაღა - ფილიპ ომსენს (მან ბარსელონის ოლიმპიადაზე დაიკავა პირველი ადგილი) 5:4 მოუგო და გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

ამ ტიტულის გარდა, სპორტის დამსახურებული ოსტატის საოჯახო კოლექციას ამშვენებს მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი, ევროპის თასი, 1984 წლის საერთაშორისო სპორტული თამაშების ოქროები პირად და გუნდურ პირველობებში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. მისი ხელმძღვანელობით ქუვეითის ნაკრებმა ხუთჯერ არაბული ქვეყნების პირველობა მოიგო, და კიდევ სხვა მრავალი ჯილდო.

და მაინც, სახელოვანი ქართველი მოფარიკავის წარმატებათა გვირგვინს 1988 წლის ოლიმპიური ჩემპიონობა წარმოადგენს. მწვრთნელები სეულშიც ბრძოლის წინა ხაზზე პირველს ისევ აფციაურს უშვებდნენ. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრები უნგრელებს დაუპირისპირდა. კარგა ხნის განმავლობაში მადიარებს მსოფლიოში ფარიკაობის მოდის კანონმდებლებად მიიჩნევდნენ და ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები ძრწოდნენ მათ წინაშე. აფციაურს კი ავტორიტეტების შიში არასდროს ჰქონია. სამხრეთ კორეის დედაქალაქშიც შეუპოვრად ეკვეთა უნგრელთა ლიდერებს: სელეის 5:1 მოუგო, სეკელეში კი სულაც მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხა. თუმცა ამ მატჩშიც შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია - უნგრელები 8:6 დაწინაურდნენ. ფინალში გასვლის ბედი აფციაურისა და ანვარ იბრაგიმოვის შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა, თანაც ისე, რომ ექვს ჩხვლეტაზე მეტი არ უნდა მიეღოთ. ორივე სპორტსმენმა წარმატებით გადაჭრა ეს პრობლემა და გამარჯვების ქულები მოუტანეს საბჭოთა ნაკრებს, რომელმაც ფინალში გერმანიას აჯობა 9:5 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აქაც ოქროსკენ თანაგუნდელებს გზა ხალასი ნიჭით დაჯილდოებულმა ქართველმა მუშკეტერმა გაუკაფა, რომლისთვისაც ნებისყოფის სიმტკიცე, სიმკვირცხლე და რეაქცია თანდაყოლილი თვისებები იყო, თანაგუნდელთა თანადგომა კი უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. მისი სტიქია სისწრაფე იყო, ელვისებური იერიშები. სამწუხაროდ, ცხოვრებაშიც იჩქარა და... ნაადრევად განშორდა საყვარელ ოჯახს, მეგობრებს, ქომაგებს და საუკუნო სასუფეველში გადაინაცვლა. კიდევ ერთი დიდი ლეგენდა დასრულდა. მის ნეშტს დღეს მშობლიური მიწა მიიბარებს. მადლიერი შთამომავლობა ვლადიმერ აფციაურის სახელს არასდროს დაივიწყებს.

ვაჟა დანელია

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი მოფარიკავის, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ბრწყინვალე პიროვნების

**ვლადიმერ აფციაურის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს, მთელ საფარიკაო სამყაროს.

კალათბურთი

● *ინტერვიუ გიორგიოს კეცელიდისთან*

# რატომ არ უნდა მოხვდეს საქართველოს ნაკრები ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რადგან „შსს აკადემიას“ ბერძენ მწვრთნელ გიორგიოს კეცელიდისთან ინტერვიუში გუნდის გარდა ქართული კალათბურთის საჭირბოროტო და სახალისო თემებსაც შევეხეთ, გადავწყვიტეთ ინტერვიუ ორად გაგვეყო. დღეს მეორე ნაწილს გთავაზობთ.**

- თავისუფალი დრო იშვიათად მაქვს, თუმცა თუ გამოვნახავ, ვცდილობ ოჯახთან ერთად გავატარო. საერთოდ, როცა საკლუბო საქმეებს ვამთავრებ, კალათბურთს ვუყურებ, მატჩებს ვარჩევ, ყოველთვის ახალს ვსწავლობ. როცა ევროლიგის თამაშებისას, რომ არ ვიცოდე მწვრთნელის ვინაობა, ხელწერის მიხედვით ვხვდები, ვინ ხელმძღვანელობს გუნდს. მოკლედ, ვცხოვრობ კალათბურთით, რომელსაც დღეში 14-15 საათს ვუთმობ.

**- ევროლიგა იმ გუნდმა მოიგო, რომელშიც გიმუშავიათ - „ოლიმპიაკოსმა“ ფინალში ცსკა-სთან სოლიდური ჩამორჩენა გააბათილა. ვფიქრობ, წარმატებაში დიდი წვლილი მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა შეიტანა.**

- იგი კლუბში მისვლის შემდეგ ცნობილ სახეებს დაემშვიდობა - ბურუსისს, პაპალუკასს, თეოდოსიჩს. შედარებით მცირე ბიუჯეტით შექმნა გუნდი, რომელიც სპანულისის გარშემო ააწყო და ერთი ოჯახივით გააერთიანა. რაც მთავარია, „ოლიმპიაკოსი“ საუკეთესო დაცვას თამაშობს. არსებობს გამონათქვამი: შეტევით ერთი თამაშის მოგება შეიძლება, დაცვით - ჩემპიონატისა.

**- სეზონის დასაწყისში „ოლიმპიაკოსს“ ქართველებით გაძლიერებულმა „კანტუმ“ აჯობა. ბერძნებს შთამბეჭდავი კალათბურთი არც ერთ შეხვედრაში უჩვენებიათ...**

- სეზონის სტარტზე „ოლიმპიაკოსს“ ბევრი დასცინოდა, მაგრამ ბოლოს პატივსაცემ, სერიოზულ ძალად იქცა. ეს მწვრთნელის მუშაობის შედეგი იყო. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: „კანტუმ“ ბოლო წამებზე გიორგი შერმადინის დაფარებით მოიგო. ქართველმა ცენტრმა ჰაინსს დაუფარა. არადა, „ოლიმპიაკოსის“ ამერიკელ კალათბურთელს შეეძლო პასი დროულად მიეცა და შეიძლება თამაშიც მოეგო. იმ ეპიზოდის შემდეგ არაერთი მატჩი ვნახე და ჰაინსი ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც გუნდს სჭირდებოდა, საკუთარ თავზე ზედმეტს არ იღებდა.

**- აქვე შერმადინზე გკითხავთ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში საბერძნეთში თამაშობდა.**

- ილიას ზუროსთან ერთად „პანელინიოსში“ რომ ვმუშაობდი, გიორგის გადაყვანა გვსურდა, მაგრამ ბოლო მომენტში „პანათინაიკოსში“ დარჩა. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- 2011 წლის ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრებმა ბერძნების წინააღმდეგ ითამაშა. ჩვენს გუნდს კარგად უნდა იცნობდეთ.**

- საქართველოს ნაკრებს წარმატებებსა და მომავალ ევროპის ჩემპიონატზე გასვლას ვუსურვებ. მიმაჩნია, რომ გუნდს შეუძლია შარშანდელი შედეგის გაუმჯობესება. რატომ არ უნდა მოხვდეს 8, ან 6 საუკეთესოს შორის? ნაკრებში ხომ მაღალი დონის კალათბურთელები თამაშობენ და კარგ კალათბურთს უჩვენებენ.

**- სადღეისოდ მიმდინარეობს მუშაობა ამერიკელი კალათბურთელის გაქართველების მიმართულებით. კულუარებში გვარიც სახელდება. ამ საკითხზე რა აზრის ბრძანდებით?**

- ნაკრებში ვის მიიწვევენ ჩემი საქმე არ არის. კარგად ვიცნობ კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, ასევე მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს და ვიცი, რომ თავისი საქმის პროფესიონალები არიან და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, როგორიც გუნდს სჭირდება. ნატურალიზებულის შესახებაც ვერაფერს გეტყვით.

**- ოთხი თვეა, საქართველოში მუშაობთ. ქვეყნის დათვალიერებას მოასწრებდით.**

- ბევრის აზრით, ევროპაში საბერძნეთი ყველაზე ლამაზი ადგილია. საქართველოც ძალიან მომეწონა, მოვინახულე მცხეთა, გუდაური, ანანური, ბათუმი... იმედი მაქვს ამ ზაფხულს კიდევ არაერთ მხარეს დავათვალიერებ. ბათუმთან დაკავშირებით ერთ ისტორიას გავიხსენებ. ამ ქალაქის გუნდთან ზამთარში ვითამაშეთ. ავტობუსით ვიმგზავრეთ და დიდთოვლობის გამო გზა ძალიან გაიწელა. მძღოლს რომ ვეკითხებოდი: ბათუმი საითაა, რამდენ ხანში მივალთ-მეთქი, მპასუხობდა - შევუხვევთ და იქითააო. არ დაილია შესახვევები, მაგრამ ბათუმი მაინც არ ჩანდა.

**- ქართულ სამზარეულოზეც უნდა გკითხოთ. მით უმეტეს, რომ ვიცი, კარგი მზარეული ბრძანდებით.**

- კერძების მომზადება ჩემი ჰობია. დაკვირვებული ვარ, კაცები უფრო კარგი მზარეულები არიან, ვიდრე - ქალები. ალბათ იმიტომ, რომ ეს საქმე კაცისთვის ჰობია, რომელიც სიამოვნებას ანიჭებს, ქალისთვის - დამატებითი სამუშაო. ვამზადებ თურქულ და ბერძნულ კერძებს, ქართულებზე ჯერ არ გადავსულვარ. მომწონს ხინკალი, ქაბაბი, ჩაქაფული... ერთი კითხვა მაქვს: აჭარულ ხაჭაპურს ყველთან და კვერცხთან ერთად ხორცს რატომ არ ამატებთ? ვფიქრობ, ძალიან მოუხდება.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## უმჯობესია...

რამდენად კარგადაც უნდა შენდებოდეს სახლი, გარეშე თვალისთვის შესწორებების შეტანა მაინც იოლი იქნება. ეს საერთო საქმისთვისაა სასარგებლო. „შსს აკადემიას“ მწვრთნელი გიორგიოს კეცელიდისი „გარეშე“ ადამიანი აღარაა, თუმცა მაინც საინტერესოა, საქართველოში ახალჩამოსულს ყველაზე მეტად რა მოხვდა თვალში.

ჯერ დადებითზე...

- სასიამოვნო და საინტერესოა, რომ ყველა ცდილობს ქართული კალათბურთისთვის კარგი აკეთოს. აქ სპორტის ეს სახეობა ძალიან უყვართ და განვითარებაზე ყოველდღიურად ზრუნავენ. ამის რესურსი კი ნამდვილად არის. მონდომება ყოველთვის მოიტანს შედეგს.

ახალგაზრდა კალათბურთელებსა და პერსპექტივაზე ინტერვიუში ნაიკითხავდით, აქ კი დროა ჩამოვთვალოთ რამდენიმე ნიუანსი, რაც მწვრთნელის აზრით სამომავლოდ გასაუმჯობესებელია.

- პირველი, რასაც სერიოზული მიხედვა უნდა - რეკლამაა. სპორტის სასახლის გარე ფასადზე არის დიდი ანონსი, ერთ სატელევიზიო არხზეცაა რეკლამები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, გაცილებით მეტი „პრომოუშენი“ სჭირდება.

- აუცილებელია დარბაზების დამატება. კარგი იქნება, ყველა კლუბს ჰქონდეს საკუთარი არენა არა მხოლოდ ვარჯიშისთვის, არამედ სათამაშოდ. ასე ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო გახდება და სპორტის სასახლეშიც მატჩების ყოველ ორ საათში ერთხელ გამართვა აუცილებელი არ იქნება. თამაშისწინა ვარჯიშისთვის ძალიან ცოტა დრო გვაქვს, ზოგჯერ ფორსირებულად გვიწევს მზადება. ჩემი აზრით, გაცილებით უკეთესი იქნება შეხვედრების ორ დღეზე, შაბათ-კვირაზე გადანაწილება.

- ასევე მნიშვნელოვანია კალათბურთის მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარება. უმაღლეს ლიგაში ყველა რეგიონს მინიმუმ ერთი კარგი გუნდი მაინც უნდა ჰყავდეს - ბათუმს, ქუთაისს, რუსთავს, თელავს...

- ნებისმიერი მსაჯისთვის ძნელია დღეში სუპერლიგის ორი, ზოგჯერ სამი მატჩის გაძღოლა. შეხვედრები ორ დღედ თუ გადანაწილდება, არბიტრებისთვისაც იოლი იქნება. აქვე მინდა ხაზგასმით დავაფიქსირო ჩემი მოსაზრება ქართველ მსაჯებზე: ძალიან კარგი თემიდელები გყავთ როგორც პროფესიონალური, ასევე სისუფთავის თვალსაზრისით. თუმცა, სუპერლიგას მეტი არბიტრი ნამდვილად სჭირდება.

- გნებავთ ხუმრობად მიიღეთ, გნებავთ - არა: არის ზოგიერთი საინტერესო მატჩი, რომლის ბოლო წუთების ხილვა ყველას გვსურს, მაგრამ რადგან მომდევნო შეხვედრის მონაწილენი გასახდელიდან გამოვდივართ, დარბაზში შესვლის უფლება არ გვაქვს, კარებს კი ძალიან პატარა, მრგვალი ფანჯარა აქვს... ან კარი გაგვიღონ (არ შევალთ), ან დიდი შუშა ჩასვან. სპორტის სასახლესთან დაკავშირებით ერთსაც ვიტყვი: ევროპაში ასეთ გრანდიოზულ შენობებს მხოლოდ სპორტისთვის როდი იყენებენ - მოწყობილია ათასგვარი სასადილო, ბავშვთა გასართობი ცენტრი, სპორტული მაღაზია... ადამიანი კალათბურთზე ოჯახთან ერთად რომ მივა, ყველა პირობა უნდა ჰქონდეს გართობისა და დასვენებისთვის.

ვაჟა სიმონიშვილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ტესტები

# ნოემბერში იაპონია და ფიჯი გვესტუმრებიან

**საქართველოს ნაკრები წლეულს ოთხ საკმაოდ მნიშვნელოვან ტესტ მატჩებს გამართავს. ის რომ, „ბორჯღალოსნები" ივნისში აშშ-სა და კანადის ნაკრებებს დაუპირისპირდებიან დიდი ხანია, ცნობილია. ახლახან კი IRB-მა საქართველოს რაგბის კავშირს ოფიციალურად დაუდასტურა, რომ ნოემბერში ჩვენი გუნდი თბილისში იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებს უმასპინძლებს.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ქომაგებს ნოემბერში რაგბის ნამდვილი ზეიმი ელოდებათ. ორივე მეტოქე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, თავისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული სტილით თამაშობს.

იაპონიის ნაკრები მსოფლიოს კლასიფიკაციაში 70,45 ქულით მე-14 ადგილზეა, „ბორჯღალოსნები" მას 0,29 ქულით ჩამორჩებიან. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა აქამდე გამართულ მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში იასპარეზეს.

ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მათ „ოლ ბლექსის" ლეგენდარული გარემარბი **ჯონ ქირვანი** თავკაცობდა, რომელმაც იაპონელთა გუნდში რამდენიმე ნატურალიზებული მორაგბე მიიწვია. შესაბამისად, „საკურებისგან" ყველა გაცილებით უკეთეს თამაშს მოელოდა, ვიდრე მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე აჩვენა.

ლოგიკური იყო, რომ იაპონიის რაგბის კავშირმა მთავარი მწვრთნელი შეცვალა. ქირვანის ნაცვლად ახლა ამ გუნდს ავსტრალიელი სპეციალისტი **ედი ჯოუნზი** წვრთნის, რომელსაც დედა იაპონელი ჰყავდა. ჯოუნზი 2001-2005 წლებში ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. მისი ხელმძღვანელობით „ვოლაბებმა" 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ფინალში გააღწიეს და იქ ინგლისის ნაკრებთან დამარცხდნენ.

საქართველოს ნაკრებმა იაპონიის ეროვნულ გუნდთან ერთხელ 2006 წლის მაისში სტუმრად ითამაშა და 7:32 წააგო.

ფიჯი მსოფლიოში შვიდკაცა რაგბის შესანიშნავი თამაშითაა ცნობილი. წყნარი ოკეანის ამ კუნძულის მცხოვრებლები მსოფლიოს სერიაში მუდმივად პირველობისთვის იბრძვიან. მართალია, მსგავსი მიღწევები ჩვეულებრივ, თხუთმეტკაცა რაგბიში არ აქვთ, მაგრამ ფიჯის ეროვნული ნაკრები ადვილად ხელწამოსაკრავი არავისთვის ყოფილა.

მსოფლიოს კლასიფიკაციაში ფიჯელები ერთი საფეხურით ჩამოგვრჩებიან, რაც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე მათი ძალზედ ცუდი ასპარეზობის შედეგია. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან ახალი ზელანდიის სახელმწიფომ ფიჯის დიქტატორის სამსახურში მყოფი მორაგბეები პერსონა ნონგრატად გამოაცხადა და ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეუშვა. ამის გამო ფიჯის ნაკრები ახალ ზელანდიაში საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა და ლოგიკურია, რომ ჯგუფურ ტურნირში ოთხი მატჩიდან სამი უიმედოდ წააგო.

ახლა მდგომარეობა ამ გუნდში რადიკალურად შეცვლილია. ფიჯელთა რიგებში ძირითადად, ისევე როგორც საქართველოს ნაკრებში, ლეგიონერები თამაშობენ.

„ბორჯღალოსნები" იაპონიის ნაკრებს 17 ნოემბერს ეთამაშებიან, ფიჯის ეროვნულ გუნდს კი ერთი კვირის თავზე დაუპირისპირდებიან.

**იაპონია მსოფლიოს თასზე**

იაპონია-საფრანგეთი 21:47
იაპონია-ახალი ზელანდია 7:83
იაპონია-ტონგა 18:31
იაპონია-კანადა 23:23

**ფიჯი მსოფლიოს თასზე**

ფიჯი-ნამიბია 49:25
ფიჯი-სამხრეთ აფრიკა 3:49
ფიჯი-სამოა 7:27
ფიჯი-უელსი 0:66

ლეგიონერები

# დავით ქუბრიაშვილი ფინალში ითამაშებს

**ხვალ ევროთასების გათამაშება დასრულდება. „ემლინ ჩელენჯ კაპის" ფინალში ერთმანეთს ფრანგული კლუბები დავით ქუბრიაშვილის „ტულონი" და დიმიტრი იაშვილის „ბიარიცი" დაუპირისპირდებიან. ფინალური მატჩი ლონდონში „თვიქნემ სტუპზე" გაიმართება.**

ტულონელები წლეულს ბასკურ გუნდზე გაცილებით უკეთ ასპარეზობენ. ბიარიცელები საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონიდან გავარდნას ორი ტურით ადრე გადაურჩნენ. „ტულონმა" კი რეგულარული გათამაშება მესამე ადგილზე დაასრულა და პლეი ოფში ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს.

წლევანდელი სეზონის დაწყების წინ „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** დაიქადნა, წლეულს „ემლინ ჩელენჯ კაპი" ტულონში უნდა ჩამოვიტანოთო. ამ მიზნის მიღწევისგან მისი რაზმი შორს ალარაა. მურადმა იქვე ისიც კი თქვა, საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულიც ბოლოს და ბოლოს უნდა მოვიპოვოთო.

ძნელი სათქმელია, აისრულებს თუ არა „აბეზარი მილიონერი" ოცნებას, თუმცა მას და „ტულონის" მორაგბეებსაც ისეთი საბრძოლო განწყობა აქვთ, როგორც არასდროს. ალსანიშნავია, რომ ტულონელები „ჩელენჯ კაპის" ფინალში მეორედ არიან. 2010 წელს მათ უელსურ „კარდიფ ბლუზთან" წააგეს.

„ბიარიცი" ამ მხრივ კიდევ უფრო გამოცდილია. ბასკები ორჯერ იყვნენ „ჰაინეკენის თასის" ფინალში 2006 და 2010 წლებში. ბიარიცელები შინ ორივეჯერ ხელცარიელნი დაბრუნდნენ. ასე რომ, ნებისმიერ შემთხვევაში ფინალური წყვილიდან ერთ-ერთი ევროთასებზე პირველად მოიგებს.

ქუბრიაშვილი ერთი კვირის წინ საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში დაშავდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მან მუხლის მყესი დაიჭიმა. საფინალო განაცხადში „დუ-დუ" სათადარიგოთა შორისაა და იმედია, თამაშიც მოუწევს.

ამასობაში საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში პლეი ოფის ნახევარფინალი გაიმართება. **ზურო პეტრიაშვილისა და დავით ლოსაბერიძის** „პო" შინ მიიღებს „ლა როშელს". გამარჯვების შემთხვევაში ჩვენებურთა გუნდი „მონ დე მარსანსა" და „დაქსს" შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე, სავარაუდოდ, ბორდოში ჩატარდება.

ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის მეოთხედფინალის განმეორებითი შეხვედრები გაიმართება. **შალვა სუთიაშვილის, არჩილ კობაურისა და დავით აშვეთიას** „მასი" შინ „კასტანეს" ეთამაშება, რომელთანაც სტუმრად ფრეს მიაღწია - 23:23.

**დიმიტრი ბასილაიასა და გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენი" კი სტუმრად შეხვდება „ნევერს", რომელიც პირველ მატჩში 32:15 დაამარცხა.



დავით ქუბრიაშვილი

ზე რაგბი



ჰარიკენზი-ბრამბიზი

# კიდევ ერთი ვარსკვლავი, კუპერი დაბრუნდა

**ზე რაგბის გათამაშების მე-13 ტური B ჯგუფის მეოთხეადგილოსან „ჰარიკენზთან" A ჯგუფის ლიდერის კანბერის „ბრამბიზის" გასვლითი მატჩით გაიხსნა ველინგტონში. წინა მე-12 ტურში ველინგტონელებმა სტუმრად დაამარცხეს დანიდინიდ „ჰაილენდერზი" და სატურნირო მდგომარეობა იდნავ გაიუმჯობესეს. ქომაგებს გაუჩნდათ იმედი, რომ მათი სათაყვანებელი გუნდი პლეი ოფში თამაშისთვის ბრძოლის გაგრძელებას შეძლებდა.**

თითქოს ყველაფერი აქეთკენ მიდიოდა. A ჯგუფის ლიდერთან თამაშის საწყისი წუთები, მართალია, წარმატებული ვერ გამოდგა, მაგრამ მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორი ლელო გაიტანეს და შესვენებაზე შვიდქულიანი უპირატესობით წავიდნენ - 20:13.

მეორე ტაიმის 51-ე წუთზე „ჰარიკენზმა" კიდევ ერთი ლელო მიითვალა და კიდევ უფრო დაწინაურდა 25:13. თუმცა ამის შემდეგ, ინიციატივა მთლიანად სტუმრებმა იგდეს ხელთ და მასპინძლებს მონაგრის გაზრდის საშუალება ალარ მისცეს, თვითონ კი სამი უპასუხო ლელო მიითვალეს და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს - 37:25.

მატჩში ყველაზე შედეგიანი „ბრამბიზის" მგეზავი **ზაკ ჰოლმსი** იყო, რომელმაც ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმო გაიტანა (22 ქულა).

ამავე ჯგუფში გათამაშების შარშანდელი გამარჯვებული ბრისბენის „რედსი" შინ C ჯგუფის აუტსაიდერ იოჰანესბურგის „ლაიონზს" დაუპირისპირდება. „წითლებმა" სეზონი ცუდად დაიწყეს, თუმცა ბოლო ტურებში თამაშის ხარისხს აშკარად მოუმატეს.

გამოჯანმრთელდა და წლეულს პირველად ითამაშებს ბრისბენელთა მგეზავი **ქუადე კუპერი**, რომელიც ჯერ კიდევ შარშან, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშების მესამე ადგილისთვის მტჩში დაშავდა. მის გარეშე „რედსს" ძალიან გაუჭირდა.

მართალია, ბრისბენელები ახლა 31 ქულით მეორე ადგილზე არიან, მაგრამ დიდია ალბათობა იმისა, რომ პლეი ოფში მაინც ვერ გაალწიონ.

A ჯგუფის მესამე შეხვედრაში ერთმანეთს აუტსაიდერები, „პერთის" ფორსი და „მელბურნ რებლზი" დაუპირისპირდებიან. პერთელები მასპინძლები იქნებიან და შანსი აქვთ მელბურნელებთან ჩამორჩენა შეამცირონ.

**A ჯგუფი**

რედსი-ლაიონზი,
ფორსი-მელბურნ რებლზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 44 ქულა, 2. რედსი - 31, 3. ვორათაზი - 27, 4. მელბურნ რებლზი - 24, 5. ფორსი - 18.

საინტერესო იქნება B ჯგუფის მესამეადგილოსნის, დანიდინის „ჰაილენდერზის" მატჩი C ჯგუფის ლიდერთან და გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტთან, პრეტორიის „ბლუ ბულზთან". სამხრეთაფრიკელებმა ავსტრალიურ ტურნეში წარმატებით იასპარეზეს და ახლა, ახალზელანდიელების „რბევის" ჯერია. დანიდინელებმა სეზონი შესანიშნავად დაიწყეს, მაგრამ ბოლო რამდენიმე ტურია გუნდში რალაც მოიშალა. სავარაუდოდ, **მორნი სტეინი** და კომპანია „ოტაგო სთედიუმსაც" თავაწეული დატოვებს.

ამავე ჯგუფში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი" შინ ეთამაშება აუტსაიდერ ოქლენდის „ბლუზს". „ჯვაროსნებმა" განვლილ ტურში სტუმრად წააგეს ბოლო ხანს მოლონიერებულ „რედსთან" და, სავარაუდოდ, ჯავრს თანამემამულე ოქლენდელებზე იყრიან.

**B ჯგუფი**

ჰარიკენზი-ბრამბიზი 25:37,
ჰაილენდერი-ბლუ ბულზი,
კრუსეიდერზი-ბლუზი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 45 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 37, 3. ჰაილენდერზი - 35, 4. ჰარიკენზი - 35, 5. ბლუზი - 16.

ტურის ცენტრალურ მატჩად თამამად შეიძლება ვაღიაროთ C ჯგუფის მესამეადგილოსნის, კეიპთაუნის „სტორმერზის" საშინაო შეხვედრა A ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთან, სიდნეის „ვორათაზთან". სამხრეთაფრიკელებმა აქამდე ათი მატჩი გამართეს და მხოლოდ ერთხელ, ისიც „ბლუ ბულზთან" წააგეს. სავარაუდოდ, კეიპთაუნში მასპინძლები ისევ გაიმარჯვებენ.

ამავე ჯგუფში მესამეადგილოსანი „ნატალ შარქსი" სტუმრად ითამაშებს ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან". „ზვიგენებს" აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ, რათა პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნონ.

**C ჯგუფი**

ჩიტაზი-ნატალ შარქსი,
სტორმერზი-ვორათაზი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 46 ქულა, 2. სტორმერზი - 45, 3. ნატალ შარქსი - 36, 4. ჩიტაზი - 27, 5. ლაიონზი - 14.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## ქართული სპორტი

### არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# ეჰ, კრიშტიანო, კრიშტიანო...



ჩვენს რუბრიკაში პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ შემტევის **კრიშტიანო რონალდოს** ჯერიც დადგა: ესპანური მედიის ცნობით სპორტსმენს კოლუმბიის მაფიოზური კარტელის ერთ-ერთ წევრთან, **ლაურო სანჩესთან** ურთიერთობაში ედება ბრალი. შარშან ლაურო სანჩესი ესპანურმა პოლიციამ დააკავა ნარკოტიკებით

ვაჭრობასა და ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით.

როგორც პირენეული პრესა იუწყება, სანჩესი რონალდოს ტელეფონით დაუკავშირდა და სთხოვა (გნებავთ მოსთხოვა), მაფიის წევრ პორტუგალიის მოქალაქეებისთვის მადრიდში ბინა ეშოვნა. სკანდალი დღესაც გრძელდება და არ არის გამორიცხულია ვარსკვლავს სამართალდამცავებმა წითელი ბარათი უჩვენონ. თუ ასე მოხდა, მის შუაზიელ სატრფოს(**ირინა შეიკს**) კრიშტიანოს ნახვა სტადიონის ნაცვლად სხვაგან მოუწევს, ისიც ფრიად სპეციფიკურ პირობებში. თუმცა, იმედია, ყველაფერი კარგად დამთავრდება. ფეხბურთი ხომ თემიდის მსახურებსაც უყვართ.

### სუმო. ნაცუ ბაშო. 6-20 მაისი

# მინისძვრა და ორი გამარჯვება



გუშინ ნაცუ ბაშოს მე-13 დღის ორთაბრძოლები გახურებული იყო, როცა სუმოს მექა „კოკუგიკანი“ მიწისძვრამ შეარყია. ამჯერად, იაპონია ნგრევას გადაურჩა, არც ზაფხულის ბაშოს მორიგი დღე ჩაშლილა. მიწისძვრამდე **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** გადამწყვეტი, მერვე გამარჯვება იზეიმა. ჩვენებური ერთობ შეავიწროვა მონღოლმა „არნივმა“ **ტამავაშიმ,** დოჰიოს კიდემდეც მიიყვანა, მაგრამ ტოჩინოშინმა ბოლო წამს ილეთით დაანარცხა მეტოქე. ლევანმა დადებითი ბალანსი და რეიტინგში დაწინაურება დაიბევა. სამწუხაროდ, **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** მეცხრე მარცხი იწვნია. მას 4-9 ბალანსი აქვს.

უფრო ადრე ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა **ლევან ცაგურიამ (კოკაი).** 31 წლის ქართველი ორდღიანი პაუზის შემდეგ ტრავმის მიუხედავად დაუბრუნდა ბაშოს, ტკივილიც დაძლია და მეტოქეც მძლავრი ოშიდაშით გააძევა რკალიდან. კოკაის 7-6 ბალანსი აქვს და ერთი მოგება აშორებს მიზანს.

ამასობაში ზაფხულის ბაშოზე ვითარება ისე დაიძაბა, რომ იმპერატორის თასის მოგების შანსი ბევრს აქვს, მათ შორის - 4 ორთაბრძოლის წამგებ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს.**

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კისენოსატო (იორიტაოში), ჰარუმაფუჯი-ბარუტო (ოშიტაოში), გოეიდო-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), კოტოოშუ-კაკურიუ (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოიონოშიმა (ოშიდაში), ჰომაშო-**გაგამარუ** (იორიკირი), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ოშიდაში), არანი-ტოჩინოვაკა (იორიკირი), მიოგირიუ-ტაკაიასუ (ოშიტაოში), შოჰოზანი-ოტიოჰიბიკი (უვატენაგე), **ტოჩინოშინი-**ტამავაში (სუკუინაგე). **ძურიო:** **კოკაი-**ტოსაიუტაკა (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**10-3: კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 4), კიოკუტენჰო (მ 7).**

**9-4: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ოკინოუმი (მ 5), აოიამა (მ 6)... 8-5: ტოჩინოშინი (მ 8)... 4-9: გაგამარუ (მ 2).**

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ბარუტო, კისენოსატო-ჰარუმაფუჯი, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-კიოკუტენჰო, კაკურიუ-ტოჩიოძანი, ამინიშიკი-გოეიდო, ჰომაშო-ტაკეკაძე, **გაგამარუ-**ტაკაიასუ, არანი-მიაბიამა, მიოგირიუ-ვაკაკოიუ, **ტოჩინოშინი-**ტოიოჰიბიკი. **ძურიო:** კოკაი-ჰოკუტოკუნი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ხელმომწერთა-ს საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.


## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

### ოლიმპიური ფილატელია













### პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** კომპლექსური სპორტული ასპარეზობა, რომელიც XX საუკუნეში გაიმართა, იყო „ჩრდილოეთის თამაშები“. ასპარეზობას შვედეთმა უმასპინძლა.

■ ■ ■

**პირველმა** ველოსიპედი პედლების ამძრავით ააწყო ფრანგმა მექანიკოსმა **პიერ მიშომ** 1861 წელს. 1865 წლიდან იგი ყოველწლიურად 400 ასეთ ველოსიპედს აწყობდა შეკვეთით.

■ ■ ■

**პირველად** მსოფლიოში საფეხბურთო მატჩის რადიორეპორტაჟი გადაიცა 1927 წლის 21 იანვარს ლონდონის „ჰაიბერის“ სტადიონიდან. „არსენალი“ მასპინძლობდა „შეფილდ იუნაიტედს“.

### ვიქტორინა

**1. არგენტინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1979 წელს ფეხბურთში მსოფლიოს პირველობა მოიგო. ვინ იყო ჩემპიონის კაპიტანი?**

ა - ხავიერ მასკერანო
ბ - ბურუჩაგა
გ - დიეგო მარადონა

**2. დღემდე ყველაზე უხუცესმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ეირ შოუმ ეს ტიტული 1900 წლის თამაშებში 78 წლისამ მოიპოვა. სპორტის რომელ სახეობაში?**

ა - ცხენოსნობაში
ბ - გოლფში
გ - მარათონულ რბენაში

**3. რას ნიშნავს „ჰავბეკი“ სპორტის სათამაშო სახეობებში, მაგალითად, ფეხბურთში?**

ა - განაპირა მცველს
ბ - ცენტრალურ მცველს
გ - ნახევარმცველს

**4. სად გამოიცა პირველი საჭადრაკო ჟურნალი 1840 წელს?**

ა - პარიზში
ბ - ბერლინში
გ - ლონდონში

**5. სად და რომელ წელს გახდა სამხტომში მესამედ ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი?**

ა - მეხიკოში 1968 წელს
ბ - მონრეალში 1976 წელს
გ - მოსკოვში 1980 წელს

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ა, 5 - ბ

### ნაკლებად ცნობილი თამაშები

# ვუდბოლი

**ვუდბოლი** (ინგლ. wood-ხის, ball-ბურთი). სპორტული თამაში ხის ბურთითა და ჩოგნით. ერთი შეხედვით, გოლფს ჰგავს, თუმცა არსებობს ორი განსხვავება: 1. თუ გოლფში ბურთი ორმოში უნდა მოთავსდეს, ვუდბოლში მცირე ზომის კარში უნდა გაიაროს; 2. ბურთი საკმაოდ მძიმეა, რის გამოც ჩოგნით შესაძლებელია მხოლოდ მისი გაგორება მიწის ზედაპირზე და არა ჰაერში ასროლა. ბურთის წონაა 350 გ, დიამეტრი — 9,5 სმ. ჩოგანი ფორმით ლათინურ ასო T-ს მიაგავს, ოღონდ მისი თავი ბოთლისებური მოყვანილობისაა. სახელურის სიგრძეა 90 სმ, თავისა — 21,5 სმ. თავის ყველაზე ფართო ნაწილის სიგანე 6,6 სმ-ია. ხის კარის ძელებს შორის, სადაც ბურთმა უნდა გაიაროს, გაჭიმულია მავთული, რომლის შუაშიც, მიწის ზედაპირიდან 5 სმ-ის სიმაღლეზე, დამაგრებულია 15 სმ-ის სიგრძის, ღვინის ჭიქის ფორმის ფირფიტა. თუ ჩოგნის დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელებს შორის ზუსტად ცენტრში გაივლის, იგი ფირფიტას შეეხება და ღერძის გარშემო დაატრიალებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბურთის გამგორებელმა ქულა მოიპოვა. იმარჯვებს ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს მთელი თამაშის განმავლობაში. სათამაშო მოედანი სიგრძით 500 მეტრია და 12 სექციისაგან შედგება. მოთამაშემ თანამიმდევრულად უნდა გაიაროს ყველა სექცია, სადაც ერთმანეთის მიყოლებით დგას კარები. ვუდბოლი 1990 წელს გამოიგონა ორმა ტაივანელმა — მინგ ჰუი-ვენგმა და კუანგ-ჩუ იონგმა. 1993 წელს დაფუძნდა ტაივანის ვუდბოლის ასოციაცია. 1994-98 წლებში ეს თამაში გავრცელდა ჯერ აზიაში, შემდეგ კი — დანარჩენ მსოფლიოში. 1999 წელს ჩამოყალიბდა ვუდბოლის საერთაშორისო ფედერაცია (IWF). იმავე წელს გაიმართა აზიის ქვეყნების პირველი ოფიციალური ჩემპიონატი და მსოფლიოს პირველობა. ევროპის ჩემპიონატი ტარდება 2000 წლიდან.



### თარიღი 19 - 25 მაისი

**19. 1907 წ.** დაფუძნდა ფინეთის ფეხბურთის ფედერაცია.

**20. 1901 წ.** დაიბადა **მაქს ეივე** — ჭადრაკი (ჰოლანდია). გარდაიცვალა 1981 წელს.

**20. 1982 წ.** დაიბადა **პეტერ ჩეხი** — ფეხბურთი (ჩეხეთი).

**20. 2007 წ.** კარიერაში თავისი მეათასე გოლი გაიტანა **რომარიომ** (ბრაზილია).

**21. 1900 წ.** პარიზში (საფრანგეთი) გაიხსნა ზაფხულის II ოლიმპიური თამაშები.

**21. 1904 წ.** შეიქმნა ფიფა.

**22. 1987 წ.** დაიბადა **ნოვაკ ჯოკოვიჩი** — ჩოგბურთი (სერბეთი).

**22. 1937 წ.** დაიბადა **ვიქტორ პონედელნიკი** — ფეხბურთი (სსრკ, რუსეთი).

**23. 1951 წ.** დაიბადა **ანატოლი კარპოვი** — ჭადრაკი.

**23. 1972 წ.** დაიბადა **რუბენს ბარიკელო** — ფორმულა-1.

**23. 1988 წ.** ქ. ნანსში (საფრანგეთი) გაიმართა საფეხბურთო ფესტივალი და **მიშელ პლატინის** ფეხბურთის თამაშთან გამოთხოვების მატჩი.

**24. 1964 წ.** ლიმაში (პერუ) პერუსა და არგენტინის ოლიმპიური ნაკრებების მსვლელობისას არეულობის შედეგად 300 ადამიანი დაიღუპა.

**24. 1966 წ.** დაიბადა **ერიკ კანტონა** — ფეხბურთი (საფრანგეთი).

**25. 1953 წ.** დაიბადა **დანიელ ალბერტო პასარელა** — ფეხბურთი — არგენტინა.

***შენიშვნა:*** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში“.*

### კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# შოკი ინდიანასგან



გაოგნებული უეიდი

"ინდიანამ" დამაჯერებელი ნაბიჯი გადადგა კონფერენციის ფინალისკენ, იმ დროს, როცა "მაიამიმ" სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო გუშინდელი სამარცხვინო დამარცხებისგან. მთავარი, რაც "პეისერსმა" გააკეთა იყო ის, რომ შეცვალა ტაქტიკა და პრობლემურ ადგილებზე შეუტია ფლორიდელებს. **ფრენკ ფოგელმა** თავისი შეგირდების შეტევები მეტოქის სამწამიანისკენ მიმართა, სადაც **დევიდ უესტსა** და **როი ჰიბერტს** ვერავინ უწევდა წინააღმდეგობას. შედეგად, "ინდიანამ" ფარქვეშ ტოტალური უპირატესობა მიიღო (მოხსნები: 52-36). მაგრამ მასპინძლების შეტევები ერთფეროვანი არ ყოფილა. მათ მოიგეს არა მხოლოდ სამწამიანი ზონა, არამედ პერიმეტრი, საიდანაც **გრეინჯერი** და მისი თანაგუნდელები სტაბილურად აგდებდნენ შორეულ ტყორცნებს. "ინდიანას" სნაიპერებმა 14-დან 8 შორეული სროლა გამოიყენეს, "მაიამის" კი 20-დან ოთხი ზუსტი სამქულიანი ჰქონდა.

"ინდიანასთვის" უსიამოვნო მომენტი იყო მეოთხე მეოთხედის შუა ნაწილი, როცა **მარიო ჩელმერსმა** (ის საუკეთესო მატჩს ატარებდა პლეი ოფში) კინაღამ გადამრჩენი სპურტი მოაწყო (21-ქულიანი ჩამორჩენა 11-მდე დაიყვანა), მაგრამ თანაგუნდელთა მხრიდან მხარდაჭერა ვერ იპოვა და მალე თეთრი დროშა გამოფინა. მატჩის დანარჩენ დროს კი მოედანზე იყო დამაჯერებელი და სწრაფი "პეისერსი", რომელიც შესანიშნავ გუნდურ კალათბურთს აჩვენებდა (20 პასი "მაიამის" 4 შედეგიანი გადაცემის წინააღმდეგ).

ცალკე აღნიშვნის ღირსია **დუეინ უეიდის** თამაში, რომელმაც პირველად თავისი სადებიუტო სეზონის შემდეგ უფრო ნაკლები ქულა დააგროვა, ვიდრე შეცდომა დაუშვა. "ფლეშმა" 11 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. მთავარი პრობლემა კი დუეინის გაღიზიანება იყო. მან არა მარტო მსაჯებთან კამათი, არამედ მთავარ მწვრთნელ **ერიკ სპოელსტრასთან** წაჩხუბებაც მოასწრო.

"მაიამის" ზედიზედ ორი წაგების მთავარ მიზეზად კი **კრის ბოშის**. მის გარეშე "ჰიტის" სამწამიანი უბრალოდ დაუცველია და მეტოქეს დომინირების საშუალებას აძლევს. რეგულარულ ჩემპიონატში ჰიბერტი ბოშთან დაპირისპირებაში საშუალოდ 10.8 ქულას აგროვებდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. ასე რომ, "ინდიანას" უმართლებს, მაგრამ ბოძებული შანსის გამოყენებასაც ცოდნა უნდა, რასაც მოხერხებულად აკეთებს ფოგელი.

| ინდიანა–მაიამი | 94:75 |
| --- | --- |

17:26, 26:17, 26:12, 25:20

**ი:** ჰილი (20+5 პასი), ჰიბერტი (19+18 მოხსნა+5 დაფარება), გრეინჯერი (17+7 მოხსნა+4 პასი), უესტი (14+9 მოხსნა), ჯორჯი (9+5 მოხსნა+2 დაფარება), კოლისონი (7), ჯონსი (5), ჰენსბრო (2), ამუნდსონი (1), ბარბოზა (0+3 პასი).

**მ:** ჩელმერსი (25+6 მოხსნა+5 პასი), ჯეიმსი (22+7 მოხსნა+3 პასი), ენტონი (10), მილერი (6), უეიდი (5+5 მოხსნა+2 დაფარება), ტურიაფი (5+8 მოხსნა), ჯონსი (2), ბატიე (0+2 დაფარება).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (43.4/37.2), სამქულიანები (57.1/20), საჯარიმოები (87/72.2).

**სერია:** 2-1

# სპურსისთვის პლეი ოფი ვარჯიშია

ტეხასში კი ყველაფერი უცვლელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "სან ანტონიო" და "კლიპერსი" პლეი ოფის მეორე რაუნდის სერიას კი არ თამაშობენ, არამედ საჩვენებელ მატჩში იღებენ მონაწილეობას. და ამ დაპირისპირებაში **გრეგ პოპოვიჩი** იდეალურ გუნდს ქმნის, "კლიპერსი" კი უბრალოდ სპარინგად ჰყავს არჩეული.

მიუხედავად ამისა, ამჯერად, პირველი მატჩისგან განსხვავებით, "სან ანტონიომ" თამაში არა პირველ, არამედ მეორე ნახევარში მოიგო. "სპურსი", რა თქმა უნდა, თავიდანვე გაიქცა წინ, მაგრამ გარკვეული ხანი "კლიპერსის" ფარი ბურთს ჯიუტად არ იღებდა, თავის მხრივ, კი კალიფორნიელებს სამქულიანები კარგად გამოსდიოდათ (13-დან ცხრა). **კრის პოლმა** და კომპანიამ ერთხელ წინ გასვლაც კი მოახერხა, ოღონდ ერთი ქულით. ტეხასელებმა მალე გამოასწორეს სიტუაცია და ამის შემდეგ უკან აღარ მოუხედავთ.

როგორ არ ეცადნენ კალიფორნიელები სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდები გეგმაზომიერად ზრდიდნენ უპირატესობას. კრის პოლმა ზედიზედ მეორე უფერული მატჩი ჩაატარა. მართალია, ვარსკვლავურმა გამთამაშებელმა გაზარდა შედეგიანობა, მაგრამ რვა შეცდომა ასეთი დონის ოსტატისთვის მეტისმეტია. ვერ ამართლებს "კლიპერსის" წინა ხაზიც. გრიფინმა 20 ქულა დააგროვა, მაგრამ ერთი (!!!) მოხსნა მისთვის სრულ კრახს ნიშნავს.

"სან ანტონიომ" ზედიზედ მე-16 მატჩი მოიგო. სერია ლოს ანჯელესში გადადის და შესაძლოა, იქვე დასრულდეს, რადგან "კლიპერსი" სრულიად უსუსური ჩანს ამ ბრძოლაში.

| სან ანტონიო–კლიპერსი | 105:88 |
| --- | --- |

29:21, 17:21, 32:25, 27:21

**ს-ა:** პარკერი (22+5 პასი+5 მოდსნა+3 ჩაჭრა), დანკანი (18+5 მოხსნა+3 პასი), დიაო (16+4 პასი), გრინი (13), ჯინობილი (10+5 პასი), სპლიტერი (9), ნილი (7), ლეონარდი (5+6 მოხსნა), მილსი (3), ბონერი (2), ჯექსონი (0+3 პასი).

**კ:** გრიფინი (20), ფოიე (11), პოლი (10+5 პასი), ბატლერი (9+5 მოხსნა), უილიამსი (9+2 დაფარება), იანგი (9), მარტინი (7+3 დაფარება), ევანსი (5), ჯორდანი (4+7 მოხსნა), ბლედსოუ (4).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (53.2/49.2), სამქულიანები (40/69.2), საჯარიმოები (64.7/73.9).

**სერია:** 2-0



სან ანტონიო წინ მიდის, კლიპერსი - უკან

# სერ ჩარლზი: ასროლინეთ ლებრონს!

"მაიამიმ" "ინდიანასთან" სერიის მესამე მატჩი პირწმინდად წააგო და ამ შეხვედრაში გადამწყვეტი სროლის შესრულება საჭირო არ ყოფილა, მაგრამ მეორე თამაშში ბოლო წამებზე "ჰიტს" შეეძლო მატჩის გადარჩენა, მაგრამ ჯერ **დუეინ უეიდმა** ვერ დაასრულა ფარქვეშ შესვლა, შემდეგ კი **მარიო ჩელმერსმა** ააცილა სამქულიანი.

სწორედ ამ მომენტის შემდეგ, NBA-ის ლეგენდარულმა კალათბურთელმა **ჩარლზ ბარკლიმ** გამოთქვა გაოცება იმასთან დაკავშირებით, რატომ არ ანდობენ **ლებრონ ჯეიმსს** დაძაბული მატჩების ბოლოს გადამწყვეტი სროლის შესრულებას.

*"ვფიქრობ, ყველაფერში დამნაშავე გუნდის მწვრთნელი ერიკ სპოელსტრაა. არ მესმის, რატომ არ ანდობენ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელს ბოლო წამებზე ტყორცნას. ჩვეულებრივ, "ჰიტის" მოთამაშეებს გადამწყვეტ სროლაზე დუეინ უეიდი გაჰყავთ, მაგრამ სინამდვილეში, გუნდი წინ ლებრონ ჯეიმსს მიჰყავს. როგორც ჩანს, "მაიამის" მწვრთნელები ძველი დროით ცხოვრობენ"*, - განაცხადა ამერიკულ პრესაში "სერ ჩარლზმა".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





პანათინაიკოსის ავტობუსი

# ჩაშლილი ფინალი

სკანდალით დაიწყო საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური სერია. ტრადიციულად, ჩემპიონობისთვის ამ ქვეყნის ორი გრანდი – "ოლიმპიაკოსი" და "პანათინაიკოსი" იბრძოლებენ, მაგრამ პირველი მატჩი პირეოსში ჩაიშალა და ამის მიზეზი ადგილობრივი კლუბის – "ოლიმპიაკოსის" ფანები იყვნენ.

მატჩამდე ცოტა ხნით ადრე მასპინძელთა კლუბის რამდენიმე გულშემატკივარმა "პანათინაიკოსის" საკლუბო ავტობუსს ქვები დაუშინა. ხულიგნებმა მიზანს მიაღწიეს - შუშის ნატეხებმა სტუმრების ორი კალათბურთელი დააზიანა - **სტრატოს პერპეროგლუ** და **სტივენ სმიტი**. მოთამაშეები საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ბერძნული ლიგის ხელმძღვანელობამ გაურკვეველი ვადით გადადო ფინალური სერიის პირველი მატჩი.

ჯერჯერობით უცნობია, რა სიმძიმის ტრავმები მიიღეს მოთამაშეებმა.

ახლა, საბერძნეთის სპორტის სამინისტრომ უნდა გამოაცხადოს, უსაფრთხოების რა ზომებს მიიღებენ მომავალ შეხვედრებში. სავარაუდოდ, მატჩებს მაყურებელთა მინიმალური რაოდენობა დაესწრება.

## ბლატი მაკაბიში დარჩა

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა** გადაწყვიტა ახალი, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმოს თელ-ავივის "მაკაბისთან". წინასწარი ინფორმაციით, ამერიკელი მწვრთნელი ამ პერიოდში 2.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბლატი მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოსკოვის ცსკა-სთან, მაგრამ მწვრთნელმა ისრაელში დარჩენა ამჯობინა.

## ჟალგირისის გეგმები

კაუნასის "ჟალგირისის" მფლობელმა **ვლადიმირ რომანოვმა** ლიტვური პრესისთვის ინტერვიუში განაცხადა, რომ სეზონებს შორის შესვენებისას მისი კლუბი ეცდება "პანათინაიკოსის" მცველის **შარუნას იასიკიავიჩუსისა** და ცსკა-ს ფორვარდის **დარიუშ ლავრინოვიჩის** შეძენას.

რომანოვმა აღნიშნა, რომ შემადგენლობის დაკომპლექტებაზე ასპროცენტიანი გავლენა გუნდის მთავარ მწვრთნელს **ალექსანდარ ტრიფუნოვიჩს** ექნება, რომლის მუშაობა გასულ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობას სრულად აკმაყოფილებს.

## მუქარა ატილებული ტყორცნისთვის

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **სტივ ბლეიკმა** და მისმა მეუღლემ **კრისტენმა** მუქარის უამრავი შეტყობინება მიიღეს მას შემდეგ, რაც კალათბურთელმა "ოკლაჰომასთან" სერიის მეორე მატჩში გადამწყვეტი სამქულიანი ააცილა.

*"იმედია, მთელი თქვენი ოჯახი ამოწყდება"*, - მოჰყავს ერთ-ერთი შეტყობინება ამერიკულ პრესას.

თავად ბლეიკმა ასეთი კომენტარი გაუკეთა მუქარას: *"მთელი ეს სიტუაცია ცუდ ხასიათზე მაყენებს, მაგრამ ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე. არ მესმის, რა უნდათ ჩემი ოჯახისგან. თქვენ შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩემთან და პირდაპირ მითხრათ, რაც გსურთ, მაგრამ მსგავსი სიტყვები ჩემს მეუღლესა და შვილებს თრგუნავს".*

## გასოლი საუკეთესო ქველმოქმედი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდმა **პაუ გასოლმა** NBA-ის ისტორიაში მეორე კომისრის **ჯეიმს უოლტერ კენედის** პრიზი მოიპოვა, რომელსაც პროფესიული საკალათბურთო ჟურნალისტების ასოციაცია ყოველწლიურად გადასცემს მოთამაშეს ან მწვრთნელს, ვინც თავი გამოიჩინა საზოგადოებრივ და საქველმოქმედო მოღვაწეობით.

ესპანელი კალათბურთელის გარდა, ამ პრიზის პრეტენდენტები იყვნენ **ჯეი ჯეი რედიკი, ჯეისონ ტერი** და **ჯოშ სმიტი**.

გასულ წელს, კენედის სახელობის პრიზის ლაურეატი გახდა გასოლის თანაგუნდელი **მეტა უორლდ პისი**, რომელსაც მაშინ **რონ არტესტი** ერქვა.

## ჰოკეი. NHL პლეი ოფი



კუიკი სასწაულებს ახდენს

# კინგზი აღარ ხუმრობს

სტენლის თასზე დასავლეთი კონფერენციის ფინალურ სერიაში გრძელდება "ლოს ანჯელესის" დომინირება. სტუმრად ზედიზედ ორი მატჩის მოგების შემდეგ, "კინგზმა" გუშინ საკუთარ მოედანზეც დაამარცხა "ფინიქსი" და სერიაში 3:0 წაიყვანა ანგარიში.

"ლოს ანჯელესმა" ამჯერადაც გაცილებით მეტი დარტყმა შეასრულა და თითქმის მთელი მატჩი ფლობდა ინიციატივას. აღსანიშნავია, რომ განვლილ სამ მატჩში დარტყმების რაოდენობით, "ლოს ანჯელესს" კოლოსალური უპირატესობა აქვს: 88-51.

მასპინძლების უპირატესობის მიუხედავად, ანგარიშის გახსნა სტუმრებმა შეძლეს. "ფინიქსს" კარგად ესმოდა, რომ კიდევ ერთი წაგება თითქმის აღარ დაუტოვებდა სტენლის თასისთვის ბრძოლის შანსს. "კოიოტებმა" დაწინაურება მეორე პერიოდში შეძლეს. "ლოს ანჯელესი" დაცვაში ჩავარდა და **დეიმონდ ლენგკოუ ჯონათან კუიკთან** პირისპირ გავიდა და გამოიყენა ეს ერთგვარი ბულიტი – 1:0.

ფინიქსელთა სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა. ისინი თავად დაეხმარნენ მეტოქეს ანგარიშის გათანაბრებაში. მცველების შეცდომამ **ანჟე კოპიტარს კრეიგ სმიტთან** ერთი ერთზე გასვლის საშუალება მისცა და სლოვენიელმაც ხელიდან არ გაუშვა ეს შანსი - 1:1.

"ლოს ანჯელესმა" წარმატების განვრცობა სცადა, მაგრამ **ვიონოვისა** და **ჯარედ სტოლის** დარტყმებს სმიტი გაუმკლავდა.

ყველაფერი მესამე პერიოდის მესამე წუთზე გადაწყდა. ბოლო 20-წუთეული "ლოს ანჯელესმა" შთამბეჭდავი შტურმით დაიწყო და **დუაიტ კინგმა** ზედიზედ მესამე მატჩში გატანილი მესამე გოლით ყველა იმედი მოუსპო "ფინიქსს" – 2:1.

"კოიოტებმა" კონტრთამაში ვერ ააწყვეს და უხეშობაზე გადავიდნენ, მაგრამ "ლოს ანჯელესმა" ვერც ამჯერად გამოასწორა ამ პლეი ოფში თავისი ერთადერთი ნაკლი – ამ გუნდმა არ იცის როგორ გაიტანოს გოლი რიცხობრივი უპირატესობის დროს.

სხვა მხრივ კი "მეფეებს" ყველაფერი წესრიგში აქვთ. წლევანდელი პლეი ოფის აღმოჩენად მონათლულ კალიფორნიელებს სტენლის თასზე 12 მატჩში 11 მოგება დაუგროვდათ. მორიგი შეხვედრაც ლოს ანჯელესში გაიმართება და მოგების შემთხვევაში, ეს გუნდი პირველად ბოლო 19 წლის განმავლობაში გავა სტენლის თასის ფინალში.

კვლავ ბრწყინვალე იყო ლოს ანჯელესის მეკარე ჯონათან კუიკი. 26 წლის გოლკიპერი აბსოლუტურად საუკეთესოა პლეი ოფში თავის ამპლუაში და ყველა დისციპლინაში ლიდერობს, მათ შორის გაშვებული შაიბებითა და დარტყმების მოგერიების პროცენტით.

**ლოს ანჯელესი–ფინიქსი 2:1**

**0:0, 1:1, 1:0**

0:1 ლენგკოუ-1 (იენდლი-8, მორისი-4), 1:1 კოპიტარი-5 (ბრაუნი-8, ჯასტინ უილიამსი-8), 2:1 კინგი-5 (ლუისი-5, სტოლი-2).

**სერია:** 3-0

# იამაიკაში ჰოკეის თამაშობენ

იამაიკისა და კატარის ჰოკეის ეროვნული ფედერაციები ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის (IIHF) წევრები გახდნენ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გაიმართა. ამის შემდეგ, IIHF-ის წევრთა რიცხვი 72-მდე გაიზარდა.

იამაიკის ფედერაცია IIHF-ს ასოცირებული წევრის სტატუსით შეუერთდა და საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობაზე გარკვეული შეზღუდვები დაუწესდა. კატარი კი IIHF-ის სრულუფლებიანი წევრია და ყველა ტურნირში შეუძლია მონაწილეობის მიღება.

იამაიკის ჰოკეის ფედერაცია 2011 წელს შეიქმნა. ამ მომენტისთვის ქვეყანაში მხოლოდ ერთი საციგურაო მოედანი არსებობს, სულ კი ჰოკეისტების რიცხვი 20 ადამიანს აღწევს. მაგრამ ადგილობრივი ჰოკეის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ იამაიკაში არსებობს ზამთრის ამ სახეობის განვითარების მკაფიო ტენდენცია. იამაიკა კარიბის ზღვის აუზის პირველი ქვეყანაა, რომელიც IIHF-ში შევიდა.

კატარის ჰოკეის ფედერაციის შექმნის თარიღია 2010 წელი. ამ მომენტისთვის ქვეყანაში ორი საციგურაო დარბაზია. 2010 წელს სტარტი აიღო კატარის ჩემპიონატმა ჰოკეიში, რომელშიც ხუთი გუნდი იღებს მონაწილეობას. ჯამში კატარში 70 ჰოკეისტი თამაშობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### გერმანია

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| მიუნხენი II-ფრანქფურტი II | 1:0 |
| მეინგენი-ნიურნბერგი II | 3:3 |
| ფიურტი II-აინტრახტი II | 1:1 |
| ჰოფენჰაიმი II-ბაიერნი (ა) | 5:0 |
| ინგოლშტადტი II-კარლსრუე II | 2:3 |
| პფიულენდორფი-ვალდჰოფი | 3:1 |
| ვორმატია-ფრაიბურგი II | 3:2 |

#### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბულონი-მონაკო | 1:2 |
| შატორუ-გინგამი | 0:2 |
| კლერმონი-ლავალი | 2:0 |
| ისტრი-ბასტია | 1:0 |
| ჰავრი-ანჟერსი | 3:0 |
| ლე მანი-არლი | 1:1 |
| მეცი-ტური | 1:1 |
| ნანტი-სედანი | 1:2 |
| რეიმსი-ლანსი | 1:1 |
| ტრუა-ამიენი | 2:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბეიონი-კევილი | 2:2 |
| შერბური-ლუზენაკი | 4:1 |
| ეპინალი-გფკო აიაჩო | 1:1 |
| მარტიგი-კრეტეი | 2:1 |
| ნიმი-ლე პუარი | 2:0 |
| ნიორი-ბოვე | 0:2 |
| ორლეანი-ბეზანსონი | 2:0 |
| პარიზი-კოლმარი | 2:4 |
| რედ სტარი-ვანი | 2:0 |
| რუანი-ფრეჟუსი | 4:3 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| შემროკი-დროგედა | 3:1 |
| ბოჰემიანსი-დერი | 1:2 |
| ბრეი-სტ. პატსი | 3:3 |
| კორკი-უნივერსიტი | 4:2 |
| დანდალკი-მონეგანი | 1:2 |
| სლიგო-შელბურნი | 3:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფინ ჰარპსი-უოტერფორდი | 0:1 |
| ლიმერიკი-ეთლონი | 2:1 |
| ლონგფორდი-გალვეი | 1:0 |
| მერვუ-უექსფორდი | 3:0 |

#### შვედეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰამარბიუ-ასირისკა | 0:2 |

#### ავსტრია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გლაუ ვაისი-ვენა | 2:2 |
| ლუშტენაუ-ჰარტბერგი | 0:3 |
| სტ. პოლტენი-აუსტრია (ლ) | 3:1 |
| გრიოდიგი-ალტახი | 1:2 |
| სტ. ანდრა-ლინცერი | 1:0 |

#### თურქეთი

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ადანა-რიზე | 3:1 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| როსტოვი-შინიკი | 3:0 |
| ვოლგა-ნ. ნოვგოროდი | 2:1 |

#### უნგრეთი

| | |
|---|---|
| კეჩმეკეტი-უიპეშტი | 0:0 |
| დიორი-პეჩი | 3:0 |

#### რუმინეთი

| | |
|---|---|
| ვოინტა-მიოვენი | 3:1 |
| უნივერსიტატეა-კლუჟი | 2:3 |

#### მოლდოვა

| | |
|---|---|
| კოსტულენი-აკადემია | 2:2 |
| დაჩია-ცსკა | 2:0 |
| მილსამი-ოლიმპია | 2:2 |
| შერიფი-სფინტული | 5:0 |
| ისკრა-ტირასპოლი | 0:2 |
| ზიმბრუ-ნისტრუ | 3:0 |

#### ბელარუსი

| | |
|---|---|
| ნემანი-გომელი | 0:3 |
| ბატე-სლავია | 2:1 |
| [illegible] | 1:0 |

#### [illegible]

| | |
|---|---|
| კლაიპედა-ბანგა | 1:1 |

### კალათბურთი

#### ესპანეთი

| | |
|---|---|
| რეალი-სევილია | 82:68 |

#### სერბეთი

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ვოივოდინა | 91:54 |
| რადნიჩკი-ჰემოფარმი | 92:83 |

#### უკრაინა

| | |
|---|---|
| ბუდიველნიკი-ფერო | 111:127 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| კანტუ-სკავოლინი | 78:72 |
| მილანი-ვენეცია | 92:63 |

#### რუსეთი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ტრიუმფი | 104:61 |
| სპარტაკი-კრ. კრილია | 93:78 |

#### თურქეთი

| | |
|---|---|
| ბანვითი-ეფესი | 75:81 |

### ჩოგბურთი

#### ATP. რომი

| | |
|---|---|
| ფერერი-გასკე | 7:6, 6:3 |
| ნადალი-ბერდიხი | 6:4, 7:5 |
| ჯოკოვიჩი-ცონგა | 7:5, 6:1 |
| ფედერერი-სეპი | 6:1, 6:2 |

#### WTA. რომი

| | |
|---|---|
| ს. უილიამსი-პენეტა | 4:0 უარი |
| ნა ლი-ციბულკოვა | 6:1, 7:6 |
| ვ. უილიამსი-შარაპოვა | 4:6, 3:6 |
| კერბერი-კვიტოვა | 7:6, 1:6, 6:1 |

## TV პროგრამა

### 19 მაისი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
15:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
16:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
18:00 შოტლანდიის თასი. ფინალი. ჰიბერნიანი-ჰართსი (LIVE).
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XV ტური. ტიგრე-ნიუელსი.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:45 NBA Action.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ფილადელფია-ბოსტონი. IV მატჩი.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია.
17:45 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ლეიკერსი-ოკლაჰომა. III მატჩი.
20:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ფინალი. ალსტერი-ლენსტერი (LIVE).
22:30 სუპერკოლაჟი.
23:00 NBA Action.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. კლიპერსი-სან ანტონიო. III ტური (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
20:30 ტელეჟურნალი – ტრანსვორლდსპორტი
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**I არხი**

14:00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. I მატჩი (LIVE).
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ჩელსი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ჩელსი (LIVE).

### 20 მაისი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ატალანტა.
12:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის წინ.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ფინალი. ვაალვიკი-ვიტესი. I მატჩი.
16:00 შოტლანდიის თასი. ფინალი. ჰიბერნიანი-ჰართსი.
18:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ფინალი. ვიტესი-ვაალვიკი. I მატჩი (LIVE).
20:30 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
23:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ოსერი-მონპელიე (LIVE).
01:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ლორიანი-პსჟ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი.
12:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. კლიპერსი-სან ანტონიო. III ტური.
14:30 პროგრამა - იმედის ფსონი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია.
18:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ფინალი. ალსტერი-ლენსტერი.
20:30 კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
22:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ინდიანა-მაიამი. IV მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/2 ფინალი. რომი. იტალია.
15:00 რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ფინალი. ალსტერი-ლენსტერი.
17:30 სუპერკოლაჟი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
21:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. კლიპერსი-მემფისი.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ლორიანი-პსჟ (LIVE).

**I არხი**

17:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 35 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 33 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 33 | (მზე) |
| ზუგდიდი | 18 | 33 | (მზე) |
| გორი | 13 | 29 | (მზე) |
| თელავი | 14 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 8 | 27 | (მზე) |
| მესტია | 10 | 22 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0669 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6276 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5819 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2602 |

## მოტოსპორტი



# ჩემპიონმა ნასვლა გადაწყვიტა

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი**, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე "ჰონდას" ღირსებას იცავს, კარიერას 2012 წლის სეზონის შემდეგ დაასრულებს.

*"კეისიმ განაცხადა, რომ 2012 წელი უკანასკნელი იქნება მისთვის მოტოგრანპრის ჩემპიონატში. იმედია, რომ მისთვის ეს წელი განსაკუთრებით წარმატებული იქნება"*, - დაწერა "ჰონდამ" თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მოგვიანებით, ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თავად სტოუნერმა. მისი აზრით, დღევანდელი მოტოგრანპრი დეგრადაციისკენ მიდის და მას ეს სერია აღარ აინტერესებს.

*"ეს ჩემპიონატი უკან მიდის. ჩემთვის ეს აღარ არის ის სერია, რომელიც ძალიან მიყვარდა და ყოველთვის მინდოდა იქ გამოსვლა. დღეს არავინ ეპყრობა პატივისცემით იმ ადამიანებს, რომლებიც გუნდებში მუშაობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს შოუ შედგეს.*

*ჩემი გადაწყვეტილების ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ ძირითადი იმაში მდგომარეობს, რომ რბოლების მიმართ ინტერესს ვკარგავ და სიამოვნებას ველარ ვიღებ სპორტის ამ სახეობისგან. რა თქმა უნდა, წელს ჩემპიონატში მაქსიმალურად მოვინდომებ, მაგრამ თუ მე აქ კარიერას გავაგრძელებ, ეს შეცდომა იქნება ჩემი მხრიდან. მართალი არ ვიქნები "ჰონდას" წინაშე, თუნდაც საკუთარი სამუშაო 110 პროცენტით შევასრულო"*, - განაცხადა სტოუნერმა.

ფეხბურთი. ევრო 2012


უეინ რუნი კაზინოში

# ყველა ემზადება... რუნი ლუდს სვამს

გერმანიის ნაკრები ევრო 2012-სთვის სარდინიაზე ემზადება და ამ გუნდის ფეხბურთელები ფიზიკური ფორმის ასაკრეფად ნავების ნიჩბებს უსვამენ...

**მარიო ბალოტელიმ** უარი თქვა "მანჩესტერ სიტის" საჩემპიონო ალლუმზე და სასაწრაფოდ გაემგზავრა იტალიის ნაკრების შეკრებაზე...

"ინგლისელი" ჰოლანდიელები უკვე ლოზანაში არიან და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

ესპანელები უკვე ერთი კვირაა ავსტრიაში გადიან შეკრებას...

ამ დროს, ინგლისის ნაკრების ფორვარდი **უეინ რუნი** მეუღლესთან – **კოლინ რუნისთან** ერთად ლას ვეგასში ჩავიდა, იქ აუზზე მზეს ეფიცხება და კაზინოში ლუდს მიირთმევს.

უეინი და კოლინი მდიდრულ სასტუმრო Wynn Las Vegas-ში დაბინავდნენ, რომელიც ქალაქის ცენტრშია განთავსებული.

ინგლისის ნაკრები ორშაბათს უნდა გამგზავრებულიყო ესპანეთში შეკრებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ გუშინ გააკეთეს. გუნდს მოგვიანებით შეუერთდებიან ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის "ჩელსის" ფეხბურთელები და უეინ რუნი. არადა, ინგლისელთა ახალ დამრიგებელს **როი ჰოჯსონს** ნაკრების ფეხბურთელებთან ჯერ არ უმუშავია და მისთვის შეკრების დროულად დაწყება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.


გერმანიის ნაკრები სარდინიაზე


ეროვნული ბიბლიოთეკა
უეინი და კოლინი სასტუმროს აუზთან


რობინ ვან პერსის შეკრებაზე ოჯახი აცილებს






კალათბურთი

# ან სპურსი, ან სკოლა

12 წლის **პატრიკ გონსალესი** სკოლის გაკვეთილებიდან დაითხოვეს. მიზეზი მოსწავლის ვარცხნილობა გახდა – პატრიკს კეფაზე თავისი საყვარელი მოთამაშის, "სან ანტონიო სპურსის" ფორვარდის **მეტ ბონერის** პორტრეტი ჰქონდა გამოსახული.

მომდევნო დღეს გონსალესი იძულებული გახდა მთლიანად გადაეპარსა თავი და დაბრუნებოდა სასწავლო პროცესს.

ამ ისტორიამ იმდენად მოხიბლა "სან ანტონიოს" გულშემატკივრები, რომ გონსალესსა და მის ოჯახს "კლიპერსთან" სერიის მესამე მატჩზე დასასწრები ბილეთები გადასცეს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი გოტფრიდ ლენცი*

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**